

შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური საველე
კურსის შემუშავება და განხორციელება

**Developing and Implementing
a Transdisciplinary Field Case Study Course**

სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ლექტორებისთვის
Manual for University Lecturers

მომზადებულია პროექტის – „ტრანსდისციპლინურობა
ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის კავკასიის
რეგიონში| CaucaSusT“ – ფარგლებში

2020

ქართული გამოცემის თარგმანი

თემურ გუგუშვილი
ნინო პავლიაშვილი
გვანცა სალუქვაძე
მერაბ ხოხობაია

ქართული გამოცემის რედაქტორები

თათია მჭავანაძე
იოსებ სალუქვაძე

მადლობა შეტანილი წვლილისათვის!

წინამდებარე სახელმძღვანელოს ქართული გამოცემის რედაქტორები მადლობას უხდებიან ავტორებს, რომლებმაც შეადგინეს ინგლისურენოვანი სახელმძღვანელო, საიდანაც ითარგმნა წინამდებარე გამოცემა.

ასევე დიდი მადლობა უნივერსიტეტების სტუდენტებსა და ყველა იმ პირს, რომლებმაც CaucaSusT პროექტის მსვლელობაში ხელი შეუწყვეს და წვლილი შეიტანეს პროექტის წარმატებით განხორციელებაში.

ინგლისური გამოცემის რედაქტორები:

ტამარა მიტროფანენკო

ანდრეა ზიტანოვა

ავტორები:

- თავი 1.** მდგრადი განვითარების არსი და მდგრადი განვითარების კონცეფცია – ლელა ხარტიშვილი, ანდრეა ზიტანოვა, ტიგრან კერიანი, ტამარა მიტროფანენკო
- თავი 2.** განათლება მდგრადი განვითარებისათვის და უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციების როლი საზოგადოებაში – ტიგრან კერიანი, ტამარა მიტროფანენკო
- თავი 3.** საზოგადოების მონაწილეობა – ლელა ხარტიშვილი, ნათია კეკელიძე
- თავი 4.** შემთხვევის შესწავლა: სწავლება, პრინციპები და მეთოდები – გვანცა სალუქვაძე, თემურ გუგუშვილი, ტიგრან კერიანი, მარია კატელიევა, ანდრეა ზიტანოვა, ტამარა მიტროფანენკო
- თავი 5.** შემთხვევის შესწავლის კურსის ინტეგრაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურიკულუმში – ტამარა მიტროფანენკო, მარინე მატოსიანი, მერაბ ხოხობაია, აშოტ ხოცციანი
- თავი 6.** შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური კურსის განხორციელება – ტამარა მიტროფანენკო, მარინე მატოსიანი, მერაბ ხოხობაია, აშოტ ხოცციანი, ტიგრან კერიანი

კონტრიბუტორები



CaucaSusT პროექტის კოორდინატორები:

ბუნებრივი რესურსებისა და სიცოცხლის მეცნიერებათა უნივერსიტეტი (BOKU), ავსტრია: ტამარა მიტროფანენკო, ანდრეას მუჰარი

კრემის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ავსტრია: მარია კატელიევა, კრისტიან მაურერი, ანდრეა ზიტანოვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), საქართველო: იოსებ სალუქვაძე, მერაბ ხოხობაია, თათია მჟავანაძე, მარიანა უნაფქოშვილი

სომხეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი (სსპუ): აშოტ ხოეციანი, მარინე მატოსიანი

შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური კურსების მონაწილეები:

ავსტრია: ბუნებრივი რესურსებისა და სიცოცხლის მეცნიერებათა უნივერსიტეტის (BOKU)

ჯგუფი: ტამარა მიტროფანენკო, ანდრეას მუჰარი

კრემის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ჯგუფი: მარია კატელიევა, კრისტიან მაურერი

გარე ექსპერტი: კრისტიან ბაუმგარტნერი

საქართველო: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯგუფი: გვანცა სალუქვაძე, გიორგი მელაძე, თემურ გუგუშვილი, თეა (თათია) მჟავანაძე, იოსებ სალუქვაძე, იოსებ ხელაშვილი, ლელა ხარტიშვილი, მარიანა უნაფქოშვილი, მერაბ ხოხობაია, ნინო პავლიაშვილი, ნოდარ ელიზბარაშვილი.

ტრანსდისციპლინური საველე კურსი წალვერში, საქართველო, 2018:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი): აკაკი შონია, ანუკი ლომიძე, ბაკურ ჯინორია, გიორგი ტყემალაძე, გიორგი თოიძე, ელიზბარ სადრაძე, ვლადიმერ ჭეჟია, ლაშა მჟავია, ლევან ხასაია, მარიამ კოკილაშვილი, მარიამ ტყეშუჩავა, რუსუდან ტაბატაძე, ტატიანა სიჭინავა, ქრისტინე ბაზაძე, ხატია გიორგაძე, ჯეინ გიორგობიანი,

სტეიკჰოლდერები: ადგილობრივი გიდები – ბაჩო არუთინიანი, თამარ ხომტარია – წალვერის ტურიზმის ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი; იზა მიქაძე – სასტუმრო „ნატურის ხე“; ირმა მალრაძე – აგროფერმერი; ლევან თაბუნძე – ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი; ლონდა ფირიშვილი – ბორჯომის მუნიციპალიტეტი; მაკა ლონდაძე – ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის ხელმძღვანელი; მიხეილ ლომიძე – MERCY CORPS ბორჯომი; მედეა დავლაშელიძე – MERCY CORPS – ბორჯომი; ნათია მუმლაძე – ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია; ნატალია დესპოტაშვილი – არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ველი“; ნიკოლოზ თვალაძე – საცხოვრებელი „გვირგვინა“; ქეთევან ბეროზაშვილი – ბორჯომის მუნიციპალიტეტი; ჯემალ ლონდაძე; ჯამბულ გელაშვილი – “TSAGHVERI LODGE”, სასტუმროს მფლობელი.

ტრანსდისციპლინური საველე კურსი სტეფანწმინდაში, საქართველო, 2019:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი): ანა ცქვიტინიძე, არჩილ ხუსკივაძე, გიორგი კაპანაძე, გვანცა მელანიშვილი, დავით ნადირაძე, თამარ ოდილაძე, თინათინ არჩვაძე, თეიმურაზ დვალისძე, თამარ გელაშვილი, ნინო არაჩემია, მარიამ დათიშვილი, ნანა დეისაძე, ივანე ხრიკული, მარიამ მკერვალიშვილი, მარიამ რევაზიშვილი, მერი კახელიშვილი, მარი ნონკოლაური, მარიამ ხიზანიშვილი, ნატო თეზელაშვილი, ნელი ქველაძე, ნინო სიხარულიძე, ხატია გელაშვილი, ხატია მესხია.

სტეიკჰოლდერები: ალექსანდრე ზაგაშვილი – სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი. ელიზბარ ჯანუკაშვილი – სასტუმრო „სტანცია ყაზბეგი“ მეპატრონე; ზურაბ ჩხაიძე – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახური; თამუნა კობიძე – სასტუმრო „სტანცია ყაზბეგი“; კახი ჯანუკაშვილი – საოჯახო სასტუმროს მეპატრონე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სამსახური; მარინა ჩქარეული – ყაზბეგის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის უფროსი; ნათია საბაური – სილამაზის სალონი „ბარბერია“; ნინო გელაძე – ყაზბეგის მუნიციპალიტეტი; ოთარ წამალაძე – სტეფანწმინდის ეროვნული პარკის დირექტორი; ქეთევან სუჯაშვილი – საოჯახო სასტუმროს მეპატრონე; შორენა სუჯაშვილი – სტეფანწმინდის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი.

ტრანსდისციპლინური საველე კურსი ამბროლაურში, საქართველო, 2020:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი): ავთანდილ თაბაგარი, ანა მარგველანი, გიორგი დაქუზაშვილი, გვანცა მოსიძე, გვანცა სალუქვაძე, დათო ნადირაძე, დავით ბერაძე, თამარ ფედროვი, თამარ ფილაური, თამუნა ზატიკაშვილი, თამარ კოჭლამაზაშვილი, თემურ გუგუშვილი, ილია ლლონტი, ირინე ჯავახიშვილი, ლუკა შუბლაძე, მარიამ იოსავა, მარიამ სანდროშვილი, ნანა დეისაძე, სანდრო გოგოლაძე, ტატკა სიჭინავა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები : გიგა გიგაური, ნინო ტიგიშვილი.

სტეიკჰოლდერები: თამარ დავითულიანი – ჰოსტელის „გარემო“ მენეჯერი; იოსებ გენაძე – „რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის აგროტურიზმის განვითარების ასოციაცია“; ლამარა ბოჭორიშვილი – სათემო რადიოს „ამბროლაურის ხმა“ პროდიუსერი; ლერი გელოვანიშვილი – ააიპ ტურისტული ცენტრი; ლია გოგოლაძე – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო; მამუკა მეტონიძე – მიკრომენარმე; მარიკა ჯაფარიძე – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო; ნანა სანებლიძე – ამბროლაურის სასტუმრო „მეტეხერას“ მენეჯერი; ფიქრია ჭარბაძე – მიკრომენარმე; ქრისტინა მუსერიძე – AIC; ქრისტინა კობახიძე – ტურისტულ ივენთ კომპანია ჯეოტურისტის დამფუძნებელი და დირექტორი.

სომხეთი: სომხეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ჯგუფი: აშოტ ხოეციანი, ვარჷუდი ჰოვანისიანი, კრისტინე ტანაჯიანი, მარინე მატოსიანი, მარიეტა მურადიანი, მარიამ ეგიანი, ნარიკ უზუნიაანი, სირინე შოგერიანი, სუსანა ხაჩატურიანი 1, სუსანა ხაჩატურიანი 2, ტიგრან ბაბიანი, ტიგრან კერიანი.

გარე ექსპერტი: არმენ გევორგიანი

ტრანსდისციპლინური საველე კურსი, მეღრაძორი, სომხეთი, 2018:

სომხეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტები (ბიოლოგია, ქიმია და გეოგრაფია): ამალია ტადევოსიანი, ანგინ მარგარიანი, არჷინე პეტროსიანი, არმინე ჰილიპოსიანი, ედიკ ამირხანიანი, ელია ჰარუტიანიანი, ვარჷუდი ჰოვანისიანი, ზვარტ მანუკიანი, მარიამ ავეტისიანი, ოფელია ავეტისიანი, ლიანა ბალაბეკიანი, ლილიტ ღაზარიანი, ლილი მარგარიანი, მერინე ნიკოგოსიანი, ნარეკ საჰაკიანი, ნარინე ტატოიანი, ოლგა მარგარიანი, სილვა ბოიახჩიანი, ტამარა მნაცაკანიანი, ტიგრან ენგიბარიანი; ქრისტინე მარგარიანი, შუშან აბოვიანი.

სტეიკჰოლდერები: ანნა ჰოვანისიანი – ისტორიის მასწავლებელი, ვალოდია ჰოვანისიანი – მეღრაძორის კულტურის სახლის ხელმძღვანელი; ვაჰე მანუკიანი – ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი; ვარდან ეგიაზარიანი – ადვოკატი, მენარმე; სარო ღარიბიანი – ტურიზმის მენეჯერი, სოციალური მუშაკი.

ტრანსდისციპლინური საველე კურსი, დილიჯანი, 2019:

სომხეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტები (ბიოლოგია, ქიმია და გეოგრაფია, საგანმანათლებლო ფსიქოლოგია და სოციოლოგია, ისტორია და სამართალი):ანი ჰაროიანი, ანნა ბაბლოიანი, ანი ოჰანიანი, ანაჰიტ მადოიანი, ერანუჷი მანუკიანი, ზვარტ მანუკიანი, ირინა ტადოსიანი, კრისტინე მარგარიანი, ლაურა რაჩოიანი, ღარისა სარუხანიანი, ლილი მარგარიანი, ლიანა გალსტიანი, მარიამ გამბარიანი, ნარეკ საჰაკიანი, ნარინე ტატინე, ნარინე ვარდანიანი, ნაზელიან აბრაჰამიანი, ოფელია ავეტისიანი, სირვარდ ბოიახჩიანი, სედა პეტროსიანი, ტატევ ენოკიანი, შუშანიკ აბოვიანი, ჰაიკუჷი საფარიანი.

სტეიკჰოლდერები: ალბერტ ჰაროიანი – არასამთავრობო ორგანიზაცია «ეკოპოლიტიკა» და «ორჷუსი» კოორდინატორი; ასტგიკ ჰოვსეპიანი – გეოგრაფიის მასწავლებელი, დილიჯანის უმაღლესი სკოლა; მარტინ ტოვმასიანი – “Dghyak” სასტუმროს მენეჯერი; ნარეკ ჰოვანისიანი – ეკოტურიზმის სპეციალისტი; რობერტ ბეგლარიანი – დილიჯანის ეროვნული პარკის დირექტორის თანაშემწე.

❖ **შენიშვნა** – სახელმძღვანელოში არ არის ასახული 2020 წლის ამბროლაურში ჩატარებული საველე კურსის მონაცემები, ვინაიდან ნიგნი უკვე დასრულებული იყო.

**შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური
საველე კურსის შემუშავება და განხორციელება**
სახელმძღვანელო უნივერსიტეტის ლექტორებისთვის

შინაარსი

მადლობა შეტანილი წვლილისათვის	4
ნახაზები და ცხრილები	9
შესავალი	11
პროექტი CaucaSusT	11
სახელმძღვანელოს მიზანი და მისი გამოყენება	12
თავი I. ძირითადი კონცეფციები და ცნებები	13
1. მდგრადობის ცნება და მდგრადი განვითარების კონცეფცია	15
მდგრადი განვითარების მიზნები	17
შემოთავაზებული სასწავლო სავარჯიშო: მგმ და აგმ	21
მდგრადი ტურიზმი, როგორც ახალი ტიპის ურთიერთობა საზოგადოებასა, ეკონომიკასა და გარემოს შორის	21
შემოთავაზებული სასწავლო სავარჯიშოები	28
2. განათლება მდგრადი განვითარებისათვის და უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების როლი საზოგადოებაში	31
უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების როლი საზოგადოებაში	32
მეცნიერება ტრანსფორმაციისათვის	33
ძირითადი კომპეტენციები მდგრადი განვითარებისათვის	34
ტრანსდისციპლინურობა – მიდგომა, რომელიც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტებს, შეასრულონ ძლიერი როლი საზოგადოებრივ ტრანსფორმაციაში	39
3. საზოგადოების მონაწილეობა	42
საზოგადოების მონაწილეობის ცნების განსაზღვრა	42
დამატებითი ინფორმაციისათვის: სოფლის განვითარების პრაქტიკებში მონაწილეობის მეთოდების ინტეგრაციის ისტორია	43
ინოვაციური მიდგომების გამოყენება მონაწილეობითი დაგეგმვის ხელშეწყობისთვის	49
თავი II. მეთოდები	53
4. შემთხვევის შესწავლა: სწავლება, პრინციპები და მეთოდები	55
შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური მიდგომა, როგორც სწავლებისა და კვლევის მეთოდის შემუშავება	56
ლიტერატურის მიმოხილვა და საკვლევო პრობლემის ფორმულირება	57
თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები	60
თვისებრივი კვლევის მეთოდები	61
რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	69
შერეული მეთოდებით კვლევა	72
ინტერ- და ტრანსდისციპლინური მეთოდები	73
შემოთავაზებული სასწავლო სავარჯიშო: სცენარის შემუშავება საფეხმავლო ტურისთვის	84
თავი III. შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური კურსის განხორციელება	85
5. შემთხვევის შესწავლის კურსის ინტეგრაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულების კურიკულუმში	87
6. შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური კურსის განხორციელება	91
აბრევიატურები	110
დანართი 1. მოსამზადებელი კურსების მაგალითები	111
დანართი 2. სხვადასხვა აზრი ერთი მიზნის გარშემო. მასწავლებლის კომპეტენციები სწავლის პროცესში მდგრადობის მისაღწევად	118
დანართი 3. ტერმინების ლექსიკონი	126
ბიბლიოგრაფია	129

ნახაზები და ცხრილები

ნახაზები:

ნახაზი 1.1	მდგრადი განვითარების სამი სფერო, მდგრადი ტურიზმის განვითარების კონტექსტში....	16
ნახაზი 1.2	მდგრადი განვითარების მიზნები.....	17
ნახაზი 1.3	ვიზიტის მიზანი საქართველოში.....	27
ნახაზი 1.4	ტურიზმის მენეჯმენტის მოდელი.....	27
ნახაზი 1.5	დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციების (დამო) მენეჯმენტის სტრუქტურა.....	28
ნახაზი 2.1	უნივერსიტეტების როლი: ახალი და ძველი.....	32
ნახაზი 2.2	მდგრადი განვითარების საკვანძო კომპეტენციები და ძირითადი აკადემიური კომპეტენცია.....	35
ნახაზი 2.3	ESD კომპეტენციების ოთხი კატეგორია პედაგოგებისთვის.....	37
ნახაზი 2.4	მონო-, მულტი-, ინტერ- და ტრანსდისციპლინურობა მდგრად მეცნიერებებში.....	40
ნახაზი 2.5	ცოდნის სამი ტიპი.....	40
ნახაზი 2.6	ტრანსდისციპლინური კვლევითი პროექტების აღწერისა და ანალიზის ანალიტიკური ჩარჩო.....	41
ნახაზი 3.1	მონანილეობის კიბე.....	45
ნახაზი 4.1	შემთხვევის ინტერდისციპლინარული და ტრანსდისციპლინური შესწავლის ძირითადი კომპონენტები.....	57
ნახაზი 4.2	საკვლევი კითხვის ფორმულირება - გადანყვეტილების მიღების პროცესი.....	59
ნახაზი 4.3	ტურიზმის წარმომადგენლების სარეგისტრაციო ფორმის ნიმუში.....	66
ნახაზი 4.4	მონაცემთა ანალიზის საფეხურები.....	67
ნახაზი 4.5	ტრანსდისციპლინური კვლევითი პროექტი არის სისტემა, რომელიც აგებულია ერთობლივი კვლევითი პროცესის შედეგად.....	73
ნახაზი 4.6	შემთხვევის ტრანსდისციპლინური შესწავლის არეალში დასახლების სისტემის სტრუქტურა.....	74
ნახაზი 4.7	სისტემის ანალიზის საფეხურები.....	75
ნახაზი 4.8	SWOT ანალიზის მაგალითი.....	76
ნახაზი 4.9	ინდიკატორებზე ორიენტირებული შეფასების მაგალითი.....	76
ნახაზი 4.10	ტურიზმის სისტემის გრაფიკის მაგალითი.....	77
ნახაზი 4.11	ქსელის ანალიზის მატრიცისა და გრაფიკის მაგალითი.....	78
ნახაზი 4.12	ქსელის მაგალითი.....	79
ნახაზი 4.13	დაინტერესებული მხარეების კატეგორიზაცია ინტერესისა და გავლენის მიხედვით.....	79
ნახაზი 4.14	სცენარი, როგორც მომავალის პროექტირება.....	81
ნახაზი 4.15	სცენარების გამოყენების სფეროები.....	82
ნახაზი 4.16	სცენარის შემუშავებისა და შეფასების პროცესი.....	82
ნახაზი 6.1	შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური კურსის სამი ფაზა.....	91
ნახაზი 6.2	CaucaSusT პროექტის პარტნიორების მიერ იდენტიფიცირებული ცოდნის კომპონენტების მაგალითი, რომელიც სტუდენტებს დასჭირდებათ შემთხვევის შესწავლის კურსის განხორციელებისას.....	100
ნახაზი 6.3	ჯგუფური მუშაობის შემოთავაზებული სტრუქტურა: სტუდენტები დაიყოფა თემატურ და სექტორთაშორის ჯგუფებად.....	104
ნახაზი 6.4	საველე სამუშაოების შემოთავაზებული სტრუქტურა.....	106

ცხრილები:

ცხრილი 1.1	მდგრადი განვითარების მიზნები (მგმ) და ათასწლეულის განვითარების მიზნები (აგმ).....	19
ცხრილი 2.1	მდგრადი განვითარების ძირითადი კომპეტენციების აღწერა.....	33
ცხრილი 2.2	მასწავლებლის კომპეტენციები მდგრადი განვითარების სწავლებაში.....	37
ცხრილი 3.1	მონაწილეობითი მეთოდების შედარება: სსშ, სმშ და მსქ.....	43
ცხრილი 3.2	ცოდნის სამი განზომილება და ტიპი.....	47
ცხრილი 4.1	პრობლემის სტრუქტურირება ტრანსდისციპლინურ კვლევაში, ცოდნის სამ სახესთან მიმართებაში.....	60
ცხრილი 4.2	რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევის მეთოდებს შორის განსხვავებები.....	61
ცხრილი 4.3	სცენარის შემუშავების ძირითადი ფაზები, მეთოდები და სახელმძღვანელო კითხვები.....	83
ცხრილი 6.1	საჭიროების ანალიზის ელემენტები და სახელმძღვანელო კითხვები.....	95
ცხრილი 6.2	წინასწარი კვლევის კითხვების მაგალითები (ფოკუსირებულია მდგრად ტურიზმზე).....	96

პროექტი CaucaSusT

პროექტი „ტრანსდისციპლინური ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის კავკასიის რეგიონში (CaucaSusT)“ ერთობლივად განხორციელდა სომხეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის (სსპუ), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ), ბუნებრივი რესურსებისა და სიცოცხლის მეცნიერებათა უნივერსიტეტის (BOKU, ვენა, ავსტრია) და კრემსის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის (IMC Krems, ავსტრია) მიერ. აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებები გაერთიანდნენ პარტნიორული თანამშრომლობის ფარგლებში, რომ შესწავლათ, თუ როგორ შეიძლება უნივერსიტეტებმა გადაჭრან კავკასიის ქვეყნებში ტურიზმის მდგრადი განვითარების გამოწვევები ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან/ სტეიკჰოლდერებთან თანამშრომლობით.

მეცნიერების როლი, მდგრადი განვითარების სფეროში არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ, და უნივერსიტეტების კავშირი პოლიტიკასა და პრაქტიკასთან უნდა გაძლიერდეს როგორც სომხეთში, ასევე საქართველოში. ამ კუთხით პროგრესი ნაწილობრივ დამოკიდებულია უნივერსიტეტების ინოვაციურ ქმედებებზე ინტერდისციპლინური და მონაწილეობითი საქმიანობის მიმართულებით. CaucaSusT პროექტის პარტნიორებმა გააძლიერეს ფოკუსირება მოეხდინათ ტრანსდისციპლინური მიდგომების ინიცირებაზე სწავლებასა და კვლევაში სსპუ-ში და თსუ-ში.

უფრო ფართო მასშტაბით, CaucaSusT პროექტის პარტნიორები თანამშრომლობენ კავკასიის მთიანი რეგიონის სამეცნიერო ქსელთან (SNC-mt). თანამშრომლობა მოიცავს კავკასიის მთის ფორუმის კონფერენციებსა და საზაფხულო სკოლებში ახალგაზრდა მკვლევარების მონაწილეობას, იმ მიზნით, რომ მოხდეს პროექტის შედეგების და გამოცდილების გაზიარება კავკასიის რეგიონის სხვა უნივერსიტეტებისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია კონკრეტული უკუკავშირის მიღება CaucaSusT პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგების გამოყენების შესაძლებლობაზე კავკასიის სხვა ქვეყნების აკადემიურ პრაქტიკაში.

გარდა ამისა, პროექტი ფოკუსირებული იყო უშუალოდ უნივერსიტეტების პოტენციალის განვითარებაზე. ასევე, ის მიზნად ისახავდა ადგილობრივი თემების საჭიროებების გაანალიზებას, უნივერსიტეტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის თანამშრომლობის პრაქტიკის დამკვიდრებით. ეს ორმხრივად სასარგებლო იყო როგორც ადგილობრივთათვის, ასევე უნივერსიტეტებისათვის, რაც განათლების სრულყოფასა და გაუმჯობესებულ კვლევის შედეგებში გამოიხატა.

პროექტის ძირითადი საქმიანობა მოიცავდა შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური კურსების განვითარებას და მის ინტეგრირებას სსპუ და თსუ კურიკულუმებში ასევე კურსების პილოტირებას საქართველოსა და სომხეთის რამდენიმე თემში. აღნიშნულმა კურსებმა ორივე უნივერსიტეტში შეკრიბა ლექტორები და სტუდენტები სხვადასხვა დეპარტამენტიდან, ასევე ადგილობრივი თემის აქტორები და ადმინისტრაციები, რომლებმაც ითანამშრომლეს ტურიზმის მდგრადი განვითარების ზოგიერთ გამოწვევაზე პასუხის გასაცემად. მონაწილეთა ერთუზიანობა და მათი უმრავლესობის მხრიდან პოზიტიურმა უკუკავშირმა, სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებისათვის და (ზოგ შემთხვევაში) თვით ადგილობრივი თვითმმართველობებისთვისაც, დადებითი შედეგები მოიტანა. ამის გამო (მიუხედავად იმისა, რომ CaucaSusT პარტნიორებს მოუწიათ სირთულეების გადალახვა, თავიანთ კურიკულუმებში ახალი კურსების წარმატებით ინტეგრირების კუთხით) გვსურს გაგიზიაროთ ჩვენი გამოცდილება ამ კურსის განხორციელებასთან დაკავშირებით.¹

¹ მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ CaucaSusT პროექტის ვებ-გვერდი: <http://caucasust.boku.ac.at> ან Keryan et al. 2020

სახელმძღვანელოს მიზანი და მისი გამოყენება

ამ სახელმძღვანელოს მიზანია უნივერსიტეტების დაინტერესებულ ლექტორებსა და აკადემიურ პერსონალს მისცეს შესაძლებლობა, განახორციელოს შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური საველე კურსი, რომელიც უკვე შემუშავებულია, აპრობირებულია და ინტეგრირებულია სსპუ და თსუ კურსულუმებში.

სახელმძღვანელოს პირველ თავში მოკლედ არის განხილული ფუნდამენტური კონცეფციები, რომლებიც აუცილებელია ტრანსდისციპლინური მიდგომების საფუძვლიანად გაგებისათვის. სახელმძღვანელო მოიცავს მოსაზრებებს და მაგალითებს სასწავლო დავალებებისათვის, ასევე ლიტერატურულ წყაროებს და სარეკომენდაციო მასალებს, რომლებშიც დეტალურად არის გაანალიზებული აქ მოცემული კონცეფციები.

სახელმძღვანელოს მეორე თავში წარმოდგენილია კონკრეტული წინადადებები, თუ როგორ არის შესაძლებელი შემთხვევის შესწავლის აკადემიური კურსის განხორციელება. ამ ნაწილში მოცემულია თსუ და სსპუ ლექტორების რჩევები, რომლებმაც CaucaSusT პროექტის ფარგლებში პირველად განახორციელეს ასეთი ფორმატის სასწავლო კურსები.

მრავალი მაგალითი, რომელთაც ჩვენ გთავაზობთ სახელმძღვანელოში, არის დაკავშირებული ტურიზმთან. ეს განპირობებულია CaucaSusT პროექტის შინაარსით და იმ ფაქტით, რომ ტურიზმის მდგრადი განვითარება წარმოადგენს რეალურ კომპლექსურ გამოწვევას. ის განსაკუთრებით აქტუალურია მთიანი ადგილების, სასოფლო თემების გამოცოცხლებისათვის. ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესებასა და კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას შორის სათანადო ბალანსის მოძებნის თვალსაზრისით.

ამავე დროს, შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური კურსის ფორმატი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა საზოგადოებრივი გამოწვევების გადაჭრისათვის როგორც სასოფლო, ასევე ურბანული განვითარების კონტექსტში. ის შეიძლება დადებითად აისახოს ამ კურსის განმახორციელებელი ლექტორების, კურსში ჩართული სტუდენტებისა და მონაწილე თემების მოსახლეობის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე.

სახელმძღვანელოში, ინფორმაციის გამორჩევის მიზნით, ჩვენ ვიყენებთ * სიმბოლოს. ის ხაზს უსვამს განსაკუთრებით საგულისხმო ინფორმაციას. ჩვენი აზრით საინტერესო დამატებითი ინფორმაცია და წყაროები ინტეგრირებულია მცირე კვადრატებში; ისინი გვხვდება სახელმძღვანელოს სხვადასხვა ნაწილებში, რათა მკითხველს გაუადვილოს მასალის გაგება და აღქმა, ასეთია:²

- სასარგებლო ბმულები;
- დამატებითი ინფორმაცია;
- გამოცდილება CaucaSusT პროექტიდან;
- რეკომენდებული მასალები;
- სასწავლო დავალებები.

დანართებში შერჩევითად წარმოდგენილია იმ კურსების მაგალითები, რომლებიც ახლად შეიქმნა ან განახლდა სსპუ და თსუ მიერ და ინტეგრირებულია ამ უნივერსიტეტების კურიკულუმებში. ასევე დანართებში იხილავთ გამოყენებული საკვანძო ტერმინების ლექსიკონსაც.

² ამ სექციებში წარმოდგენილი ინფორმაცია ემყარება ჩვენი პროექტის გუნდის გამოცდილებას და ეფუძნება ჩვენს ექსპერტულ ცოდნას ამ მიმართულებით. CaucaSusT პროექტში ჩართული იყო ტურიზმის რამდენიმე ექსპერტი საქართველოდან და ავსტრიიდან; აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელოში ტურიზმთან დაკავშირებული მაგალითები წარმოდგენილია უფრო მეტად საქართველოდან, ვიდრე სომხეთიდან. ამასთან, ჩვენ ვეცადეთ დაგვეცვა ბალანსი ამ მიმართულებით და გავითვალისწინეთ როგორც ქართველი, ასევე, სომეხი კოლეგების გამოცდილება კერძო შემთხვევების შესწავლის (Case Study) განხორციელების მიმართულებით.

თავი I.

ქირითაღი კონსტრუქციები და ცნებები



1 მდგრადობის ცნება და მდგრადი განვითარების კონცეფცია

ჩვენი ეკონომიკა და ცხოვრების სტილი. მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ, ინდუსტრიალიზაციამ და ქარბმა მოხმარებამ განვითარებულ ქვეყნებში, გლობალიზაციასთან ერთად, გამოიწვია სერიოზული ეკოლოგიური და სოციალური ზიანი, რამაც მიგვიყვანა მსოფლიო კრიზისამდე რიგ სფეროებში. დაბინძურებამ და კლიმატის ცვლილებამ, ბიომრავალფეროვნების და ნაყოფიერი ნიადაგების დაკარგვამ, მიწის დეგრადაციამ, ბუნებრივია, უარყოფითად იმოქმედა მსოფლიო მასშტაბით მრავალი ადამიანის საარსებო წყაროზე. ამავდროულად, სოციალური უთანასწორობა და უსამართლობა შენარჩუნებულია; შესაბამისად, გაზრდილია უთანასწორობის ინტერვალი განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის (UN, 2020).

სასარგებლო ბმულები:
იხილეთ ვებ-გვერდი www.un.org, სადაც ხელმისაწვდომია განახლებული პუბლიკაციები ეკოლოგიური კრიზისისა და სოციალური უთანასწორობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ შემოფოთება ასეთი განვითარების ნეგატიურ გავლენაზე გარემოსა და საზოგადოებაზე სულ უფრო მეტად გაისმის საერთაშორისო დონეზე, რაშიც დიდია აქტიური მოქალაქეების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მკვლევრების, მთავრობებისა და მთავრობათაშორისი ორგანიზაციების წვლილი. ამის პასუხად შემუშავდა მდგრადი განვითარების კონცეფცია და გარკვეული ზომები იქნა მიღებული ადამიანის საქმიანობის ყველა სექტორში მისი ინტეგრირების თვალსაზრისით.

სასარგებლო ბმულები:
მდგრადი განვითარების შესახებ შეგიძლიათ უფრო მეტი ნაიკითხოთ შემდეგ ბმულებზე:
www.iisd.org/topic/sustainable-development
www.sustainabledevelopment.un.org
მდგრადი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის მგმ ცოდნის ჰაბი:
<http://sdg.iisd.org/>

„მდგრადობის“ ცნება დღეს გლობალური განვითარების მნიშვნელოვან პარადიგმას წარმოადგენს. კემბრიჯის ლექსიკონის მიხედვით (2020), ის განმარტებულია, როგორც „გარკვეული დროის

განმავლობაში გაგრძელების შეძლების ხარისხი/დონე“. დღესდღეობით, საზოგადოდ მიღებულია “მდგრადი” საზოგადოების პარადიგმა, რომელშიც მოსახლეობის საჭიროებები (მაგ., ღირსეული საარსებო წყარო) ბალანსშია ჩვენი პლანეტის, დედამიწის შეზღუდვებთან – გრძელვადიან პერიოდში ხელმისაწვდომი რესურსებისა და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებასთან.

მდგრადობის ცნება მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე გარემოს დაცვა, თუმცა ბევრი ადამიანისათვის ეს ტერმინი გარემოსთან ასოცირდება. მდგრადობის სამი ძირითადი საყრდენი მოიცავს ეკონომიკურ, გარემოსა და სოციალურ-კულტურულ ასპექტებს (იხ. ნახ. 1.1). ისინი, ჩვეულებრივ წარმოდგენილია, როგორც სამი წრე ან სვეტი (თუმცა წრეებით წარმოდგენა უფრო პოპულარული გახდა, რადგან ის იძლევა ამ სამ ასპექტს შორის მჭიდრო კავშირების დემონსტრირების საშუალებას).

მდგრადობა გულისხმობს წონასწორობას გარემოს, სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ განზომილებებს შორის, როგორც ეს ასახულია მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებულ სახელმძღვანელო დოკუმენტებსა და პრინციპებში. ასეთია: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია – გაერო (UN), გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისია (WCED), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) და გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (UNWTO).



ნახაზი 1.1 მდგრადი განვითარების სამი სფერო, მდგრადი ტურიზმის განვითარების კონტექსტში



წყარო: Purvis et al. (2019)

“მდგრადი განვითარების” პარადიგმა გამოიყენება გარემოს დაცვის ინტეგრაციისთვის ეკონომიკურ განვითარებაში; ის მიზნად ისახავს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლას, ბუნებრივი რესურსების დაცვას, სოლიდარობის ხელშეწყობას და სარგებლის გაზიარებას.

მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული განმარტება ეკუთვნის გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიას (WCECD) და მოყვანილია ანგარიშში – „ჩვენი საერთო მომავალი“; ის ასევე ცნობილია, როგორც „ბრუნდტლენდის ანგარიში“, კომისიის თავმჯდომარის გრო ჰარლემ ბრუნდტლენდის სახელის მიხედვით. ანგარიშში ნათქვამია: „მდგრადობა და/ან მდგრადი განვითარება ანმყოფი არსებული მოთხოვნილებების ისეთი დაკმაყოფილებაა, რომელიც არ ზღუდავს მომავალი თაობების შესაძლებლობას, რომ მათაც დაიკმაყოფილონ საკუთარი საჭიროებები“ (WCED, 1987)

რეკომენდებული მასალები:

„ბრუნდტლენდის ანგარიშის მიმოხილვა და აღწერა შეგიძლიათ იხილოთ აქ:
 Keeble, B.R., 1988. The Brundtland Report: “Our Common Future”. *Medicine and War*, 4(1), 17-25. <https://doi.org/10.1080/07488008808408783>

მდგრადი განვითარების კონცეფცია შეიძლება ჩაითვალოს თეორიულ და ფილოსოფიურ საფუძვლად

საზოგადოებასა და ბუნებას შორის ურთიერთობაში ჰარმონიის მისაღწევად. მისი განხორციელება მოითხოვს აზროვნების ღრმა ცვლილებას, ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების მიმართ პარადიგმულ ცვლილებას, მოხმარებისა და წარმოების მოდელების საყოველთაო ცვლილებას (cf. Honey, 2008). ამავდროულად, ჩვენი საზოგადოების მდგრადობისკენ გარდაქმნა აუცილებელია, თუ გვინდა, რომ გავუმკლავდეთ ანთროპოცენის დიდ გამოწვევებს.

მეტი ინფორმაციისათვის:

ტერმინი ანთროპოცენი ხშირად გამოიყენება გეოლოგიური პერიოდის აღსაწერად სამრეწველო რევოლუციის დასაწყისიდან დღემდე, ჩვენს პლანეტაზე ადამიანის მოქმედებით გამოწვეული შეუქცევადი ზიანის გამო.

ბოლო დროს დამკვიდრებული მედეგობის (resilience) კონცეფცია მზარდ ყურადღებას იმსახურებს, უფრო მდგრადი მომავლისაკენ ტრანსფორმაციაზე მსჯელობის კონტექსტში (Olsson et al., 2014). სიტყვას ლათინური ძირი აქვს – resilio, რაც ნიშნავს უკუცემას/აღდგენას (rebound). ის განისაზღვრება, როგორც ცვლილების შთანთქმის/შეთვისების და სამომავლო მოსალოდნელი საფრთხეების მიმართ ადაპტირებული მზადყოფნით დახვედრის უნარი (Darnhofer et al., 2010). ეს კონცეფცია უფრო მეტად გამოიყენება სოციალურ-ეკოლოგიური სისტემების, როგორც კომპლექსური წარმონაქმნის, აღწერისათვის, რომელიც მუდმივად თვითტრანსფორმირდება ცვლილებების ციკლის საშუალებით (Folke et al., 2010; Walker and Salt, 2012). ის ხშირად გამოიყენება, როგორც ტერმინი *მდგრადობის* სინონიმი ან გაგებულია, როგორც მისი ჩამნაცვლებელი კონცეფცია (Redman, 2014; Bocchini et al., 2013; Hassler and Kohler, 2014). ის გვთავაზობს პროცესზე ორიენტირებულ პერსპექტივას/ხედვას (Ahern, 2011), რომელიც მიზნად ისახავს საშიშროებების განჭვრეტას და ადგილობრივ ლოკალურ სისტემებს საშუალებას აძლევს, რომ მოახდინონ შესაძლო ზიანის მინიმიზაცია მდგრადი მიზნების მისაღწევად (Tainter and Taylor, 2014; Ahern, 2011; Anderies et al., 2013). მედეგობა განსაკუთრებულად ეხმარება სისტემის ფუნქციონირებას კრიზისის ან რყევების დროს (Pooley and Cohen, 2010), მაშინ როცა, მისგან გასხვავებით, მდგრადობა ფოკუსირებულია იმ შესაძლებლობაზე, რომელიც ახდენს სისტემის დეგრადაციის პრევენციას და ხელს უწყობს სისტემის წონასწორობას (López-Ridaura et al., 2005; Opdyke and Javernick-Will, 2014).

მეტი ინფორმაციისათვის:

მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში არსებობს მდგრადი განვითარების ალტერნატიული პარადიგმები; ისინი აქცენტირებას არ აკეთებენ „განვითარებაზე“, როგორც მიზანზე, და ზოგჯერ ეწინააღმდეგებიან მას. ასეთია, მაგალითად, ზრდის შემცირება – “degrowth” (Sekulova et al., 2013; Martínez-Alier et al., 2010). სხვა მაგალითები მოიცავს სამხრეთაფრიკელი ბუენ ვივირის (*Buen Vivir*) (Stoll-Kleemann and O’Riordan, 2017; Wals and Peters, 2017), ასევე აფრიკელი უბუნტუს (*Ubuntu*) და ინდოელი სვარაჯის (*Swaraj*) მოსაზრებებს.

სტოლ-კლემანი და ო’რიორდანი (Stoll-Kleemann & O’Riordan, 2017) იძლევიან მოკლე აღწერებს და გვთავაზობენ მათი მიდგომების ტესტირებას გაეროს ბიოსფერულ ნაკრძალებში (Mitrofanenko, 2018).

ნახაზი 1.2 მდგრადი განვითარების მიზნები



წყარო: გაერო (2020)

რომელიც ისწრაფვის ბალანსის დაცვისკენ ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით სფეროებს შორის (Schneidewind et al. 2016). დღის წესრიგი 2030–ის (მგმ) მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ ის ხაზს უსვამს დეკლარირებული მიზნების მჭიდრო ურთიერთკავშირს: მაგალითად, სიღარიბის დაძლევა თან უნდა სდევდეს ჯანდაცვისა და განათლების სრულყოფის სტრატეგიებს, უთანასწორობის შემცირებას, ეკონომიკურ ზრდას; ამავდროულად, საჭიროა მუშაობა კლიმატის ცვლი-

მდგრადი განვითარების მიზნები

დღის წესრიგის 2030 მდგრადი განვითარებისათვის, რომელიც მიიღებულია 2015 წელს გაეროს ყველა წევრი ქვეყნის მიერ, გვისახავს მდგრადობისკენ სვლის საერთო გეგმას მშვიდობის, პლანეტისა და ხალხების კეთილდღეობის მისაღწევად. განსაზღვრულია მდგრადი განვითარების 17 საკვანძო მიზანი (მგმ) და მასთან დაკავშირებული 169 სამიზნე ინდიკატორი (იხ. ნახაზი 1.2), რაც ყველა ქვეყნისათვის – განვითარებული და განვითარებადი – გადაუდებელი მოქმედებისა და გლობალური პარტნიორობისკენ მოწოდებაა.

ფართო მასშტაბის მონაწილეობითი პროცესის შედეგად მიღებული (UN 2015, პარაგრაფი 52) დღის წესრიგი 2030 სიმბოლურად გამოხატავს ვალდებულებას “გლობალური საზოგადოების” სახელით,

ლების გამონწვევებთან, ოკეანეებისა და ტყეების შენარჩუნების კუთხით.

მეტი ინფორმაციისათვის:

მდგრადი განვითარების 2030 დღის წესრიგის წარმატებული ადაპტაცია ემყარება საერთაშორისო ძალისხმევის ხუთ ათეულზე მეტ წელიწადს, რომ მომხდარიყო გარემოს და განვითარების ინტეგრირება. ამ ძალისხმევამ ძლიერი იმპულსი მიიღო 1972 წელს გაეროს კონფე-

რენციაზე „ადამიანის(ეული) გარემოს შესახებ“, რამაც გამოიწვია გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის დამკვიდრება და ურთიერთდაკავშირებული არაერთი კრიტიკული შეთანხმების მიღწევა საერთაშორისო (მაგალითად, კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ) და რეგიონულ (მაგალითად, ალპური და კარპატების კონვენციები მთის რეგიონების დაცვისა და მდგრადი განვითარების შესახებ) დონეებზე. ამ პროცესმა საფუძველი ჩაუყარა სოციალურ-ეკოლოგიური სისტემების მმართველობის გადასინჯვას, ბუნების პოზიციონირებას სოციალური და ეკონომიკური განვითარების საფუძვლად და ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე აყვანას (Johnson, 2012; Engfeldt, 2009; Wapner, 2003 in Mitrofanenko, 2018).

მდგრადი განვითარების შესახებ ჩატარებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენციები მოიცავს:

- გაეროს კონფერენციას ადამიანის(ეული) გარემოზე (UNCHE), სტოკჰოლმი, 1972.
- გაეროს კონფერენციას გარემოსა და განვითარებაზე (UNCED ასევე მოიხსენიება როგორც სტოკჰოლმი + 20), რიო-დე-ჟანეირო, ბრაზილია, 1992.
- მსოფლიო სამიტი მდგრადი განვითარების შესახებ (WSSD), იოჰანესბურგი, სამხრეთ აფრიკა, 2002.

სასარგებლო ბმულები:

მგმ რესურსები მასწავლებლებისთვის: <http://www.teachmgms.org/resources.html>

პუბლიკაცია მგმ სწავლის მიზნების შესახებ შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ამ ბმულიდან (რამდენიმე ენაზე): <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000247444>

***იდეა: მგმ პოსტერი ან ინდივიდუალური მიზნების ამონაბეჭდი შესაძლოა იყოს საკლასო ოთახის მიმზიდველი დეკორაცია და სასწავლო მასალა:**
<https://www.un.org/sustainabledevelopment/news/communications-material/>

განხორცილებულია გარკვეული გაანგარიშებები მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციისათვის, საჭირო ხარჯების შეფასების კუთხით, რის შედეგადაც მიღებულია ძალიან დიდი რიცხვები. როგორც აღნიშნულია გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მგმ ანგარიშში (UNCTAD), “მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებას შესაძლოა 5-7 ტრილიონი აშშ დოლარის წლიური ინვესტიცია დასჭირდეს ” და განვითარებად

ქვეყნებს შეიძლება შეექმნას წლიური 2.5 ტრილიონი აშშ დოლარის გარღვევა (UNCTAD, 2014). ამ მიზნით, აუცილებელია და სტრატეგიულად მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ჩართულობა. საბედნიეროდ, ბოლო წლების განმავლობაში კერძო სექტორის მონაწილეობა მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში იზრდება გარემოსდაცვითი თემებისადმი საზოგადოების გაზრდილი ყურადღების გამო (Fukuda-Parr, 2016, Pradhan, et al. 2017, Le Blanc, 2015).

მეტი ინფორმაციისათვის:

ზოგიერთი ბიზნესი, რომელთა ეკონომიკურმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა საზოგადოებასა და გარემოზე, აღმოჩნდა უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის წინაშე. ეს განაპირობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებამ მათი ოპერაციების შესახებ, გარემოზე გავლენისა და ჯანდაცვის ხარჯების კუთხით, რის შედეგადაც დაეცა მათი აქციების ღირებულება ან მოგება. შესაბამისად, მოკლე დროში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ კომპანიები თავიანთ კორპორატიულ პასუხისმგებლობას უკავშირებენ მდგრადი განვითარების მიზნებს (KPMG, 2017). ეკოლოგიური ძალისხმევების წარმოსაჩენად და კონკურენტული უპირატესობის ასამაღლებლად ფირმებმა დაიწყეს მწვანე მარკეტინგის სტრატეგიების გამოყენება (Szabo and Webster, 2020).

თუმცა, მზარდია იმ კომპანიების რაოდენობაც, რომლებიც უგულებელყოფენ მდგრადი განვითარების ძირითად პრინციპებს მათ მიმართ ზედაპირული დამოკიდებულებით ან სრული იგნორირებით (Gatti et al., 2019). “გარემოსდაცვითი უპრინციპობის” და “მწვანე (ჩა)რეცხვის” შემთხვევები გახდა შემფოთების საგანი, რამაც წარმოშვა საზოგადოებრივი უნდობლობა და ეთიკური ზიანი (Szabo and Webster, 2020). მაგალითად, ე.წ. “მწვანე (ჩა)რეცხვის” შედეგებით ახალი სკანდალი მოხდა საავტომობილო ინდუსტრიაში, როდესაც მსხვილი ავტომწარმოებელი „ფოლკსვაგენი“ ეჭვმიტანილ იქნა ემისიასთან დაკავშირებულ საეჭვო აქტივობებში, მიუხედავად იმისა, რომ ის ახდენდა პროდუქტების მარკეტინგს „სუფთა დიზელის“ მანქანების ეგიდით (Siano and Vollero, 2017). სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში მსგავსი ბრალდებების წინაშე აღმოჩნდნენ სხვა მსხვილი საავტომობილო კომპანიებიც. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ, როგორცაა „გრინფისი“ (Greenpeace) და „ტერაჩოისი“ (TerraChoice), საკუთარ თავზე აიღო ბაზრის მონიტორინგი “მწვანე (ჩა)რეცხვის” შემთხვევების აღკვეთის მიზნით (Gatti et al., 2019).

მდგრადობის პრინციპების დაცვა შეიძლება ძალიან მკაცრი იყოს, მაგრამ, მეორე მხრივ, მათ შეუძლიათ დიდი შესაძლებლობების შექმნა. მდგრადი განვითარების წარმატებულ პოლიტიკას შეუძლია ხელი შეუწყოს მდგრად ინოვაციებსა და ინვესტიციებს პერსპექტიულ ტექნოლოგიებში, ვინაიდან კომპანიები და სოციალური ინოვაციები ქმნიან სამუშაო ადგილებს. უფრო მეტიც, მათ შეუძლიათ თავიდან აიცილონ დაბინძურებასთან დაკავშირებული გრძელვადიანი ხარჯები, გარემოს დეგრადაცია და ამის შედეგად გამონვეული საზოგადოებრივი პრობლემები, გააძლიერონ სოციალური კავშირები და დაგვარწმუნონ, რომ არ ხდება პლანეტის ეკოლოგიური ზღვრების გადაჭარბება (Die Bundesregierung, 2018, p. 2).

მეტი ინფორმაციისათვის:

ათასწლეულის განვითარების მიზნები (აგმ) წინ უსწრებდა მდგრადი განვითარების მიზნებს და წარმოადგენდა ჩრდილოეთ-სამხრეთის დახმარების დღის წესრიგს. ის ორიენტირებული იყო განვითარებად ქვეყნებზე (Harcourt 2005, 1 – ციტირებული S.Fukuda-Parr მიერ). ათასწლეულის განვითარების მიზნებისგან განსხვავებით, მდგრადი განვითარების მიზნები განსაზღვრავენ ნიშნულებს ყველასათვის (არა მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისათვის) და მოიცავენ მდგრადობის გარემოსეულ, სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებს, ხოლო ათასწლეულის განვითარების მიზნები ფოკუსირებული იყო სიღარიბის დაძლევაზე, რაც წარმოადგენდა განვითარების უფრო ვიწრო კონცეფციას.

მკვლევრები და პრაქტიკოსები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მუდმივი სიღარიბე და შიმშილი შეიძლება გამონვეული იყოს ფაქტორების რთული ურთიერთქმედებით, პოლიტიკური სიძლიერის ნაკლებობით, განათლებასა და სრულფასოვან კვებაზე მიუწვდომლობით. მათზე მოქმედებს ფაქტორები, რომლებიც ახდენენ გლობალური ეკონომიკური მმართველობის ფორმირებას და წარმოშობენ უთანასწორობას როგორც ქვეყნებს შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის. ასეთია, მაგალითად, მწარმოებლების პასუხისმგებლობა გარემოს დაცვისა და უთანასწორობის მიმართ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება მდგრადი განვითარების მიზნებსა (მგმ) და ათასწლეულის განვითარების მიზნებს (აგმ) შორის არის, თუ როგორ მოხდა მათი შემუშავება: დღის წესრიგი 2030 ფართო საკონსულტაციო პროცესის შედეგად შეიქმნა, რომელშიც მინანილეობას იღებდა სახელმწიფო ინსტიტუციები, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები, მკვლევრები, ბიზნეს ჯგუფები და გაეროს სააგენტოები (Norton and Stuart, 2015); ამ პროცესისგან განსხვავებით, ათასწლეულის განვითარების მიზნები (აგმ) ინიცირებული იყო განვითარების მი-

ნისტრებისა და განვითარების სააგენტოების ხელმძღვანელების მიერ, რომლებიც ეძებდნენ დახმარების ახალ რაციონალურ გზას ცივი ომის შემდგომი გეოპოლიტიკისა და ნეოლიბერალური გლობალიზაციის კონტექსტში (Fukuda-Parr and Hulme, 2011). ათასწლეულის განვითარების მიზნების (აგმ) შემუშავების პროცესი არ მოიცავდა კონსულტაციებს საზოგადოებასთან და მასში არ იყო ინტეგრირებული ცოდნის სხვადასხვა წყარო; უფრო მეტიც, ის არ ითვალისწინებდა მდგრადობის კუთხით ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით სფეროების ინტეგრაციას (UN Task Team on the Post 2015 Agenda 2012).

ცხრილი 1.1 გვიჩვენებს მდგრადი განვითარების (მგმ) და ათასწლეულის განვითარების მიზნებს (აგმ), რომლებიც განსხვავდება არა მხოლოდ ამოცანების და სამიზნეების რაოდენობით, არამედ მიზნებით, კონცეფციითა და პოლიტიკური პროცესით, რომელმაც განაპირობა მათი შექმნა (Fukuda-Parr, 2016).

ცხრილი 1.1. მგმ და აგმ			
	მგმ	vs	აგმ
მიზანი 1	სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა	მიზანი 1	უკიდურესი სიღარიბის და შიმშილის აღმოფხვრა
მიზანი 2	შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოება და გაუმჯობესებული კვება, მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	მიზანი 2	უნივერსალური საყოველთაო დაწყებითი განათლების მიღწევა
მიზანი 3	ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველასათვის, ნებისმიერ ასაკში	მიზანი 3	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალების გაძლიერება
მიზანი 4	ხარისხიანი განათლება და უწყვეტი განათლების შესაძლებლობები ყველასათვის	მიზანი 4	ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება
მიზანი 5	გენდერული თანასწორობა	მიზანი 5	დედების ჯანმრთელობის გაუმჯობესება
მიზანი 6	წყლისა და სანიტარული სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მდგრადი მართვა ყველასათვის	მიზანი 6	აივ / შიდსის, მალარიისა და სხვა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა
მიზანი 7	ყველასათვის ხელმისაწვდომი, საიმედო, მდგრადი და თანამედროვე ენერჯის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	მიზანი 7	გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფა
მიზანი 8	ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება, ღირსეული სამუშაო ყველასათვის	მიზანი 8	გლობალური თანამშრომლობის განვითარება
მიზანი 9	მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და მდგრადი ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობა და ინოვაციების განვითარება		
მიზანი 10	ქვეყნებში და ქვეყნებს შორის უთანასწორობის შემცირება		
მიზანი 11	მდგრადი ქალაქები და დასახლებები		
მიზანი 12	მდგრადი მოხმარება და წარმოება		
მიზანი 13	გადაუდებელი ზომების მიღება კლიმატის ცვლილებასთან და მის გავლენასთან საბრძოლველად		
მიზანი 14	კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება ოკეანების, ზღვების და საზღვაო რესურსების შენარჩუნება		
მიზანი 15	ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენება, ტყეების მდგრადი მართვა, გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლა, მიწის დეგრადაციისა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვის შეჩერება		
მიზანი 16	მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოებების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ყველასათვის სამართლიანობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ეფექტიანი და გამჭვირვალე ინსტიტუციების შენება ყველა დონეზე		
მიზანი 17	განხორციელების საშუალებების გაძლიერება და მდგრადი განვითარებისათვის გლობალური პარტნიორობის აღორძინება		

წყარო მდგრადი განვითარების მიზნების ფონდი (2020)

შემოთავაზებული სასწავლო სავარჯიშო:

თემა: მდგრადობა

სავარჯიშოს სახელი: მგმ და აგმ შედარება

ინსტრუქცია: წაიკითხეთ მგმ და აგმ. გააანალიზეთ თქვენს ჯგუფთან ერთად, თუ რატომ შეიცვალა ათასწლეულის განვითარების მიზნები 8 მიზნიდან 17-მდე. გადახედეთ შექმნის პროცესს, რომ უკეთ გაეცნოთ, თუ რატომ აირჩიეს დაფიქსირებული თემები. იფიქრეთ მიზნების შინაარსზე და იპოვეთ განსხვავებები განხილულ თემებში. რა არის ძირითადი განსხვავებები და რა იქნებოდა საერთო მიზანი, ინდივიდუალური მიზნების შესრულების შემდეგ?

სწავლის შედეგები:

- მგმ და აგმ ფორმირების სიღრმისეულად ცოდნა, ასევე მათი შექმნის და მდგრადი განვითარებისაკენ მიმართული ნაბიჯების გაგება.

თემა: მდგრადობა

სავარჯიშოს სახელი: მდგრადი ტურიზმის უკეთესი და უარესი სცენარები

ინსტრუქციები: სტუდენტები უნდა დავყოთ ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს სამუშაოდ ექნება კონკრეტული ქვეყანა; შერჩეული ქვეყნის კონტექსტში უნდა გააანალიზდეს ტურიზმის მდგრადი განვითარების საუკეთესო და ყველაზე უარესი შემთხვევები. ის უნდა იყოს დაკავშირებული მდგრადი განვითარების მიმართულებებთან, რომელიც წინა დავალებაშია განხილული. უნდა შეფასდეს, თუ რა კეთდება დანიშნულების ადგილებში როგორც კარგად, ასევე ცუდად (შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს SWOT სახით). იმ ცოდნის გათვალისწინებით, რომელიც მიღებულია მდგრადი განვითარების ასპექტების დავალებიდან, ჯგუფებმა უნდა შეიმუშაონ რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება სიტუაციის გაუმჯობესება ცუდი მაგალითების შემთხვევაში და მოახდინონ ფოკუსირება, თუ რა პრაქტიკის გათვალისწინება შეიძლება წარმატებული მაგალითებიდან.

სწავლის შედეგები:

- პრაქტიკულ კონტექსტში აცნობიერებს მდგრადი მიმართულებების მნიშვნელობას;
- სთავაზობს კონკრეტულ გადაწყვეტებს ან ინსტრუმენტებს დანიშნულების ადგილის მდგრადობის გასაზრდელად;
- ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას და კრეატიულობას;

მდგრადი ტურიზმი, როგორც ახალი ტიპის ურთიერთობა საზოგადოებასა, ეკონომიკასა და გარემოს შორის

ავტორების შენიშვნა:

შემდეგი თავი ეყრდნობა ჩვენ მიერ განუხლ სა-მუშაოებს, რომელნიც განხორციელდა COVID-19 პანდემიამდე პერიოდში და რამაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, სერიოზული გავლენა მოახდინა ტურიზმის ინდუსტრიაზე. სახელმძღვანელოს შემუშავების ფინალურ ეტაპზე, COVID-19-მა უპრეცედენტო გლობალური კრიზისი გამოიწვია. მთავრობები, მსოფლიო მასშტაბით, იძულებულნი გახდნენ, განეხორციელებინათ პოლიტიკა, რომელიც მოიცავდა მნიშვნელოვან შეზღუდვებს მოგზაურობის აკრძალვის/შემცირების, საზოგადოების იზოლაციისა და კარანტინის სახით, ასევე ბიზნესთან დაკავშირებულ სხვადასხვა რეგულაციას. აღნიშნული შეზღუდვები განხორციელდა ვირუსის სწრაფად გავრცელების თავიდან არიდების მიზნით (Gretzel et al, 2020). შესაბამისად, ტურიზმისა და მოგზაურობის ინდუსტრიამ განიცადა საკმაოდ მძიმე დარტყმა. ავიაკომპანიების, კრუიზების და სტუმარმასპინძლობის აქტივობები შემცირდა მინიმუმამდე, რამაც გამოიწვია ტურიზმთან დაკავშირებული ბიზნესსუბიექტების გაკოტრება (Vinod, 2020). ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების მიმართულებები კვლავ ბუნდოვანი რჩება, COVID-19 შესახებ ცოდნის ნაკლებობის გამო (Gretzel et. al, 2020).

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო მოგზაურობის კუთხით არსებულმა გამოწვევებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს და გააძლიეროს შიდა ტურისტული აქტივობები CaucaSusT პროექტის მინაწილე ქვეყნებში (სომხეთი, ავსტრია და საქართველო). ფაქტობრივად, COVID-19-ის მიერ შექმნილი გამოწვევები და მათი გავლენა შემთხვევის შესწავლის თემებზე, ასევე შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პოტენციალი, იქნება ჩვენი პარტნიორების მიერ ჩატარებული შემთხვევის შესწავლის კურსის ძირითადი ფოკუსი.



ტურიზმს შეუძლია მდგრადი განვითარებისათვის დღის წესრიგი 2030-ის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება – მასზეა დამოკიდებული მრავალი ადამიანის საარსებო წყარო, განსაკუთრებით მოწყვლად და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. უფრო მეტიც, მრავალ ქვეყანაში ბიომრავალფეროვნების დაცვა დიდწილად ეყრდნობა ტურიზმის სექტორს, რაც ბუნების დაცვასთან დაკავშირებული შემოსავლის წარმოქმნას უწყობს ხელს. ტურიზმი აღიარებულია, როგორც პლატფორმა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა კულტურის ხალხს, შესაბამისად, ის ხელს შეუწყობს ურთიერთგაგებას, გლობალურ თანამშრომლობას, სოლიდარობას და ნდობას. განვითარების ახალი მიდგომები, მათ შორის, რომლებიც შემოთავაზებულია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მიერ, ხელს უწყობს ტურიზმში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს, რომ შეისწავლოს, თუ როგორ შეამცირონ ამ სექტორის უარყოფითი გავლენა გარემოსა და კლიმატურ ცვლილებებზე.

ტურიზმის სექტორის "ახალი" პარადიგმები ითვალისწინებს მდგრადი განვითარების პრინციპებს, ტურიზმის ინიციატივების გრძელვადიანი მდგრადობის მისაღწევად და საზოგადოებასა და ბუნებას შორის უკეთესი ჰარმონიის უზრუნველსაყოფად. ეს პარადიგმები ეხება არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდას (მაგ. რეგიონული ეკონომიკის გაძლიერება, გრძელვადიანი ინვესტიციების დაგეგმვა), არამედ გარემოს ასპექტებსაც (მაგ. ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერჯის გამოყენება, ნეგატიური ზემოქმედების შემცირება ბუნებრივ რესურსებზე, როგორცაა ლანდშაფტი, ჰაერი, წყალი, ნიადაგი) და სოციალურ სოლიდარობას (მაგ. ჯანმრთელობა, ცხოვრების ხარისხი, განათლება, მონაწილეობა, ადამიანის უფლებები, კულტურული ღირებულებები). გარდა ამისა, მათი მიზანია სასურველი ბალანსის მიღწევა ამ სამ განზომილებას შორის.

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, ყოველი მეათე სამუშაო ადგილი ტურიზმის ნაწილია, ასევე, ინვესტიციების ოთხი პროცენტი და მთლიანი მსოფლიო ექსპორტის ხუთი პროცენტი პირდაპირ კავშირშია ტურიზმთან (WTTC, 2018). გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზებით, ზრდის ტემპი მომავალშიც შენარჩუნდება და 2030 წელს საერთაშორისო ჩამოსვლები მიაღწევს 1.8 მილიარდს (UNWTO, 2017).

***ტურიზმის ინდუსტრიის შორსმომავალი ზემოქმედება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ეს სექტორი დიდ გავლენას ახდენს ბევრ ადგილობრივ მცხოვრებზე, რომლებიც ამ დარგიდან იღებენ**

სარგებელს, თუმცა არ არსებობს გარანტია, რომ ამან ტურიზმი მდგრად ბიზნესად აქციოს.

ისეთი ასპექტების გათვალისწინებით, როგორცაა ტურისტული ობიექტებისა და არელების ჭარბი დატვირთვა, მასობრივი და ტრადიციული ტურიზმის უპირატესი გავრცელება, ძალიან მნიშვნელოვანი ხდება ტურიზმის ალტერნატიული ფორმების დანერგვა, ვიზიტორების მენეჯმენტი და მონიტორინგი. მდგრადი განვითარების კონცეფციის გასაღებს შეზღუდვები წარმოადგენენ. ტურიზმის მხრივ, შეზღუდვები, როგორც წესი, გამოხატული იქნება ვიზიტორთა რაოდენობაში. დანიშნულების ადგილს შეუძლია გაუძლოს მხოლოდ გარკვეული რაოდენობის დატვირთვას და ტურისტების სასურულ რაოდენობას; სხვა შემთხვევაში ტურიზმის ზემოქმედება მიიღებს ნაკლებად სასურველ ფორმას (Butler, R., 1999: 16). ამ დრომდე მკვლევრებმა ვერ დაადგინეს ტურისტების ოპტიმალური რაოდენობა, რომლებიც შეიძლება განთავსდნენ გარკვეულ არეალში, ყოველგვარი უარყოფითი ეფექტის გარეშე. უმეტეს შემთხვევაში, მკაფიო ზღვარის დადგენა რთულია და დამოკიდებულია ცვლადების საკმაოდ ფართო სპექტრზე, როგორცაა: ლოკაციის სპეციფიკური მახასიათებლები, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და აქტივობების მახასიათებლები და ა.შ. არ არის განსაზღვრული ტურისტებისა და ვიზიტორების კუმულაციური და გრძელვადიანი გავლენა გარემოსა და ადგილობრივ საზოგადოებებზე/თემებზე, რაც ინვესს არაინფორმირებულობასა და გაურკვევლობას დროის გარკვეულ პერიოდებში.

ტრადიციული ტურიზმისაგან განსხვავებით, მდგრადი ტურიზმი შედარებით ახალი სფეროა. მასობრივი ტურიზმისგან განსხვავებით, შეიქმნა რიგი ახალი/ალტერნატიული ინტერპრეტაციებისა, რამაც ხელი შეუწყო ერთი შეხედვით ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტურიზმის ფორმების დანერგვას. თემატიკის სირთულის გამო, ტურიზმის ალტერნატიული ფორმების ყოვლისმომცველი და საყოველთაოდ მიღებული ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული; მდგრადი ტურიზმი მიღებულია, როგორც ერთგვარი ქუდი ტურიზმის სხვადასხვა სახეობისათვის, როგორცაა, სოფლის, ეკო- და აგრო-ტურიზმი, ბუნებაზე დაფუძნებული, ურბანული ან, თუნდაც, თვით მასობრივი ტურიზმი, რამდენადაც ოპერატორები და სტიკჰოლდერები იცავენ მდგრადობის ინსტრუქციებს/გაიდლაინებს.

“რბილი” ან “მწვანე” ტურიზმი, რაც პირველად გაჟღერდა 1977 წელს გერმანელი მეწარმის ფრედ ბაუმგარტნერის მიერ – ისინი გახდნენ მდგრადი

ტურიზმის წინამორბედები. მდგრადი ტურიზმი, როგორც ტერმინი, 1980-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა, მისი სერიოზულად განხილვა კი 1990-იანი წლების შუა პერიოდში დაიწყო და მიღებულ იქნა ისეთი საერთაშორისო და სამთავრობოთაშორისი ორგანიზაციების მიერ, როგორცაა UNEP and UNWTO.

მდგრადი ტურიზმის კონცეფციის მკაფიოდ აღსაქმელად რამდენიმე დეფინიციის სინთეზი მოხდა; ერთ-ერთი კარგად ცნობილი UNEP და UNWTO მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის დეფინიციას (2019):

“ტურიზმი, რომელიც სრულად ითვალისწინებს მიმდინარე და მომავალ ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოზე გავლენას, ვიზიტორთა, ინდუსტრიის, გარემოსა და მასპინძელი თემების საჭიროებების გათვალისწინებით“.

სხვა სიტყვებით, მდგრადი ტურიზმი ხელს უწყობს არსებული რესურსების გრძელვადიან მართვას ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მასპინძელი თემების სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილება, კულტურული ინტეგრირების ხელშეწყობა, ბიომრავალფეროვნებისა და არსებითი ეკოლოგიური პროცესების შენარჩუნება (Barlet S., Collombon J.M., 2004). ასეთი ტიპის პროდუქტი უნდა ფუნქციონირებდეს ადგილობრივ კულტურასთან, გარემოსთან და თემთან ჰარმონიაში.

ტურიზმის ალტერნატიული ფორმები დაკავშირებულია მრავალი ახალი საქმიანობისა და ბიზნეს მოდელის შემუშავებასთან, რაც ამცირებს რესურსების გადაჭარბებულ მოხმარებას. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ადგილობრივი (სოფლის) ეკონომიკის დივერსიფიკაცია და თემის კეთილდღეობის გაუმჯობესება. სხვადასხვა კვლევამ აჩვენა, რომ თემზე ორიენტირებულმა ინიციატივებმა შეიძლება ხელი შეუწყოს გრძელვადიან განვითარებას და რომ სოფლის ტურიზმის პროექტების წარმატება დამოკიდებულია ადგილობრივ შესაძლებლობებზე, ცოდნასა და უნარებზე. ეს საზოგადოებას საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღებისა და მართვის პროცესებში (Sidali et al., 2015; Idziak et al., 2015). თემზე ორიენტირებული აქტივობების სრულფასოვანი ჩართვა ტურიზმში მდგრადი განვითარების მთავარი ასპექტია. ის განაპირობებს საზოგადოების მონაწილეობას ტურისტული საქმიანობის განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და ხელს უწყობს ადგილობრივი საზოგადოების სოციალურ სწავლებას და მის გაძლიერებას (Giampiccoli and Mtapuri, 2017).

ზოგიერთი ქვეყნისგან განსხვავებით, ტურიზმის ალტერნატიული ფორმების ფართოდ გავრცელების და პოპულარობის მიუხედავად, ტურიზმის ახალი ფორმები შედარებით ცოტა ხნის წინ გამოჩნდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, რომლებიც კვლავ განიცდიან დეცენტრალიზაციის გამოწვევებს და იმყოფებიან სოფლის განვითარების მდგრადი კონცეფციების, ასევე რეგიონული პარტნიორობის გაძლიერების გზების ძიებაში. ასოციაციების ხელშეკრულება ევროკავშირსა და საქართველოს შორის (2014), ასევე ევროკავშირსა და სომხეთს შორის ყოვლისმომცველი და გაღრმავებული პარტნიორობის შეთანხმება (2017) ითვალისწინებს, სხვა საკითხებთან ერთად, თემზე დაფუძნებული ტურიზმის მხარდაჭერას.” (ასოციაციის შეთანხმება, 2014: 116). ხელშეკრულებაში ხაზგასმულია ადგილობრივი თემების ჩართულობის მნიშვნელობა ტურიზმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, რაც ასევე მოიცავს თანასწორობას გადაწყვეტილების მიღებისას (Khartishvili et al. 2019). ამასთან, არსებობს გარკვეული გამოწვევები ცოდნის თვალსაზრისით, იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავს სოფლის, ეკო-, აგრო- ბუნებაზე და თემზე დაფუძნებული ტურიზმის კონცეფციები, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კონტექსტში. შემდეგ ქვეთავში აღწერილია ალტერნატიული ტურიზმის რამდენიმე ფორმა.

ალტერნატიული და მდგრადი ტურიზმის ფორმები

ეკოლოგიური ტურიზმი (ეკოტურიზმი. ხშირად მოიხსენიებენ როგორც მწვანე, პასუხისმგებლიან, ასევე ბუნებაზე დაფუძნებულ ტურიზმს).

ეკოტურიზმმა პოპულარობა მოიპოვა 1990-იან წლებში ჩრდილოეთ ამერიკაში, რადგან გაიზარდა ინტერესი ველური ბუნების მიმართ და პასუხისმგებლიანი მოგზაურობისადმი, რამაც გააუმჯობესა ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები და ხელი შეუწყო გარემოს დაცვასა და შენარჩუნებას. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, მადაგასკარში, კოსტა-რიკასა და კენიაში, ტურიზმის ეს ფორმა არის უცხოური ვალუტის გენერირების ძირითადი წყარო (Juganaru et al., 2008: 799).

ეკოტურიზმი არის მწვანე ტურიზმის სახეობა, რომელიც ეხმარება ე.წ. „მყიფე რეგიონების“ გარემოსა და ადგილობრივი თემების კონსერვაციას (The International Ecotourism Society, 2018). ის ერთგვარად წარმოადგენს ნაკლები ზემოქმედების მქონე აქტივობას და ხშირად განიხილება სტანდარტული კო-

მერციული მასობრივი ტურიზმის მცირემასშტაბიან ალტერნატივად (Balmford et al., 2009). ეკოტურიზმი განმარტებულია შემდეგი სახით:

“პასუხისმგებლიანი მოგზაურობა ბუნებრივ გარემოში, რაც ხელს უწყობს გარემოს დაცვას და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას. მისი ძირითადი კომპონენტებია გარემოსდაცვითი ცნობიერება ინტერპრეტაციის გზით, ეკოსისტემის შენარჩუნება, ადგილობრივი მცხოვრებლების ინტერესების დაცვა“ (The International Ecotourism Society, 2018).

ეკოტურიზმი ხალხსა და საზოგადოებაზე ორიენტირებული და რესურსებზე დაფუძნებული მასობრივ სიათებლებით დაკავშირებულია აგრო- და თემზე დაფუძნებულ ტურიზმთან და ერთ-ერთი საკვანძო გადანაცვება მდგრადი განვითარების თვალსაზრისით.

მეტი ინფორმაციისათვის:

საქართველოს კონტექსტში, ეკოტურიზმის დეფინიცია და ხედვა შემუშავებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომლებმაც გააანალიზეს საქართველოს ეკოტურისტული ბაზრის პოტენციალი (Khartishvili and Baumgartner, 2020)*. ეს დოკუმენტი გამოყენებული იქნება, როგორც ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგიის და 2020-2030 წლების სამოქმედო გეგმის მომზადების საფუძველი, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სტრატეგიის 2030 შესაბამისად, ასევე დაცული ტერიტორიებისა და ეროვნული სატყეო სააგენტოების ეკოტურიზმის განვითარების ხედვისა და სტრატეგიების შესამუშავებლად.

ეკოტურიზმის განმარტება საქართველოსთვის

ეკოტურიზმი არის სოციალურად და ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი მოგზაურობის პაკეტი – არამოტორიზებული აქტივობები და სერვისები, რომლებიც გვთავაზობენ ბუნების და კულტურულ გამოცდილებასა და ინტერპრეტაციას და სათანადოდაა ორგანიზებული გარემოზე ნაკლები ზეგავლენის მიზნით. ის ხელს უწყობს მოგზაურების მიერ ბუნების შემეცნებას, ასევე, განსაზღვრავს და აღვივებს ადგილობრივი რეზიდენტების მიერ საკუთარი ბუნებრივი და კულტურული ღირებულებების პატივისცემას. ამრიგად, ის ხელს უწყობს ბუნების შენარჩუნებას, ეკოსისტემის სერვისების მდგრად გამოყენებას, გააჩნია დამატებული ღირებულება რეგიონისათვის და ხელს უწყობს ცხოვრების მაღალი ხარისხის დამკვიდრებას ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ეკოტურიზმის ხედვა საქართველოსთვის 2030 წლისათვის საქართველო გახდება ოთხი სეზონის ეკოტურისტული დანიშნულების წამყვანი ადგილი კავკასიის რეგიონში, რასაც განაპირობებს მდიდარი კულტურა და ბუნება, ასევე მაღალი ხარისხის სერვისები.

ეკოტურიზმი საქართველოში უზრუნველყოფს ავთენტიკურ გამოცდილებებს ტურისტებისათვის, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებში და მოაქვს სარგებელი ადგილობრივი თემებისათვის. ამავე დროს, ის ინარჩუნებს თავის რესურსებს და ზრდის ცნობიერებას გარემოსდაცვითი კუთხით ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში.

* ეკოტურიზმის საქართველოს ბაზრის პოტენციური ანალიზი განხორციელდა კერძო სექტორის განვითარების, ტექნიკური პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სამხრეთ კავკასიის პროგრამის ფარგლებში, GIZ (German Corporation for International Cooperation GmbH) მხარდაჭერით.

სოფლის ტურიზმი

პრაქტიკაში „სოფლის ტურიზმის“ უამრავი განმარტება არსებობს. განმარტებების უმეტესობაში სოფლის ტურიზმი განიხილება, როგორც საკმაოდ ფართო ქოლგა-კონცეფცია. ის, სოფელში განთავსების ან ფერმაში/მინამეურნეობაში ყოფნის საფუძველზე/პირობებში, ითვალისწინებს ბევრი სხვადასხვა სახის ტურისტულ საქმიანობას. მისი განხორციელების ადგილი შეიძლება იყოს სოფლებიც ან პატარა ქალაქებიც, სადაც სოფლის მეურნეობა სულაც არ არის მნიშვნელოვანი ფაქტორი. სოფლის ტურიზმი ემყარება ადგილობრივ რესურსებს, როგორცაა ტრადიციული გარემო და კულტურული მემკვიდრეობა (მატერიალური და არამატერიალური).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD (1994) სოფლის ტურიზმს აღწერს შემდეგი სახით: “ტურიზმი, რომელიც სოფლად ხორციელდება”. ეს შედარებით ზოგადი დეფინიციაა, მაგრამ შემდეგ დაკონკრეტებულია, რომ სოფლის ტურიზმი რთული და მრავალმხრივი საქმიანობაა: „ის არ არის მხოლოდ ფერმაზე/მეურნეობაზე დაფუძნებული ტურიზმი. ის მოიცავს ფერმაში ყოფნაზე დამყარებულ არდადეგებს და ასევე გულისხმობს განსაკუთრებულ ინტერესს ბუნებაში დასვენებასა და ეკოტურიზმზე, სეირნობაზე, კლდეზე ცოცვასა და საცხენოსნო დასვენებაზე, თავგადასავლებზე, სპორტსა და გამაჯანსაღებელ ტურიზმზე, ნადირობასა და თევზაობაზე, საგანმანათლებლო მოგზაურობაზე, ხელოვნებასა

და კულტურულ ტურიზმზე, გარკვეულ არეალებში კი მოიცავს ეთნიკურ ტურიზმსაც“ (OECD, 1994: 9).

აგროტურიზმი

აგროტურიზმი არის სოფლის ტურიზმის ერთ-ერთი ფორმა. ეს არის „კომერციული საწარმო, რომელიც მოქმედებს ფერმაში/შინამეურნეობაში და ითვალისწინებს დასვენების მიზნით ტურისტების ვიზიტებს სასოფლო არეალებში ან/და ეკოლოგიურად სუფთა ადგილებში გართობის ორგანიზებას (Szrajder et al., 2009: 3). ის, უმეტეს შემთხვევაში, მკაფიოდ უკავშირდება ფერმებსა და სოფლის მეურნეობის ღონისძიებებს. ის შეიძლება მოიცავდეს აგრეთვე სოფლის მეურნეობის მუზეუმებს, რეგიონული პროდუქტების გამოფენებს და (ფერმერთა) ბაზრებს/ბაზრობებს.



მეტი ინფორმაციისათვის:

დღესდღეობით არსებობს რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ასოციაციების საკმაოდ ფართო სპექტრი სოფლის ტურიზმისა და აგროტურიზმის მიმართულებით. ისინი ძირითადად მოქმედებენ, როგორც არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც ეხმარებიან მათ წევრებს მარკეტინგში, ლობირებაში, ქსელების განვითარებასა და ტრენინგში (Embacher, 2014, Khartishvili et al., 2019). მასპინძელი შინამეურნეობების პირველი ეროვნული ქსელი ევროპაში, რომელიც ექსკლუზიურად არ იყო ფოკუსირებული სოფლის ტურიზმზე, დაარსდა საფრანგეთში 1955 წელს (Fédération Nationale des Gîtes de France) (Chiran et al., 2016). ავსტრიაში, სადაც მეურნეობებში დასვენების ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს, ინდივიდუალურმა ინიციატივებმა პროვინციულ დონეზე 1991 წელს შექმნეს მძლავრი ეროვნული ასოციაცია – Urlaub am Bauernhof (Farmholidays Austria). ამჟამად ეს ასოციაცია აერთიანებს 9,900 ფერმას/მეურნეობას (ავსტრიის ფერმების 8%), წარმოადგენს ტურისტული საწარმოე-

ბის 20%-ს და ფლობს ყველა ტურისტული საწარმო ადგილების დაახლოებით 13% -ს ავსტრიაში (Novelli et al., 2006).



რეგიონულ დონეზე სოფლის ტურიზმის ასოციაციის წარმატებული მაგალითი შეგიძლიათ იხილოთ სამხრეთ ტიროლში, იტალია. იქ ბრენდის და ხარისხის ნიშანი “Roter Hahn” (წითელი მამალი) შეიქმნა სამხრეთ ტიროლში ფერმაში დასასვენებლად ღობის შესაქმნელად და იმ მიზნით, რომ ფერმერებისათვის შეეთავაზებინა მათი მეურნეობის საქმიანობის მდგრადი ფინანსური კონცეფციები. ასოციაცია დღეს 1,665 ფერმას აერთიანებს (სამხრეთ ტიროლის ყველა მეურნეობის დაახლოებით 60%) და ქმნის მთლიანი ღირებულების 8.3%-ს სამხრეთ ტიროლში (Idziak et al., 2015).



სოფლის ტურიზმის ევროპული ფედერაცია (EuroGites) დაფუძნდა 1990 წელს და წარმოადგენს 31 პროფესიულ ორგანიზაციას ევროპის 28 ქვეყნიდან. ორგანიზაციის დაარსების მიზანი იყო სოფლის ტურიზმის ადვოკატირება ევროკავშირის დონეზე. ეკოლოგიური და სოფლის ტურიზმის ევროპული ცენტრი (ECEAT) დაარსდა 1992 წელს. ის ფოკუსირებულია ორგანულ ფერმებში დასვენებაზე.

სოლიდარობა და პასუხისმგებლიანი ტურიზმი

როგორც განმარტებულია საერთაშორისო ფორუმის მიერ (მარსელი, საფრანგეთი 2003), სოლიდარული ტურიზმი არის სოციალური მოძრაობა, რომ ტურისტული დანიშნულების ადგილებში ტურიზმი გაკონტროლდეს ადგილობრივი თემის სასარგებლოდ. როცა ყველა დაინტერესებული მხარე მოქმედებს პასუხისმგებლობით, სოლიდარული ტურიზმი ხელს უწყობს დიალოგს და ქმნის ურთიერთდახმარების შესაძლებლობებს ტურისტებსა და მასპინძლებს შორის. მომხმარებლის პერსპექტივით, პასუხისმგებელ მოგზაურებს მდგრადი ტურიზმის კუთხით უფრო ფართო მიზნები აქვთ, ვიდრე უბრალოდ დანიშნულების ადგილის მონახულებაა. პასუ-

ხისმგებლიანი ტურისტების ქცევა კომპლექსური, დინამიკური და მრავალმხრივია (Stanford, 2008). ისინი ეძებენ დასვენებისათვის ტურისტული დანიშნულების ადგილებს, რომლებიც სთავაზობს მეტ ინტერაქციას ადგილობრივ თემთან, ვიდრე ხელოვნური „მოგზაურობის სამყარო“. ისინი მონოდებულნი არიან, იყვენენ პასუხისმგებლიან ინტერაქციაში ადგილობრივებთან და გარემოსთან და მდგრადობის უზრუნველყოფით განახორციელონ აქტივობები. ხშირ შემთხვევაში ისინი მიმართავენ ნაკლებად მოხმარებლურ ცხოვრების წესებს (Miller, 2003). ამ ტიპის მომხმარებლების საშემსყიდველო გადაწყვეტილებებს გარკვეული ეთიკური საფუძველი აქვს და ემყარება ალტრუისტულ მოტივაციებს.

თემზე დაფუძნებული ტურიზმი – უფრო განვითარების მიდგომა, ვიდრე ტურიზმის ფორმა

თემზე დაფუძნებული ტურიზმის მიდგომა, რომელიც ფართოდ გავრცელდა 1970-იანი წლებიდან (Novelli et al., 2017), გლობალურ სამხრეთში სოფლისა და ტურიზმის განვითარების სტრატეგიების განუყოფელი ნაწილი გახდა (Lane and Kastenholtz, 2015). ტურიზმის სხვა ალტერნატიულ ფორმებთან შედარებით, როგორცაა სოფლის, ეკო-, აგრო- ან ბუნების ტურიზმი, თემზე დაფუძნებული ტურიზმი არ წარმოადგენს ტურიზმის ტიპს. ასეთი ტურისტული პრაქტიკა მიზნად ისახავს ბუნების შენარჩუნებას და თემებში საარსებო წყაროების გაუმჯობესებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესის მეშვეობით. ის განიხილება, როგორც ძლიერი თემების განვითარების ინსტრუმენტი, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურ ერთიანობას და თანამონაწილეობით მმართველობას ლოკალურ დონეზე.

თემზე დაფუძნებული ტურიზმი, ტურიზმის განვითარებისადმი მისი მიდგომით, არის ერთგვარი პასუხი ზემოდან წამოსულ (top-down) დაგეგმვაზე (Novelli et al., 2017). თემზე დაფუძნებული ტურიზმი განიხილება, როგორც პროცესი, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას – წევრების ჩართულობას, თვითდაჯერებულობას და სოციალურ სწავლებას (Goodwin and Santilli, 2009). ტურიზმის ლიტერატურაში თემზე დაფუძნებული ტურიზმის ყველაზე პოპულარული აღწერას გვთავაზობს საარინი (Saarinn): „[ტურიზმი] მფლობელობაშია და მართულია თემის მიერ, თემისთვის, ხოლო სტუმრებს საშუალებას აძლევს, გაზარდონ თავიანთი ინფორმირებულობა და გაეცნონ საზოგადოებას და ადგილობრივი ცხოვრების წესებს“ (Suansri, 2003).

თემზე დაფუძნებული ტურიზმი სამხრეთ კავკასიაში არის საზოგადოების განვითარების პრაქტიკა არაუბრუნული ადგილებისა და მთის სოფლებისთვის. ეს არის ერთობლივი ძალისხმევა ადამიანთა ჯგუფისა, რომლებიც ცხოვრობენ გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში, სადაც ადგილობრივი კულტურა, გარემო და სტუმართმოყვარეობა წარმოადგენს მთავარ უპირატესობას. თემზე დაფუძნებული ტურიზმი ფოკუსირებულია ადგილობრივი მოსახლეობის სარგებელზე, შესაძლებლობების განვითარებასა და გაძლიერებაზე. ის უნდა წარმოადგენდეს ტურისტული საქმიანობის საკვანძო კომპონენტს მთიანი რეგიონებისათვის.

მეტი ინფორმაციისათვის:

ტურიზმი საქართველოში – ბუნებაზე ორიენტირებული ტურიზმის უპირატესი გავრცელება


ბოლო ათწლეულების განმავლობაში, საქართველოში ტურიზმი გახდა ერთ-ერთი წამყვანი ინდუსტრია შემოსავლის მიღებისა და ქვეყნის სავაჭრო დეფიციტის კომპენსაციის მხრივ. ის გახდა სამთავრობო ორგანიზაციების ფართო სპექტრის ზრუნვის საგანი და მათი სტრატეგიული დოკუმენტების განუყოფელი ნაწილი, როგორც სასოფლო რეგიონების გაჯანსაღებისა და დივერსიფიკაციის პოტენციალის მატარებელი. ტურიზმის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია მთიანი რეგიონებისათვის, სადაც უმუშევრობა, ინფრასტრუქტურის ნაკლებობა და მასშტაბური მიგრაცია მთავარ გამოწვევად რჩება.

3.7 მილიონი მოსახლეს ქვეყანამ მიიღო 5 მილიონამდე მოგზაური 2018 და 2019 წელს (GNTA, 2019), და ქვეყანაში საერთაშორისო ტურიზმის ზრდა სწრაფია; ბოლო 10 წლის განმავლობაში საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა თითქმის 3-ჯერ გაიზარდა (Municipal Development Fund of Georgia and GNTA, 2018).

ბუნებაზე ორიენტირებული ტურისტული აქტივობის თვალსაზრისით, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2018 წლის კვლევის მიხედვით (GNTA), მიზნობრივი კუთხით, მთლიანი ტურისტული აქტივობების 42.7% ბუნებაზე იყო ორიენტირებული (ნახაზი 1.3). უნდა აღინიშნოს, რომ ამ სეგმენტში მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვთ ადამიანთა ჯგუფებს, რომელთა მთავარი მოტივაცია არის დასვენება სანაპიროზე ან ზამთრის კურორტებზე (Ministry of Economy and Sustainable Development and GNTA, 2015). ეს ტენდენცია გარკვეულწილად შესაბამისობაშია ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო მასშტაბით დაფიქსირებულ ტურისტების მოტივაციებთან, რომლის მიხედვითაც ტუ-

რისტების დიდ ნაწილს აინტერესებს სუფთა გარემო, ეროვნული პარკები და ა.შ.

ნახაზი 1.3 მოგზაურობის ძირითადი მიზნები საქართველოში 2017 და 2018 წელს




Source: GNTA, (2018, 2019)

ლეგენდა (ზევიდან ქვევით): არდადეგები, დასვენება, რეკრეაცია; მეგობრების, ნათესავების მონახულება; ტრანზიტი; ბიზნესი ან პროფესიული (მოგზაურობა); სხვა.

სოფლის, ეკოლოგიური და აგროტურიზმის პოტენციალის გამოყენება ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის და საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წინაპირობაა (მათ შორის ურბანულ ადგილებში მცხოვრები მოსახლეობისათვის). ამავ დროს, ტურიზმი საფრთხეს უქმნის ადგილობრივ სოფლებს და დაცულ ტერიტორიებს რამდენიმე შესაძლო უარყოფითი ეფექტის გამო. ამრიგად, ეს მოითხოვს ყოვლისმომცველ, სისტემურ აზროვნებასა და სისტემური განვითარების მიდგომას, რომელიც თანაბრად ფოკუსირდება სხვადასხვა ქვესისტემაზე, მდგრადი განვითარების სამი ძირითადი სფეროზე.

ნახაზი 1.4. ტურიზმის მენეჯმენტის მოდელი



* აღნიშვნები: 1. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; 2. სტეა; 3. დამო; 4. რეგიონული მმართველობის ოფისი; 5. მუნიციპალიტეტები; ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი; 6. განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა სერვისი; 7. მუნიციპალიტეტების ტურისტული განვითარების ცენტრები.

წყარო ლ. ხარტიშვილი

ტის – გარემოსდაცვითი, სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური საკითხების – გათვალისწინებით.

ტურიზმის მენეჯმენტის სტრუქტურა ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე – საქართველოს მაგალითი*

ტურიზმის სექტორს ეროვნულ დონეზე მართავს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (სტეა). დანიშნულების ადგილი მართვის (დამო) ოთხი ორგანიზაცია და 17 ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი მართავენ ტურიზმს რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის დამფინანსებელი წევრები არიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტები (გარდა მესტიაში დაფუძნებული ახალი დამო სუბიექტისა, რომელიც შედგება როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან), მაგრამ მრჩეველთა საბჭო შედგება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, ადგილობრივი მთავრობის, კერძო ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან.

ნახაზი 1.4 გვიჩვენებს ქვეყანაში ტურიზმის მართვის ზოგად მოდელს, სადაც დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციას აქვს ცენტრალური პოზიცია ტურიზმის მენეჯმენტის სისტემის დეცენტრალიზაციის კუთხით, ასევე, საქართველოს ტურისტული დანიშნულების ადგილების პოზიციონირებისა და მარკეტინგის თვალსაზრისით. დამო ემსახურება მრავალმხრივ დიალოგს, რათა ტურიზმის პროვადერებმა, სხვა შესაბამისი ინდუსტრიის წარმომადგენლებმა, მთავრობამ და საზოგადოების ლიდერებმა ერთად დაგეგმონ ტურიზმის სამომავლო განვითარება იმისათვის, რომ ეფექტიანად მოხდეს როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვა, ასევე ინვესტიციების მოზიდვა და სამუშაო ადგილების შექმნა.

ამჟამად საქართველოში დაარსებულია ოთხი დამო, მათ შორისაა იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში. მათი მიზნები და ამოცანები კანონმდებლობის შესაბამისად არის განსაზღვრული:


1. რეგიონებში განავითარონ უნიკალური ტური-სტული პროდუქტები და მომსახურებები, მდგრადი განვითარების პრინციპების საფუძველზე.
2. რეგიონებში ტურიზმის ხელშეწყობა სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებით და მხარდაჭერით, მჭიდრო თანამშრომლობით და საჯარო და კერძო სექტორების ჩართულობით.
3. მხარი დაუჭირონ რეგიონების პოპულარიზაციას როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს

გარეთ.

4. ტურიზმის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება, მდგრადი განვითარების პრინციპებისა და ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად.
5. რეგიონებში ბიზნესის ხარისხის გაუმჯობესების განვითარების პროცესში წვლილის შეტანა.
6. რეგიონებში ვიზიტების ხანგრძლივობის და ვიზიტორთა დანახარჯის გაზრდა (მეტი სერვისის შეთავაზების საშუალებით).

* აღნიშნული ქვეთავის ინფრომაცია ეფუძნება შემდეგ წყაროს: Khartishvili and Baumgartner (2020).

ნახაზი 1.5 დანიშნულების ადგილის მართვის (DMO) ორგანიზაციის სტრუქტურა




წყარო: Georgian Ecotourism Association's tourism market baseline study for the project GRETA (Green Economy: Sustainable Mountain Tourism and Organic Agriculture), funded by the Austrian Development Agency and Swedish International Development Cooperation Agency. პროექტი ხელს უწყობს ბენეფიციარების შემოსავლის ზრდისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნას მთის ტურიზმისა და ორგანული სოფლის მეურნეობის სექტორებში და ქართული მცირე და საშუალო საწარმოების პროფესიონალიზმისა და ხარისხის ამაღლებას.

შემოთავაზებული სასწავლო სავარჯიშოები:

თემა: მდგრადობა

სავარჯიშოს დასახელება: მდგრადი ტურიზმის განვითარების მიმართულებები
ინსტრუქციები: დაყავით სტუდენტები მცირე ჯგუფებად და მიეცით საშუალება, მოიფიქრონ მდგრადი ტურიზმის განვითარების სხვადასხვა განზომილების მაგალითები. ჯგუფებს შეუძლიათ შეადარონ პასუხები და დაამატონ ზემოთ აღნიშნულს. მათ უნდა გაითვალისწინონ ამ სწავლების დროს მდგრადობის სამი ასპექტი. აქ მოცემულია პასუხის რამდენიმე მაგალითი:



გარემოს განზომილება: ხელუხლებელი ბუნებრივი ადგილები და ლანდშაფტები, ასევე, კომპანიებში გარემოსდაცვითი მენეჯმენტი.

- ენერჯის მინოდება (განახლებადი ენერჯის წყაროები) და ენერგოეფექტურობა
- წყალი და ნარჩენები
- ოთახის დასუფთავება
- გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემები
- ეკოსერტიფიცირება, ISO 9001, 14001
- მობილობა – გადაადგილება დანიშნულების ადგილამდე და მის ფარგლებში
- აქტივობები (მაგ., გადაადგილება მაღალი გავლობის გარეშე)

ეკონომიკური განზომილება: ტურიზმი უნდა იყოს ჩართული მდგრად, რეგიონული სპეციფიკის მქონე ქსელურ ეკონომიკაში.

- რეგიონული პროდუქტები
- რეგიონული მომსახურება – ხელნაკეთობები, ავეჯი
- დასაქმებული პერსონალი რეგიონიდან

კულტურული განზომილება: დასასვენებელი რეგიონები ხასიათდება თვითიდენტიფიკაციის კულტურული დინამიკით.

- შთამბეჭდავი არქიტექტურა
- ავთენტიკური კულტურის ხელმისაწვდომობა
- ყალბი ან დადგმული კულტურული ატრაქციების თავიდან აცილება
- ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა
- "დისნეიფიკაციის" თავიდან აცილება, კულტურის ტრივიალიზაცია და დამუხრევა

სოციალური განზომილება: ტურიზმში ხარისხი იქმნება ინფორმირებული მონაწილეობით, დამაკმაყოფილებელი სამუშაო პირობებით, ხელმისაწვდომ-

ობითა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა კმაყოფილებით.

- ყველა დაინტერესებული მხარის / მოსახლეობის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში
- კონტაქტები და გაცვლა ტურისტებსა და მოსახლეობას შორის სოციალური შესაძლებლობების ფარგლებში
- სპეციალური საჭიროების მქონე ვიზიტორებისათვის სერვისებისა და ადგილების ხელმისაწვდომობა
- სპეციალური საჭიროების მქონე პირთა (პერსონალის) ჩართვა
- კარგი სამუშაო პირობები
- გენდერული თანასწორობა

პოლიტიკური განზომილება: ყველა დონეზე გატარებული პოლიტიკა და ტურიზმის განვითარებაში მონაწილე ძალები იზიარებენ პასუხისმგებლობას დანიშნულების ადგილის განვითარების მიზნით.

- მდგრადი ტურიზმის სტრატეგიები და კანონები
- სუბსიდიები და გადასახადები
- ქმედითი პოლიტიკის მიქსი: სოფლის მეურნეობა, სივრცითი დაგეგმვა, ტრანსპორტი, განათლება, ფინანსები
- საერთაშორისო თანამშრომლობა

სწავლის შედეგები:

- მდგრადი განვითარების შემადგენელი კომპონენტების გაცნობიერება
- მდგრადი ტურიზმის განვითარების მიზნით გადაწყვეტილებების ან ინსტრუმენტების შემუშავება
- სამომავლო განვითარებისათვის ცოდნის სოლიდური ბაზის ჩამოყალიბება
- მდგრადი განვითარების თითოეული განზომილების მნიშვნელობის გაცნობიერება



თემა: ტურიზმის განვითარება

სავარჯიშოს დასახლება: ტურიზმის განვითარების გამოწვევები და შესაძლებლობები თქვენს ქვეყანაში

ინსტრუქციები: დაყავით სტუდენტები 4-5-კაციან ჯგუფებად მათი კონკრეტული ინტერესის გათვალისწინებით. ჯგუფები უნდა იყვნენ აღჭურვილი ნოუთბუქით / კომპიუტერით (ინტერნეტით), ფლიპჩარტით, მარკერებით და სხვა დიდაქტიკური მასალებით, რაც სასარგებლო იქნება შედეგების პრეზენტაციისათვის.

აღწერილობა: საქართველოს მაგალითის გამოყენებით შეეცადეთ წარმოადგინოთ / გაანალიზოთ ტურიზმის ამჟამინდელი მდგომარეობა და თქვენს ქვეყნის განვითარების პერსპექტივები.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე პირობითი თემა და სახელმძღვანელო შეკითხვები. შეიძლება მათი იმპროვიზაცია ქვეყნის სპეციფიკისა და სწავლების ფორმატის გათვალისწინებით (სემინარი, სააუდიტორიო მეცადინეობა, სავლესე სამუშაო და ა.შ.).

მეთოდოლოგია/უნარები: სტუდენტმა უნდა იცოდეს მინიმუმ ორი მეთოდი ქვემოთ ჩამოთვლილიდან: რესურსების ანალიზი და რუკების შედგენა; სტრუქტურული მონაწილეობით რუკების შედგენა; SWOT და ფაქტორების ანალიზი (სავარჯიშო მიზნად ისახავს აგრეთვე აღნიშნული მეთოდების სწავლებას).

სამუშაო ჯგუფების ძირითადი თემებისა და საორიენტაციო კითხვების მაგალითები:

1. ძირითადი ტურისტული ჯგუფები
 - რა არის თქვენი ქვეყნის მთავარი მიმზიდველობა?
 - რა მიზნით სტუმრობენ თქვენს ქვეყანას?
 - რომელი ქვეყნებიდან სტუმრობენ თქვენს ქვეყანას?
 - რა პერიოდით ჩერდებიან და რა არის ის ძირითადი აქტივობები, რომელსაც ტურისტები ახორციელებს თქვენს ქვეყანაში?
2. ტურიზმის პოზიტიური და ნეგატიური გავლენა
 - რა დადებითი გავლენა აქვს ტურიზმს (მაგ. ეკონომიკური, სოციალური და ა.შ.)?

- რა უარყოფითი გავლენა აქვს ტურიზმს (მაგალითად, გარემო, კულტურული და ა.შ.)?
 - შეეცადეთ გააკეთოთ შედარებითი ანალიზი
3. ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზაცია/მოდელი
 - ვინ არიან ძირითადი აქტორები?
 - მართვის როგორი სისტემა არსებობს (ან როგორ ფუნქციონირებს / მუშაობს ტურიზმის მენეჯმენტის სისტემა)?
 - როგორია მოქალაქეთა მონაწილეობა ტურიზმის დაგეგმვასა და მენეჯმენტში (ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე)?
 - რა არის ძირითადი ხარვეზები ინტეგრაციული მართვის პროცესში?
 4. რისი გავლენა ან შეცვლა შეგიძლიათ უკეთესობისკენ?
 - რა სახის ცვლილებებია საჭირო ეროვნულ დონეზე?
 - რა სახის ცვლილებებია საჭირო ადგილობრივ დონეზე?
 - როგორ შეიძლება მონაწილეობითი მიდგომა ეფექტიანად იყოს დაკავშირებული ტურიზმის მმართველობასთან და მენეჯმენტთან?

სწავლის შედეგები:

- მსოფლიო ტურიზმის რუკაზე თქვენი ქვეყნის ადგილის / როლის განსაზღვრა: ვინ და რატომ სტუმრობს თქვენს ქვეყანას?
- თქვენს ქვეყანაში ტურიზმის დადებითი და უარყოფითი გავლენის იდენტიფიკაცია
- ტურიზმის მართვის გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესწავლა;
- ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის საჭირო გადანყვეტილებების შემუშავება;
- მეთოდების შესწავლა ან გაუმჯობესება, როგორცაა: რესურსების ანალიზი და რუკების შედგენა, დაინტერესებული მხარეების შერჩევა, SWOT და ფაქტორების ანალიზი.

2 განათლება მდგრადი განვითარებისათვის და უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების როლი საზოგადოებაში

საზოგადოების ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარების მიმართულებით მოითხოვს საკმაოდ ფართო მასშტაბის ცვლილებებს ინდივიდების ცნობიერების თვალსაზრისით. განათლება ამ ცვლილების ხელშემწყობი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია (Rieckmann, 2012), რაც გლობალურ დონეზეა აღიარებული, როგორც დღის წესრიგი 21-ის ნაწილი; ის მიღებულია გაეროს გარემოსა და განვითარების კონფერენციაზე (UNCED) 1992 წელს (UN 1992);



პარადიგმა „განათლება მდგრადი განვითარებისათვის (ESD)“ მიზნად ისახავს განათლების ტრანსფორმაციას ისე, რომ ხალხმა დღესაც და მომავალშიც შეძლოს თავისი საჭიროებების დაკმაყოფილება ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და გარემოსთან დაკავშირებული საკითხების ჰარმონიზაციით, მდგრადი განვითარების პოზიციებიდან (UNESCO 2019). განათლება მდგრადი განვითარებისათვის ეხება ტრანსფორმაციას როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე, რათა ხელი შეუწყოს ერთიან საზოგადოებრივ გადასვლას მდგრადი საარსებო წყაროებისკენ. ამავე დროს, ის მიზნად ისახავს გლობალური მდგრადი განვითარების დღის წესრიგსა და მისი ინფორმაციული რესურსების დაკავშირებას საგანმანათლებლო პრაქტიკის გაუმჯობესებასთან, როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებით (Kioupi and Voulvoulis, 2019, Barth, 2016).

„განათლება მდგრადი განვითარებისათვის (ESD)“ ძირითადი მახასიათებლებია:

- ჰოლისტიკური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს ინტეგრაციულ აზროვნებას და პრაქტიკას;

- ცვლილების გათვალისწინება, რომელიც დასახავს ალტერნატიულ მომავალს, ისწავლის წარსულიდან და შთააგონებს მონაწილეობას ანმყოში;
- ტრანსფორმაციის მიღწევა, რომელიც ემსახურება ხალხის სწავლების არსებული მოდელების შეცვლას და ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესს (UNECE, 2012:13).

იუნესკო არის გაეროს წამყვანი სააგენტო, რომელსაც ევალება „განათლება მდგრადი განვითარებისათვის (ESD)“ შემუშავება და განხორციელება. ის გვთავაზობს მრავალ სხვადასხვა რესურსს ინტეგრაციის ხელშესაწყობად ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე. 2019 წელს იუნესკოს გენერალური კონფერენციის მე-40 სესიაზე მიღებულ იქნა ახალი გლობალური ჩარჩო „განათლება მდგრადი განვითარებისათვის: მგმ მისაღწევად“ ან „ESD 2030 წლისთვის“, როგორც ESD გლობალური სამოქმედო პროგრამის შემდგომი გაგრძელება, რომელიც 2015-დან 2019 წლამდე მიმდინარეობდა. ის მიზნად ისახავდა ESD შემუშავებას, მასშტაბირებას და მდგრადი განვითარების მიმართულებით პროგრესის დაჩქარებას (UNESCO, 2019b).

გაეროს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ (UNECE) 2003 წელს წამოიწყო ESD ინიციატივა და შეიმუშავა რეგიონალური სტრატეგია ESD სფეროში იმ მიზნით, რომ მოეხდინა წვერი ქვეყნების მხარდაჭერა და ნახალისება მისი განათლების სისტემაში ინტეგრირების თვალსაზრისით.

წინადადებები:

- ✓ დაუკავშირდით იუნესკოს ეროვნულ ან რეგიონულ ოფისს, რომ ნახოთ, თუ რომელი ხელმისაწვდომი რესურსი აქვთ მათ ESD-სთან დაკავშირებით.
- ✓ გაეცანით ვინ არიან თქვენი ქვეყნის წარმომადგენლები გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიაში (UNECE) და დაუკავშირდით მათ, რომ გაეცნოთ უახლეს მოვლენებს.
- ✓ გაეცანით, მდგრადი განვითარების მიზანს 4.7, განათლების შესახებ, რომელიც ეხება ESD და მასთან დაკავშირებულ მიდგომებს, როგორცაა გლობალური სამოქალაქო განათლება.

სასარგებლო ბმულები:

იორკის უნივერსიტეტი, იუნესკოს კათედრა „განათლების რეორიენტაცია მდგრადობისკენ“ გთავაზობთ ESD–სთან დაკავშირებული ისტორიის მიმოხილვას ამ ბმულებზე:

<https://unescochair.info.yorku.ca/history-of-esd/>

იუნესკოს გვერდები ESD და გლობალური მოქალაქეობის შესახებ:

<https://en.unesco.org/themes/education-sustainable-development>

<https://en.unesco.org/themes/gced>

ESD 2030 წლის ჩარჩოს შესახებ გაეროს ოფიციალურ ენებზე შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000370215.locale=en>

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი* საზოგადოებაში


“რაც რკინიგზამ გააკეთა გასული საუკუნის მეორე ნახევარში და ავტომობილებმა – ამ საუკუნის პირველ ნახევარში, შეიძლება იგივე გააკეთოს ცოდნის ინდუსტრიამ ამ საუკუნის მეორე ნახევარში“ (Kerr, 2001).

* ჩვენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს განვიხილავთ, როგორც ზოგად ტერმინს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის აკადემიურ ინსტიტუტებს, როგორცაა, უნივერსიტეტები, კოლეჯები და ა.შ. (თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ., სომხეთში, კოლეჯი კლასიფიცირებულია, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, და უმაღლესი სასწავლებლები მოიცავენ მხოლოდ უნივერსიტეტებსა და მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს). ჩვენ ვიყენებთ სიტყვას უნივერსიტეტს, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტის სინონიმს; შესაბამისად, ტერმინი „უნივერსიტეტი“ ნიშნავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო სპექტრს და არ შემოიფარგლება საგანმანათლებლო დაწესებულებების მხოლოდ ერთი ტიპით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, როგორცაა უნივერსიტეტები, ტრადიციული როლი არის სამეცნიერო ცოდნის შექმნა და მიწოდება სოციალური განვითარების პროცესების მხარდასაჭერად. ამასთან, გასული წლების განმავლობაში, მრავალმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოახდინა თავისი როლის გადაფასება და

ტრანსფორმაცია. თავიანთ “ტრადიციულ” ფუნქციებთან ერთად, როგორცაა სწავლება და კვლევა, უნივერსიტეტები სულ უფრო მეტად მონაწილეობენ სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და საზოგადოების განვითარების საქმიანობებში. დღეს უნივერსიტეტებს აქვთ გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, მთავრობის დაფინანსებასა და შრომის ბაზარზე. ზოგიერთ რეგიონში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არიან მსხვილი დამსაქმებლები (Brenzitz and Feldman, 2012). ნახაზი 2.1 გვიჩვენებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ძველ და ახალ როლს.

ნახაზი 2.1 უნივერსიტეტების როლი: ძველი და ახალი



წყარო: Adapted from Brenzitz and Feldman (2012), Etzkowitz and Leydesdorff (2000), Peer and Stoeglehner (2013).

სამეცნიერო ლიტერატურაში შეიძლება მოიძებნოს მრავალი განმარტება და სხვადასხვა ტერმინი უნივერსიტეტის როლთან დაკავშირებით, მათ შორის: სამმაგი სპირალის უნივერსიტეტი (Etzkowitz and Leydesdorff 2000), სამენარმეო უნივერსიტეტი (Clark 2001), ჩართული უნივერსიტეტი (Brenzitz and Feldman 2012) და ა.შ.

უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს ზოგად ტერმინს, რომელიც აღწერს იმას, რომ უნივერსიტეტები ხელს უწყობენ საზოგადოების განვითარებას სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის საშუალებით (Larrán Jorge and Andrades Peña 2017). უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია წარმოიშვა ლათინურ ამერიკაში და მნიშვნელოვანი პარადიგმა გახდა მსოფლიოს მრავალი უნივერსიტეტისთვის. დღეისათვის ის სხვადასხვა გზით არის ინტეგრირებული უნივერსიტეტების პოლიტიკასა და პრაქტიკაში.

მეტი ინფორმაციისათვის:

მანჩესტერის უნივერსიტეტი კარგი მაგალითია უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრირების თვალსაზრისით. სოციალური პასუხისმგებლობა, ხარისხიან კვლევასა და განათლებასთან ერთად, უნივერსიტეტის სამი ძირითადი სტრატეგიული მიზნიდან ერთ-ერთია (The Univer-

sity of Manchester's strategic plan 2020). სტრატეგია მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

1. ეფექტიანი კვლევების განხორციელება: პასუხი 21-ე საუკუნის გამოწვევებზე;
2. სოციალურად პასუხისმგებლიანი კურსდამთავრებულები: სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს შეუძლიათ გააცნობიერონ პრობლემები, რომლებიც ეხება თანასწორობასა და მრავალფეროვნებას, მდგრადობას, ეთიკასა და სოციალურ სამართლიანობას;
3. საზოგადოების ჩართულობა: საქმიანობის ორგანიზება საზოგადოების სასარგებლოდ;
4. პასუხისმგებლიანი პროცესები: ეფექტიანობის დაბალანსება სოციალური და გარემოსდაცვითი სარგებლის შექმნის შესაძლებლობებთან;
5. გარემოს მდგრადობა: კვლევითი და სასწავლო აქტივობების წარმართვა გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.

მეცნიერება ტრანსფორმაციისთვის

მდგრადობის გამოწვევების, ასევე იმ კითხვების საპასუხოდ, თუ რა გავლენას ახდენს ძალაუფლების სფეროს ურთიერთობები ცოდნის წარმოებაზე, ბევრი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავის როლად მიიჩნევს ინოვაციებისა და ცოდნის შექმნის ცენტრის ფუნქციის განხორციელებას. აღმოცენდა „მდგრადობის მეცნიერებათა“ ახალი დარგი (Mochizuki and Yarime, 2015; Abson et al., 2017), რომელიც იყენებს კვლევისა და სწავლების ტრანსდისციპლინურ მეთოდებს (ტრანსდისციპლინური მიდგომები განხილულია მეორე თავში). ის მიზნად ისახავს არა მხოლოდ კონკრეტული დისციპლინების საზღვრების გადალახვას, არამედ აკადემიური ექსპერტიზის მიღმა აქტიურ თანამშრომლობას პრაქტიკოს ექსპერტებთან, პოლიტიკის შემქმნელებთან და ფართო საზოგადოებასთან (Lang et al., 2012, Pohl et al., 2017).

მეცნიერების როლი განიხილება, როგორც ტრანსფორმაციული პროცესების აქტიური ფასილიტატორი და ხელშემწყობი (Schneidewind et al., 2016). უფრო მჭიდრო თანამშრომლობა მეცნიერებას, ფართო საზოგადოებას, არაკადემიურ ექსპერტებსა და პოლიტიკის შემქმნელებს შორის მხოლოდ სოციალურად ჯანსაღი ცოდნის მიღებას არ

ემსახურება; მას შეუძლია ხელი შეუწყოს ამ ცოდნის ინტეგრაციას პრაქტიკული თვალსაზრისითაც. მისი გამოყენება შესაძლებელია გადამწყვეტილებების მიღების სფეროშიც. ის ასევე მხარს უჭერს კვლევისა და სწავლების ტრანსფორმაციული პოტენციალის ამალვას (Pohl et al., 2010; Enengel et al., 2012; Lang et al., 2012; Peer and Stoeglehner, 2013).

უნივერსიტეტები პოზიციონირებულია, როგორც საკვანძო აქტორები სოციალური ტრანსფორმაციის თვალსაზრისით, მდგრადი განვითარების კონტექსტში (Larrán Jorge and Andrades Peña, 2017). უფრო მეტიც, ისინი ხასიათდებიან სულ უფრო ძლიერი ჩართულობით რეალურ ცხოვრებასა და არსებული გამოწვევების მოგვარებაში, კომპლექსური სისტემური მიდგომების გამოყენებით. ამასთან ერთად, მონაწილეობითი მიდგომების გატარებით კვლევისა და სწავლებაში (აღწერილია სახელმძღვანელოში), უნივერსიტეტები ხელს უწყობენ “ინდივიდებისა და ადგილობრივი თემების გაძლიერებას, კვლევის პროცესში მათი უშუალო მონაწილეობით” (Buffel et al., 2017, Rieckmann, 2012).

უნივერსიტეტების საზოგადოებრივი როლის განმტკიცების ერთ-ერთი გზა უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამებში, სწავლებასა და კვლევით აქტივობებში საზოგადოებრივი საკითხების შეტანაა (Larrán Jorge and Andrades Peña, 2017; Tassone et al., 2018). ეს პროცესი უნიკალურია თითოეული უნივერსიტეტისთვის, რაც დამოკიდებულია ქვეყნის საერთო გარემოსა და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე. სტიფენსისა და სხვა ავტორების (Stephens, 2008) მიერ ხაზგასმულია უმაღლესი განათლების, როგორც ”ცვლილებების აგენტის”, პოტენციალი. ამ მიმართულებით შემდეგი თემები უნდა იქნეს გათვალისწინებული:

- რეგიონის მდგრადობის გამოწვევები;
- დაფინანსების სტრუქტურა და დამოუკიდებლობა;
- ინსტიტუციური ორგანიზაცია;
- დემოკრატიული პროცესების მასშტაბები;
- საზოგადოებასთან კომუნიკაცია და ურთიერთქმედება.

ძირითადი კომპეტენციები მდგრადი განვითარებისათვის

იმისათვის, რომ მასწავლებლებმა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ხელი შეუწყონ მდგრადი განვითარების გამოწვევების მოგვარებას, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ, რომელი კონკრეტული კომპეტენციებია კრიტიკულად მნიშვნელოვანი ამ მიზნის მისაღწევად.

ტერმინი „კომპეტენციები“ ასოცირდება უნარ-ჩვევებთან, შესაძლებლობებთან, კვალიფიკაციასთან და ა.შ. ჩვენ გთავაზობთ შემდეგ ყოვლისმომცველ განმარტებას, რომელიც შედგენილია ბრუნდიერსისა და სხვების მიერ:

“[ეს არის] სპეციფიკური და ურთიერთდაკავშირებული ინდივიდუალური დისპოზიციის კლასტერი, რომელიც მოიცავს ცოდნას, მოტივებს და დამოკიდებულებებს და აერთიანებს კოგნიტიურ, ეფექტურ, ნებაყოფლობით და სამოტივაციო ელემენტებს. კომპეტენცია ხელს უწყობს თვითორგანიზებულ მოქმედებას, ის წინაპირობაა სხვადასხვა კომპლექსურ სიტუაციაში წარმატებული შედეგის მიღწევისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კომპეტენციები შეიძლება იყოს სპეციფიკური, ძირითადი კომპეტენციები უნდა იყოს გამოყენებული სხვადასხვა კონტექსტში“ (Brundiars et al., 2020: 5).

მდგრადობის კომპეტენციები შეიძლება განისაზღვროს, როგორც “ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების კომპლექსები, რომელიც საშუალებას იძლევა შევასრულოთ დავალება წარმატებულად და მოვაგვაროთ მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები, გამოწვევები“ (Wiek et al., 2016).

სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულია სხვადასხვა კრიტერიუმი მდგრადობის კომპეტენციებისთვის; მდგრადობის ძირითადი კომპეტენციების ჩარჩო შემოთავაზებულია ვიეკის და სხვა ავტორების მიერ (Wiek et al., 2011) და ცოტა ხნის წინ განახლდა კვლევის საფუძველზე, რომელშიც მონაწილეობდნენ ამ სფეროს საერთაშორისო ექსპერტები (Brundiars et al., 2020). ეს კომპეტენციები განიხილება, როგორც აუცილებელი დამატება საკვანძო აკადემიურ კომპეტენციებზე (როგორცაა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, კვლევა, მონაცემების მართვა, პრობლემების გადაჭრა და თვითსწავლება) იმ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, რომელიც ფოკუსირებულია მდგრად განვითარებაზე (Wiek et al., 2011, Brundiars et al., 2020).

ცხრილი 2.1 შეიცავს თითოეული კომპეტენციის აღწერას, რომელიც შემოთავაზებულია ბრუნდიერსისა და სხვა ავტორების მიერ (Brundiars et al., 2020). სქემა 2.2. ასახავს მათ ურთიერთობას და აკავშირებს მათ ძირითად აკადემიურ კომპეტენციებთან.


ცხრილი 2.1 მდგრადი განვითარების ძირითადი კომპეტენციების აღწერა

კომპეტენცია	აღწერა
სისტემური აზროვნების კომპეტენცია	“შეუძლია კოლექტიურად გააანალიზოს კომპლექსური სისტემები სხვადასხვა მიმართულებით (საზოგადოება, გარემო, ეკონომიკა) და მასშტაბით (ლოკალურიდან გლობალურისკენ), კასკადური ეფექტების, ინერციის, უკუკავშირის და სხვა სისტემური მახასიათებლების გათვალისწინებით...” (Wiek et al., 2011: 207)
მომავლის განჭვრეტის კომპეტენცია	მდგრადობის საკითხებთან და მდგრადობის პრობლემების გადაჭრის ჩარჩოებთან დაკავშირებული მომავლის მრავალფეროვანი “სურათების” [ან სცენარების] კოლექტიური ანალიზის, შეფასებისა და შემუშავების შესაძლებლობა” (Wiek et al., 2011: 208-209)
ღირებულებაზე დაფუძნებული (ან ნორმატიული) კომპეტენცია	“მდგრადობის ღირებულებების, პრინციპების, მიზნებისა და ამოცანების ერთობლივი რუკების/სქემების განსაზღვრის, გამოყენების, შეჯერებისა და მოლაპარაკებების შესაძლებლობა” (Wiek et al., 2011: 209)
სტრატეგიული აზროვნების (ან ქმედებაზე ორიენტირებული) კომპეტენცია	“კოლექტიური დიზაინის და იმპლემენტაციის, გარდაქმნის და ტრანსფორმაციული მართვის სტრატეგიების შესაძლებლობა მდგრადი განვითარებისათვის“ (Wiek et al., 2011: 210)
კოლაბორაციის (ან ინტერპერსონალური) კომპეტენცია	“მოტივაციის შესაძლებლობა, კოლაბორაციული და თანამონაწილეობითი მდგრადი კვლევის ფასილიტაცია და პრობლემის გადაჭრის უნარი“ (Wiek et al., 2011: 211)

ინტეგრირებული პრობლემების გადაჭრის კომპეტენცია	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • “შეარჩიოს და გამოიყენოს სხვადასხვა პრობლემის გადაჭრის ჩარჩო, კომპლექსური მდგრადი განვითარების პრობლემების მოგვარების მიზნით და შეუძლია განავითაროს გამოსავლის ეფექტიანი ვარიანტები (Wiek et al., 2016: 251), • “განასხვავებს და უკავშირებს სხვადასხვა დისციპლინებს და პროფესიულ საზოგადოებებს” (Brundiars et al., 2020); • არსებითი გამოყენება და ინტეგრირება მდგრადობის სხვა კომპეტენციებში” მდგრადობის პრობლემების გადასაჭრელად და მდგრადი განვითარებისთვის“(Wiek et al., 2016: 243)
განხორციელების (ან მოქმედების) კომპეტენცია	“მდგრადობის შესახებ ინფორმირებული ხედვის დაგეგმილი გადწყვეტის განხორციელების კოლექტიური შესაძლებლობა, რეალიზაციის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, არსებული გამოწვევების მოგვარება, იმის გაცნობიერება, რომ მდგრადობის პრობლემის გადაჭრა არის გრძელვადიანი, განმეორებითი პროცესი დაგეგმვას, რეალიზაციასა და შეფასებას შორის” (Brundiars et al., 2020, p.9)
ინტერპერსონალური (ან თვითშეგნების) კომპეტენცია	“საკუთარი როლის შეფასება ადგილობრივ და გლობალურ საზოგადოებაში; მოახდინოს საკუთარი თავის განუწყვეტლივი შეაფასება და შემდგომი მოტივირება, გაუმკლავდეს გრძნობებსა და სურვილებს“(UNESCO, 2017, Brundiars et al.–ში, 2020)

წყარო: ადაპტირებულია Brundiars et al.–დან (2020: 4).

ნახაზი 2.2 მდგრადი განვითარების საკვანძო კომპეტენციები და ძირითადი აკადემიური კომპეტენცია



წყარო: ილუსტრაცია Brundiars et al. (2020) –ის საფუძველზე.

რეკომენდებული მასალები:

მდგრადი განვითარების ძირითადი კომპეტენციების ჩარჩოებისა და სწავლის შედეგების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გირჩევთ შემდეგ ნაშრომებს:

Wiek, A., Withycombe, L., Redman, C.L., 2011. Key competencies in sustainability: a reference framework for academic program development. *Sustainability Science* 6 (2), pp. 203–218. <https://doi.org/10.1007/s11625-011-0132-6>

- მდგრადობის ძირითადი კომპეტენციების ორიგინალური ჩარჩოს მითითება.

Wiek, A., Barth, M., Michelsen, G., Rieckmann, M., Thomas, et al., 2016. Operationalising competencies in higher education for sustainable development. *Handbook of Higher Education for Sustainable Development*; I., Eds, pp. 241-260

- Propose learning objectives for each of the key competencies in the original reference framework, for three different levels: Novice, Intermediate and Advanced levels.


Brundiers, K. et al., 2020. Key competencies in sustainability in higher education—toward an agreed-upon reference framework. *Sustainability Science*. <https://doi.org/10.1007/s11625-020-00838-2>

- წარმოადგინეთ მდგრადი განვითარების ძირითადი კომპეტენციების განახლებული ჩარჩო, განმარტეთ ძირითადი დებულებები მდგრადი განვითარების კომპეტენციებზე და შესთავაზეთ შესაბამისი სასწავლო მიზნები.

ზემოთ განხილული კომპეტენციები გათვალისწინებულია, როგორც საკვანძო ვექტორი, რომელიც ფოკუსირებულია იმ ცოდნის ხელშეწყობაზე, რომელიც უნდა იცოდეს სტუდენტებმა მდგრადობის გაგების და ამ მიმართულებით ტრანსფორმაციის საჭიროების თვალსაზრისით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ უნარებსა და ცოდნაზე, რომელიც უნდა ჰქონდეს პედაგოგს შესაბამისი აქტივობების განხორციელებისათვის.

გაეროს ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ (UNECE) შეიმუშავა ESD კომპეტენციები, რომელნიც დაფუძნებულია, ერთი მხრივ, იუნესკოს (UNESCO) და, მეორე მხრივ, ევროკავშირის მიერ შემუშავებულ ESD კომპეტენციებზე, რომლებიც ითვალისწინებს „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ პრინციპებს. მოცემული ჩარჩო ემყარება ოთხ კატეგორიას, რომელიც აღწერილია ქვემოთ მოცემულ ნახაზზე 2.3:

- *სწავლა ცოდნისთვის დაკავშირებულია იმ გამოწვევების გაგებასთან, რომლებიც დგას საზოგადოების წინაშე როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ დონეზე. გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს პედაგოგის (პედაგოგის ესმის/კომპეტენტურია) და მოსწავლეების როლი. სწავლა კეთებისთვის დაკავშირებულია პრაქტიკული უნარების და სამოქმედო კომპეტენციების განვითარებასთან, მდგრადი განვითარების კონტექსტში (პედაგოგს შეუძლია..)*
 - *სწავლა თანაცხოვრებისთვის ხელს უწყობს პარტნიორობის განვითარებას და ურთიერთდამოკიდებულების, პლურალიზმის, ურთიერთგაგებისა და მშვიდობის დაფასებას (პედაგოგი სხვებთან ერთად მუშაობს ისე, რომ...)*
 - *სწავლა უნარებისთვის, რომელიც ორიენტირებულია პიროვნული ატრიბუტების განვითარებასა და უფრო დიდი ავტონომიით მოქმედების შესაძლებლობაზე, განსჯაზე და პირად პასუხისმგებლობაზე მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით (პედაგოგი არის ადამიანი, ვინც)*
- ითითებულ კატეგორიაში კომპეტენციები შემოთავაზებულია ESD არსებითი მახასიათებლების გათვალისწინებით (როგორც აღწერილია ამ თავის დასაწყისში), რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მდგრადობის კომპეტენციებთან, რომელიც ზემოთ არის განხილული:
- *ჰოლისტიკური მიდგომა ... (სისტემური აზროვნება);*
 - *ცვლილების გათვალისწინება, რომელიც შეისწავლის ალტერნატიულ მახასიათებლებს (აზროვნება მომავლის კონტექსტში);*
 - *ტრანსფორმაციის მიღწევა (სტრატეგიული აზროვნება/მოქმედებაზე ორიენტირება).*



წყარო: ავტორების შედგენილი ნახაზი UNECE (2012, გვ. 14-15) საფუძველზე.

საერთაშორისო ექსპერტების ჯგუფი მუშაობდა ESD კომპეტენციების ინტეგრაციაზე სწავლების პრაქტიკასა და პოლიტიკაში. აღნიშნულმა ჯგუფმა წარმოადგინა კომპეტენციების კონდენსირებული/შემოკლებული ვარიანტი (ცხრილი 2.2) და შეიმუ-

შავა სწავლის შედეგები სტუდენტებისათვის, ასევე განსაზღვრა პედაგოგებისათვის საჭირო კომპეტენციები (Vare et al., 2018, RSP, 2019). (სრული ცხრილი იხილეთ დანართში 2).

ჰოლისტიკური აზროვნება	ცვლილებების გათვალისწინება (Envisioning Change)	ტრანსფორმაციის მიღწევა (Achieving Transformation)
ინტეგრაცია:		
<p>სისტემები (Systems) პედაგოგი ეხმარება მოსწავლეებს, განავითარონ სამყაროს, როგორც ურთიერთდაკავშირებული მთლიანობის, გაგება, მოძებნონ კავშირები ჩვენს სოციალურ და ბუნებრივ გარემოში და გაითვალისწინონ ქმედებების შედეგები.</p>	<p>მომავალი (Future) პედაგოგი ეხმარება მოსწავლეებს მომავლის ალტერნატიული შესაძლებლობების შესწავლასა და გამოიყენებაში, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ შეიძლება ქცევის შეცვლა.</p>	<p>მონაწილეობა (Participation) პედაგოგი ეხმარება მოსწავლეებს, ხელი შეუწყონ ცვლილებებს, რაც მხარს დაუჭერს მდგრად განვითარებას.</p>
ჩართულობა:		
<p>ყურადღება (Attentiveness) პედაგოგი ეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ ჩვენი საზოგადოების ფუნდამენტურად არამდგრადი ასპექტები, რაც წარმოადგენს გზას, რომ გაიზარდოს მათი ცნობიერება გადაუდებელი ცვლილებების განხორციელების კუთხით.</p>	<p>ემპათია (Empathy) პედაგოგი ეხმარება მოსწავლეებს, განავითარონ საკუთარი თვითშეგნება და მათი ცოდნა სხვების შესახებ.</p>	<p>ჩართულობა (Engagement) პედაგოგი ეხმარება მოსწავლეებს, იმუშაონ გულისხმიერად და ინკლუზიურად სხვებთან, ასევე იცოდნენ თავიანთი პირადი რწმენისა და ღირებულებების შესახებ.</p>
პრაქტიკა:		
<p>ტრანსდისციპლინურობა (Transdisciplinarity) პედაგოგი ეხმარება მოსწავლეებს, იმოქმედონ ერთობლივად მათი დისციპლინის, როლის, პერსპექტივებისა და ღირებულებების მიღმა.</p>	<p>კრეატიულობა (Creativeness) პედაგოგი ხელს უწყობს მისი მოსწავლეების შემოქმედებითობასა და მოქნილობას.</p>	<p>მოქმედება (Action) პედაგოგი ეხმარება მოსწავლეებს, იმოქმედონ პროაქტიური და გააზრებული გზით.</p>
რეფლექსია:		
<p>კრიტიკულობა (Criticality) პედაგოგი ეხმარება მსმენელებს, კრიტიკულად შეაფასონ მტკიცებების, წყაროების, მოდელების და თეორიების შესაბამისობა და სანდოობა.</p>	<p>პასუხისმგებლობა (Responsibility) პედაგოგი ეხმარება მოსწავლეებს, იმოქმედონ გამჭვირვალედ და აიღონ პირადი პასუხისმგებლობა თავიანთი საქმის მიმართ.</p>	<p>სიმტკიცე/გამბეჯადამობა (Decisiveness) პედაგოგი ეხმარება მოსწავლეებს, იმოქმედონ ფრთხილად და დროულად, გაურკვევლობის პირობებშიც კი.</p>

წყარო: პროექტი: *A Rounder Sense of Purpose: Educational Competences for Sustainable Development*. RSP 2019. წარმოდგენილია ავტორების თანხმობით.

სასარგებლო ბმულები:

ჩამოტვირთეთ UNECE 2012 წლის პუბლიკაცია, რომელიც შეიცავს გრაფიკას ESD ყველა კომპეტენციაზე

https://www.unece.org/fileadmin/DAM/env/esd/ESD_Publications/Competences_Publication.pdf

დამატებითი ინფორმაცია და რესურსები ESD კომპეტენციების შესახებ პედაგოგებისთვის ხელმისაწვდომია პროექტის გვერდზე: A Rounder Sense of Purpose <https://aroundersenseofpurpose.eu/framework/themodel/>

ტრანსდისციპლინურობა – მიდგომა, რომელიც საშუალებას აძლევს უნივერსიტეტებს, შეასრულონ ძლიერი როლი საზოგადოებრივ ტრანსფორმაციაში

როგორც წინა თავებში განვიხილეთ, მდგრადი განვითარების რთული გამოწვევების მოგვარება მოითხოვს კომპეტენციების გარკვეულ კომპლექსს, რომელიც სცილდება ნებისმიერ ერთ დისციპლინას და მოითხოვს ცოდნის სხვადასხვა ტიპს აკადემიური სფეროების მიღმა. ტრანსდისციპლინური კვლევა და სწავლება სასწავლო დაწესებულებებს სთავაზობს ინსტრუმენტებს ძირითადი კომპეტენციების განვითარებისათვის, რომელიც გვეხმარება სოციალურად რელევანტური ცოდნის შექმნაში არააკადემიური ექსპერტებისა და აქტორების ჩართულობით.



ტრანსდისციპლინურობის კონცეფცია წარმოიშვა მე-20 საუკუნეში აკადემიური წრეების საზოგადოებრივი როლის განმტკიცების მიზნით (Hirsch et al., 2008), რამაც მკვლევარებს საშუალება მისცა, უფრო სისტემურად გამკლავებოდნენ საზოგადოებრივ პრობლემებს აკადემიის გარეთ მყოფ ადამიანებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით (Klein et al., 2001, Max-Neef, 2005). თანამედროვე პირობებში ტრანსდისციპლინური მიდგომა განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი გზა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებისათვის (Gratzer et al., 2019). ტრანსდისციპლინურობის თეორიული

და კონცეპტუალური ასპექტები ინტეგრირებულია საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუტების სხვადასხვა საქმიანობაში, განსაკუთრებით მდგრადობის, სოციალურ და გარემოს დაცვის მეცნიერებებში (Lang et al., 2012; Enengel et al., 2012; Steelman et al., 2015; Merck and Beermann, 2015; Gibbs, 2017).

ტრანსდისციპლინურობის მთავარი მახასიათებლები მოიცავს:

- პრობლემების სირთულის გააზრებას
- სამყაროს მრავალფეროვნებისა და პრობლემების მეცნიერული აღქმის გათვალისწინებას
- აბსტრაქტული და კონკრეტული შემთხვევების ცოდნის დაკავშირებას
- ცოდნისა და პრაქტიკის სინთეზს, რაც ხელს უწყობს იმის ახსნას, თუ რა არის საყოველთაო სიკეთე (Pohl and Hirsch, 2007).





ცოდნის კონცეპტუალიზაცია ფოკუსირებულია სისტემურ აზროვნებაზე და კონცენტრირებულია სოციალურად რელევანტურ გამოწვევებზე. კვლევის პროცესი მოიცავს სამეცნიერო და პრაქტიკული ცოდნის ინტეგრირებას, რომელიც იწყება არსებული პრობლემების/გამოწვევების ერთობლივი (აკადემიური და არააკადემიური აქტორების მიერ) იდენტიფიკაციით, რომელიც განასხვავებს მას მულტი- და ინტერდისციპლინური მიდგომისაგან (სქემა 2.6 გვიჩვენებს ძირითად განსხვავებებს კვლევის ტიპებსა და მახასიათებლებს შორის). ამ შემთხვევაში ტრანსდისციპლინური კვლევის პროცესი მოიცავს შემდეგ ფაზებს:

1. პრობლემების იდენტიფიკაცია და სტრუქტურირება;
2. პრობლემების ანალიზი;
3. შედეგების განხორციელება (Pohl and Hirsch, 2007).

ტრანსდისციპლინური კვლევა და სწავლება გულისხმობს დიალოგზე დაფუძნებული სპეციალური მეთოდების გამოყენებას, რომლებიც ჯერ კიდევ ვითარდება, ასევე მიღებული შედეგების გათვალისწინებით გადაწყვეტის გზების ტესტირებას, თუ რამდენად ფუნქციონალურია ის პრაქტიკაში გამოყენებისას. უფრო მეტიც, ის გულისხმობს მოქნილობას, რომელიც ანალიზის შედეგების საფუძველზე პრობლემის იდენტიფიკაციისა და შედეგების რეალიზაციისკენ მიმავალი გზების გადახედვის საშუალებას იძლევა.

სასარგებლო ბმული:

<http://www.transdisciplinarity.ch>

კონცეფცია	კვლევის ტიპი	მახასიათებლები/გამონვევები
მონოდისციპლინურობა 	ერთი დისციპლინა მუშაობს კონკრეტულ საკითხზე	მეთოდების შეზღუდული ნაკრები, საკუთარი პერსპექტივის გარეთ ასპექტების გამორიცხვა
მულტიდისციპლინურობა 	მრავალი დისციპლინა მუშაობს ერთმანეთის გვერდით იდენტურ თემაზე	თითოეული დისციპლინა იყენებს საკუთარ მეთოდს, შედეგად მრავალფეროვანია, მაგრამ არსებობს ფინალური შედეგების სინთეზის კუთხით შეზღუდვები
ინტერდისციპლინურობა 	მრავალი დისციპლინა მუშაობს ერთად; ერთობლივი პრობლემის განსაზღვრა და პროექტის დიზაინი; „მეცნიერება საზოგადოებისათვის“	დისციპლინური მეთოდების გაფართოება, ახალი მეთოდების ერთობლივი შემუშავება და სინთეზი
ტრანსდისციპლინურობა 	თანამშრომლობა აკადემიურ საზღვრებს მიღმა სამეცნიერო და პრაქტიკული ცოდნის ინტეგრაცია „მეცნიერება საზოგადოებასთან ერთად“	სტეიქჰოლდერების და არაკადემიური აქტორების ინტეგრაცია, დიალოგზე დაფუძნებული მეთოდები, ერთობლივი სინთეზი


ტრანსდისციპლინური მიდგომა ეფუძნება ცოდნის კლასიფიკაციას სამი ურთიერთდაკავშირებული ცოდნის მიხედვით (ნახაზი 2.5):

- სისტემური ცოდნა (კითხვები სამყაროში არსებული პრობლემის გენეზისის, შემდგომი განვითარების და ინტერპრეტაციის შესახებ).
- მიზნობრივი ცოდნა (კითხვები, რომლებიც დაკავშირებულია ცვლილებების საჭიროე-

ბის დადგენასა და ახსნასთან, სასურველი მიზნების და უკეთესი პრაქტიკის მიღწევასთან).

- ტრანსფორმაციული ცოდნა (კითხვები ტექნიკური, სოციალური, სამართლებრივი, კულტურული და მოქმედების სხვა შესაძლო საშუალებების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს არსებული პრაქტიკის გარდაქმნას).

ნახაზი 2.5 ცოდნის სამი ტიპი




წყარო: შედგენილია ავტორების მიერ ProClim/CASS (1997)-ის საფუძველზე

ქვემოთ მოცემული სქემა 2.6 აღწერს ტრანს-დისციპლინური კვლევითი პროცესის ანალიტიკურ ჩარჩოს. ის შედგება შემდეგი ელემენტისაგან: (1) აქტორების ტიპოლოგია, (2) კვლევის ფაზების დი-

ფერენციაცია, (3) აქტორების ინტეგრაციის მიზნები და ფორმები, (4) ცოდნის ტიპები (Enengel et al., 2012).

ნახაზი 2.6 ტრანსდისციპლინური კვლევითი პროექტების აღწერისა და ანალიზის ანალიტიკური ჩარჩო



წყარო: Muhar and Parker (2018)

ტრანსდისციპლინური მიდგომის გამოყენება სწავლებისას უნდა მოიცავდეს შემდეგ მნიშვნელოვან ასპექტებს:

1. სხვადასხვა დარგის სპეციალისტების (სტუდენტებისა და პედაგოგების) გაერთიანება პრობლემის სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ ექსპერტიზის მისაღებად;
2. თანამშრომლობის დამყარება სხვადასხვა არააკადემიურ დაინტერესებულ მხარესთან, პრაქტიკულ და კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებულ ექსპერტებთან, როგორცაა

- ადგილობრივი საზოგადოება, გადანყვეტილების მიმღები პირები და პრაქტიკოსი სპეციალისტები; წარმატებული შედეგის მისაღწევად პროექტის შემუშავების საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია არააკადემიური აქტორების ჩართვა (Muhar et al., 2006).
3. სათანადო მეთოდოლოგიის შემუშავება და გამოყენება, ზემოთ აღნიშნული აქტორების ცოდნის ინტეგრირება, არსებული გამოწვევების და მათი შესაძლო გადაჭრის გზების დასადგენად (Bergmann et al. 2012: 23).

3 საზოგადოების მონაწილეობა

საზოგადოების მონაწილეობის ცნების განსაზღვრა

მდგრადობის ცნებაში გაერთიანებულმა განვითარების პარადიგმებმა ჩამოაყალიბა პრინციპები, რომლებიც მხარს უჭერენ და ხელს უწყობენ რეგიონული დაინტერესებული მხარეების სოციალურ პარტნიორობასა და თანამშრომლობას, რაც ქმნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკაში რეგიონული და ქვემოდან წამოსული (bottom-up) მონაწილეობის (ჩართულობის) როლის გაზრდის შესაძლებლობებს. ეს გავლენა მნიშვნელოვანია განვითარებადი მსოფლიოსთვის, სადაც ცენტრალიზებული გადაწყვეტილებების მიღება, ტრანსსასაზღვრო და სექტორული კოორდინაციის ნაკლებობა, ასევე სამოქალაქო საზოგადოების სისუსტე პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ტრადიციებშია ფესვგადგმული. არ არსებობს საზოგადოების მზაობა და გამოცდილება, რომ “გავლენა მოახდინონ თავიანთ ცხოვრებასა და მომავალზე” (UN, 2012). აღნიშნული პარადიგმების შესაბამისად, ბევრმა ქვეყანამ შეიმუშავა პოლიტიკის დოკუმენტები, რომლებიც ხელს უწყობენ მოქალაქეების მონაწილეობას მდგრადი გადაწყვეტილების ძიებასა და საზოგადოებასა და ბუნებას შორის უკეთესი ბალანსის მიღწევას (Honey, 2008);



მონაწილეობა განისაზღვრება, როგორც “განხილვის პროცესი, რომლის საშუალებითაც დაინტერესებული მოქალაქეები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და მთავრობის წარმომადგენლები მონაწილეობენ პოლიტიკის შემუშავებაში, მანამ, სანამ გადაწყვეტილების მიღება მოხდება” (EIPP,

2009; Popescu, 2013). ადგილობრივი განვითარების კონტექსტში, ის აღიარებულია, როგორც ქვევიდან წამოსული და ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული გადაწყვეტილების შემუშავებისათვის ხელშემწყობი მიდგომის მნიშვნელოვანი პრაქტიკა (UN, 1992), რაც უზრუნველყოფს დივერსიფიცირებული ადგილობრივი აქტორების ინტეგრაციას (ფართო მონაწილეობას) და ასევე შეთანხმების მიღწევას. მეცნიერები ხაზს უსვამენ საზოგადოების მონაწილეობის მნიშვნელობას, როგორც ერთ-ერთ ფუნდამენტურ საშუალებას, მთავრობის რეორიენტაციისათვის მდგრადი განვითარების მიმართულებით (Saladin and van Dyke, 1998).

დამატებითი ინფორმაციისთვის:

საზოგადოების მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გულისხმობს მოქალაქეთა ან მცხოვრებლების მონაწილეობას, საზოგადოების ჩართვას და ა.შ.; საზოგადოების მონაწილეობა წარმოადგენს სხვადასხვა წარმომადგენლის თანამშრომლობის სამუშაო პროცესს საზოგადოების სასარგებლოდ; საზოგადოებაში იგულისხმება “ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც აერთიანებთ საერთო გეოგრაფიული არეალი და ერთმანეთთან არიან დაკავშირებული საერთო კულტურით, ღირებულებებით, რასით/ეთნიკური კუთვნილებით ან სოციალური სტატუსით.

სხვადასხვა წარმომადგენლის მონაწილეობასა და თანამშრომლობას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული მიზნები, როგორც არის მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ძალაუფლების გადანაწილება, მიღებული გადაწყვეტილებების ხარისხისა და ლეგიტიმურობის გაზრდა, დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონფლიქტის შემსუბუქება, ცოდნის შექმნა, სოციალური სწავლება (Stauffacher et al., 2008; Beierle and Cayford, 2002) და სხვადასხვა დონეზე (ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო) შესაბამისი წარმომადგენლების ჩართვით, პრობლემის გადაჭრისადმი განსხვავებული მიდგომების მოძიება. ასეთი მიდგომით ხელმძღვანელობა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს. ინიციატივების ჩამოყალიბებაში ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა აღიარებულია, როგორც ქვევიდან წამოსული და ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული გადაწყვეტილების შემუშავებისათვის ხელშემწყობი

ბი მიდგომის მნიშვნელოვანი პრაქტიკა (UN, 1992). მისი პოზიტიური მნიშვნელობა ასახულია პოლიტიკის დოკუმენტებში (მაგ. UN, 2015), კვლევით პუბლიკაციებში (მაგ., Berkes, 2009) და პრაქტიკულ სახელმძღვანელო ჩარჩო დოკუმენტებში (მაგ., Geilfus, 2008). ამასთან, მონაწილეობის საკითხი გადაიქცა ადგილობრივი ხელისუფლებების ერთ-ერთ მთავარ შესასრულებელ ამოცანად, რომლის მიზანია ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე სანდო და მომავალზე ორიენტირებული თანამშრომლობის დამყარება. მონაწილეობითი მიდგომების კუთხით ყურადღების გამახვილებამ და, მით უფრო, გამოყენებამ ხელი შეუწყო ინტერაქტიული პრაქტიკების განვითარებას (Moulaert, 2013; Schauppenlehner-Kloyber, 2017).

სასარგებლო ბმულები:

მოცემულია მონაწილეობითი მიდგომის გამოყენების სხვადასხვა მეთოდი:

<https://www.participatorymethods.org/page/about-participatory-methods>

დამატებითი ინფორმაციისთვის:

სოფლის განვითარების პრაქტიკებში მონაწილეობის მეთოდების ინტეგრაციის ისტორია

მონაწილეობის მეთოდები წარმოადგენს განვითარების პრაქტიკის დამკვიდრებულ ნაწილს, რომელიც 1970-იან წლებში მეინსტრიმული (ზემოდან წამოსული და ხაზოვანი) მიდგომების ალტერნატივად ჩამოყალიბდა. რობერტ ჩემბერსი, ბრიტანული აკადემიის წევრი და განვითარების პრაქტიკოსი, იყო ერთ-ერთი ინიციატორი, რომ მომხდარიყო მონაწილეობითი მეთოდების საერთაშორისო განვითარების პრაქტიკის სფეროში ინტეგრირება. ის ამტკიცებდა, რომ განვითარების პრობლემის იდენტიფიცირების, მისი გადაჭრის გზების ფორმულირებისა და პროექტების, რომლებიც მიზნად ისახავენ არსებული მდგომარეობის გამოსწორებას, განხორციელების პროცესში აუცილებლად უნდა მოხდეს ღარიბი ფენის წარმომადგენლების აზრის გათვალისწინება. მან შეიმუშავა სოფლის მონაწილეობითი შეფასების მიდგომა (Participatory Rural Appraisal – PRA), სადაც განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული ფასილიტაციაზე, გაძლიერებაზე, ქცევის შეცვლაზე, ადგილობრივ ცოდნასა და ქმედებების მდგრადობაზე (Chambers, 1994a).

განვითარებულ ქვეყნებში 1980 წლამდე განხორციელებულ სოფლის განვითარების პროექტებში უმეტესად გარე ექსპერტები (ხშირად უცხოელები) მონაწილეობდნენ. მათ სოფლად მუშაობის დროებითი

გამოცდილება ჰქონდათ და ძირითადად იყენებდნენ თავიანთ ექსპერტულ ცოდნას, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას არაკომპეტენტურად თვლიდნენ. აღნიშნული პრაქტიკა ცნობილია, როგორც სოფლის სწრაფი შეფასება (Rural Rapid Assessment/Appraisal) და მისი გამოყენება ხდებოდა სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დროს, აგრეთვე თემზე დაფუძნებული საქმიანობის შემთხვევაში, როგორცაა თემზე დაფუძნებული ბუნების მართვა, სათემო ტურიზმი და ა.შ.

მსგავს პროექტებში, პრობლემების იდენტიფიცირებაში ან გადაწყვეტილების მიღებაში არ ხდებოდა ადგილობრივი მცხოვრებლების მონაწილეობა. კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება ადგილობრივ თემის გვერდის ავლით ხდებოდა (Chambers 2002b). გარე მონაწილეები (ექსპერტები) მცირე დროში ეცნობოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის რეალობასა და გამონწვევებს, რის შემდეგაც ირგებდნენ “მასწავლებლის” როლს და არიგებდნენ მოსახლეობას, თუ როგორ უნდა განვითარებულიყვნენ. ეს ტენდენცია ნაწილობრივ შეინიშნება დღესაც და, ხშირ შემთხვევაში, მის გამოწვევ მიზეზს საზოგადოების განვითარების გარკვეული პრაქტიკების არაეფექტურობა წარმოადგენს.

1980-იანი წლებიდან მიდგომები თანდათანობით შეიცვალა და ძველი პარადიგმა ახალმა ჩანაცვალა: ადგილობრივი მოსახლეობა ფლობს ყოვლისმომცველ ცოდნას თავის თემსა და გარემოცვასთან დაკავშირებით. სწორედ ადგილობრივი და კონკრეტულ შემთხვევაზე მორგებული ცოდნის საფუძველზე ისინი თავად გეგმავენ, წყვეტენ, გამოყოფენ პრიორიტეტებს და ამ პროცესში მხოლოდ მხარდაჭერა სჭირდებათ “გარეშე პირებისაგან” (Chambers, 1994b). აღნიშნულ პრაქტიკას ეწოდა სოფლის მონაწილეობითი შეფასება, რაც მოიცავს რეფლექსიას, სწავლებას და ძალაუფლების გადანაწილების გააზრებას და აქვს ისეთივე მნიშვნელობა, რაც კვლევაში აქვს მონაწილეობით სწავლასა და ქმედებას (participatory learning and action – PLA). მონაწილეობითი სწავლებისა და ქმედების მიდგომისას ექსპერტებს მხოლოდ კატალიზატორისა და ფასილიტატორის როლი ენიჭებათ; ისინი ეხმარებიან დაინტერესებულ მხარეებს, რათა მათ განახორციელონ საკუთარი შეფასება და ანალიზი, შეიმუშაონ სამოქმედო გეგმა, აიღონ შედეგებზე პასუხისმგებლობა, გააზიარონ თავიანთი ადგილობრივი ცოდნა და ა.შ. (Chambers, 2002b, 2011; Cornwall, 2002a).

ცხრილი 3.1 ცხრილი ასახავს ზემოთ აღწერილი მონაწილეობითი მეთოდების შედარებას და აჩვენებს მათ გამონწვევებსა და შესაძლებლობებს.

ცხრილი 3.1 მონაწილეობითი მეთოდების შედარება: სსშ, სშშ და მსქ

	<p>სოფლის სწრაფი შეფასება (სსშ) 1970-იანი წლებიდან, ინფორმაციის მოპოვება</p>	<p>სოფლის მონაწილეობითი შეფასება (სშშ) 1990-იანი წლებიდან, მონაწილეობითი რეფლექცია და ქმედება (Cornwall, 2002b)</p>	<p>მონაწილეობით სწავლება და ქმედება (მსქ) 1990-იანი წლების შუიდან, ბევრად მეტი, ვიდრე სწავლება</p>
<p>ექსპერტების როლი და ფუნქცია</p>	<p>მასწავლებელი, ცოდნის გადამცემი.</p> <p>მონაცემთა შეგროვება და ანალიზი; ექსპერტები ადგილობრივებისგან ინფორმაციას მოიპოვებენ ადგილობრივი პირობების შესახებ.</p>	<p>კატალიზატორი და ფასილიტატორი.</p> <p>მისცენ 'სხვებს' უფლება, რომ მოახდინონ თვითშეფასება, ანალიზი, მოქმედების დაგეგმვა და იყვნენ პასუხისმგებელნი შედეგებზე.</p> <p>პროცესში „სხვების“ ჩართვა (სოფლები ან ქალაქელები, ქალები, კაცები ან მოხუცები, ან რომელიმე ორგანიზაციის, ჯგუფის წევრები...), მათი, ვინც არის მარგინალიზებული, დაუცველი და ხმის არმქონე.</p>	<p>კატალიზატორი და ფასილიტატორი.</p> <p>ასწავლონ მკვლევრებს, გაუზიარონ თავიანთი ცოდნა (Chambers, 1994a).</p> <p>მისცენ 'სხვებს' უფლება, რომ შეისწავლონ, გაანალიზონ, ისწავლონ, დაგეგმონ, იმოქმედონ, მონიტორინგი გაუწიონ და შეფასდნენ ინსაიდერების (ადგილობრივების) მიერ (Chambers, 2002a)</p>
<p>უპირატესობები</p>	<p>ერთჯერადი ღონისძიება -შეგროვების რენტაბელური და სწრაფი პროცესი.</p> <p>პირდაპირი კონტაქტი, პირისპირ მუშაობა, ზოგჯერ ველზეც.</p>	<p>არის პროცესი და არა ერთჯერადი ღონისძიება.</p> <p>მოქნილი, ინტერაქტიული და ინოვაციური მიდგომა (Pretty, 2006).</p> <p>არაიერარქიული და თანამშრომლობითი პრაქტიკა.</p> <p>შედარება გაზომვის მაგვირად.</p> <p>ფოკუსირებულია ჩართულობის ხარისხზე (Terry and Khatri, 2009); სწავლობს ადგილობრივებისაგან, ადგილობრივებთან ერთად და ადგილზე.</p> <p>აკვირდება ადამიანურ და სოციალურ ქცევას, განსაზღვრავს ძირითადი სურათის მიღმა არსებულ ფუნდამენტურ პრობლემას.</p>	<p>შესაძლებლობის მიცემა ნაკლებად პრივილეგირებული საზოგადოებისათვის, რომ შეიძინონ თავდაჯერებულობა, უნარ-ჩვევები და გადადგან პოლიტიკური ნაბიჯები.</p> <p>კომპლექსური პრობლემის შემაჯგუფებელი კომპონენტების ნაწილ-ნაწილ განხილვა, ანალიზი, ინტერპრეტაციის საფუძველზე ვითარების პროგნოზირება.</p> <p>კონტექსტის შესაბამისი სპეციფიკური კვლევა, რომელიც წინ უძღვის ადგილობრივ ცოდნას.</p>
<p>ნაკლოვანებები, რისკები</p>	<p>შეიძლება მიკერძოებული იყოს კვლევის პრიორიტეტების დადგენაში.</p> <p>ადგილობრივი მოსახლეობა არ მონაწილეობს ანალიზისა და დაგეგმვის პროცესში (Cornwall and Guijt, 2004).</p> <p>წარმოდგენილია მოქნილი, უფროსი ასაკის და ძალაუფლების მქონე ხალხით, ძირითადად მამრობითი სქესისა.</p>	<p>შეგროვებული მონაცემები დიდი რაოდენობისაა და საჭიროებს ზუსტ დამუშავებასა და ანალიზს.</p> <p>ბევრი რამ არის დამოკიდებული ექსპერტის, როგორც პროცესების ხელშემწყობის, ქცევაზე, მის პიროვნულ ორიენტაციაზე და არჩევანზე.</p> <p>მოითხოვს შესაძლებლობებსა და ინფორმირებულობას ადგილობრივ დონეზე.</p>	<p>პროცესი შრომატევადია.</p> <p>ბევრი რამ არის დამოკიდებული ექსპერტის ფასილიტაციის უნარებსა და იმაზე, თუ როგორ წარმართავს ის პროცესს. დასმული კითხვები ნეიტრალური უნდა იყოს.</p> <p>მოითხოვს შესაძლებლობებსა და ინფორმირებულობას ადგილობრივ დონეზე.</p>
<p>გამოყენებული მეთოდები</p>	<p>მეთოდები ვერბალურია, გარეშე პირები უფრო აქტიურები არიან ადგილობრივებთან შედარებით.</p> <p>გამოიყენება: მეორადი წყაროები, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები, დაკვირვება, ნაკვეთების/მიდამოს დათვალიერება და ა.შ.</p>	<p>უფრო მეტად წერილობითი, ზეპირი, ვიზუალური ფორმები ადგილობრივებთან ერთად; კვლევის უფრო აქტიური ფორმები: ჯგუფური მუშაობა, კოლექტიური კვლევა.</p> <p>გამოიყენება: მეორადი წყაროების ადგილობრივი ანალიზი, მონაწილეობითი კარტირება, დიაგრამების შექმნა, სხვადასხვა სახის მასალების/წყაროების გამოყენება, სეზონური კალენდარი და ა.შ., ნაკვეთებში/მიდამოში სიარული, შეფასებისა და რანჟირებისმატრიცები, ვენის დიაგრამა. აეროფოტოსურათები ადგილების იდენტიფიცირებისათვის, ცოდნის გაზიარება, სატელიტური სურათები და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები.</p>	<p>მეთოდები ინტერაქტიული, საგანმანათლებლო და შემეცნებითი საშუალებაა, რაც ხელს უწყობს სოციალურ სწავლებას, სშშ-ს მსგავსად.</p> <p>გამოიყენება: კავშირის დიაგრამები, პრეზენტაციების გაზიარება და ანალიზი, განსხვავებების შედარება, როლური თამაშები, თეატრალური და მონაწილეობითი ვიდეოები, ჩამონათვალი და ქულებით შეფასება.</p>

წყარო: შედგენილია ლ. ხარტიშვილის მიერ.

მონაწილეების ჩართულობის ფორმები და დონეები

საზოგადოების მონაწილეობის თეორიის საკვანძო ნაწილია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის ძალაუფლების გადანაწილება, მაგალითად, მთავრობაში, დანესებულებებში, ადგილობრივ თემებსა და მოქალაქეებში, თუმცა ყველა მონაწილეობითი მიდგომა არ გულისხმობს (თითოეული მონაწილის) გაძლიერებას. შეიძლება განვიხილოთ მონაწილეობის სხვადასხვა ხარისხი, რომელიც ხვდება დიაპაზონში მუნიციპალური მონაწილეობიდან მოქალაქის ძალაუფლებამდე (Schauppenlehner-Kloyber, 2017).

შერი არნშტეინის (1969) მიერ შემოთავაზებული მოქალაქეების მონაწილეობის კიბე ქმნის ჩართულობის კონცეპტუალიზაციისა და მისი პრაქტიკაში განხორციელების საფუძველს (Schauppenlehner-Kloyber, 2017; Collins and Ison, 2009; López-Ridaura et al. 2005). არნშტეინი მონაწილეობის რვა დონის აღწერით, რომელსაც ხშირად „არნშტეინის კიბეს“ უწოდებენ, მიმოიხილავს, თუ რა დონემდე მიჰყავს მონაწილეობის სხვადასხვა ხარისხს მოქალაქეების ძალაუფლება. მისი მოსაზრებით, ჩართულობა მათი ძალაუფლების მოპოვებისათვის უპირობოდ აუცილებელია, რადგან ძალაუფლების გადანაწილება საშუალებას აძლევს პასიურ, პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების მიღმა დარჩენილ მოქალაქეებს, რომ ჩაერთონ პროცესებში.

ნებისმიერი კონცეპტუალური მოდელის მსგავსად, „არნშტეინის კიბე“ არის გამარტივებული ილუსტრაცია იმისათვის, რომ წარმოადგინოს მონაწილეობის სხვადასხვა დონეს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებები და მიაწინებს იმაზე, რომ სასურველია ბევრად მაღალი დონის მონაწილეობის უზრუნველყოფა (Aarts and Leeuwis, 2010; Wilcox, 1994).

ნახ. 3.1-ზე კიბის თითოეულ რგოლში მოცემულია მონაწილეობის რვა სხვადასხვა ტიპი, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქეების ძალაუფლების ხარისხს.

ნახაზი 3.1 მონაწილეობის კიბე და მისი საფეხურები



წყარო: Arnstein, 1969–ის მიხედვით.

1. მანიპულირება – მაგალითად, ადამიანების გადანაწილება კომიტეტებში ან საკონსულტაციო საბჭოებში, მათი მხრიდან მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით.
2. თერაპია – ვარაუდობენ, რომ უძლურება ფსიქიური/მენტალური დაავადებების იდენტიფიკაციაში, მანიპულირება და თერაპია აღწერს მონაწილეობის არქონის დონეს, რაც ჩანაცვლებულია ნამდვილი/ჭეშმარიტი მონაწილეობის რამენაირი შემცველი ფორმით.
3. ინფორმირება – მნიშვნელოვანია მოქალაქეების ინფორმირება მათი უფლებების შესახებ, მაგრამ ამან შესაძლოა გააღრმავოს მათზე ცალმხრივი ინფორმაციის ნაკადების გავლენა.
4. კონსულტაცია – ანალოგიურად, მოქალაქეების მოსაზრებების გაჟღერების უზრუნველყოფა შეიძლება იყოს ლეგიტიმური ნაბიჯი მონაწილეობის ხელშეწყობისაკენ, მაგრამ ეს არ იძლევა გარანტიას, რომ მოქალაქეების ყველა გულისტკივილი იქნება გათვალისწინებული.
5. განლაგება – მაგალითად, ღარიბი მოსახლეობის საჯარო ორგანოების დაფაზე განთავსება.
6. თანამშრომლობა – კიბის ამ საფეხურზე ძალაუფლება გადანაწილებულია მოქალაქეებსა და ძალაუფლების აგენტებს შორის მოლაპარაკების გზით.
7. დელეგირებული ძალაუფლება – როდესაც მოქალაქეების მოთხოვნები და საჭიროებები აისახება კონკრეტული გეგმის ან პროგრამის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი წარმომადგენლის საქმიანობაში.
8. მოქალაქეების კონტროლი – მოქალაქეები აკონტროლებენ სიტუაციას, რომელშიც ადამიანები მოითხოვენ გარკვეული სახის ძალაუფლების მინიჭებას, რაც ხდება იმის გარანტია, რომ მონაწილეები შეიძლება პროგრამის მართვას.

დამატებითი ინფორმაციისთვის:

დღესდღეობით არსებობს მოქალაქეების მონაწილეობის კიბის მსგავსი სხვა მოდელები, რომლებიც ნაწილობრივ არნშტეინის კიბის საფუძველზე არის შექმნილი. ქვემოთ მოყვანილი მაგალითი აჩვენებს აქტორების კვლევით პროექტში ფორმალური მონაწილეობის სამ დონეს.

სამეცნიერო პროექტში მოქალაქეთა ჩართულობის დონეები (Breuer, 2009)

1. ინფორმაცია. ხდება აქტორების ინფორმირება კვლევის პროექტის შესახებ, მაგ., საჯარო შეხვედრაზე ან წერილობითი მოხსენების საშუალებით. მათი ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზანია ფართო საზოგადოებაში ისეთი გეგმის ან კვლევითი გადანყვეტილებების და შედეგების გავრცელება, რომლის შესახებ უკვე არსებობენ ინფორმირებული პირები. აღნიშნულ მიდგომას, თავის მხრივ, აქვს მხოლოდ მცირე შესაძლებლობა, რომ გავლენა მოახდინოს კვლევის გადანყვეტილებებზე, მიზნებზე ან შედეგზე.

2. კონსულტაცია. აქტორები, კვლევითი წინადადების დოკუმენტში შენიშვნების შეტანის მეშვეობით, ხელს უწყობენ იდეებისა და შეთავაზებების ჩამოყალიბებას. აქტორების კონსულტირების ძირითადი მიზანი არის, რომ მოხდეს მათი ცოდნისა და დამოკიდებულების წარმოჩენა კვლევით წინადადებებთან, კვლევით გეგმებთან, გადანყვეტილებებთან ან საკვლევ კითხვებთან დაკავშირებით, რათა ეს ყოველივე გათვალისწინებული იყოს კვლევის შედეგებში.

3. ცოდნის თანაწარმოება და გაძლიერება. აქტორები ერთვებიან კვლევით პროექტის შემუშავებაში, განხორციელებასა და წარმართვაში. ეს ხშირად ნიშნავს მიზანმიმართულ და პასუხისმგებლიან მონაწილეობას, სადაც მათ, მონაწილეობითი სოციალური კვლევის ან სამოქმედო კვლევის პრინციპების შესაბამისად, უფლება აქვთ პროექტის პარტნიორები იყვნენ (Breuer, 2009). აღნიშნულ ინტერაქციას ძირითადად ახასიათებს დისკუსია, ღია დებატები და სხვადასხვა აქტორის შორის გადანყვეტილების მიღების მსგავსი პროცესები.

კიბის მსგავსი, ერთგანზომილებიანი მოდელების ხარვეზი გადანყვეტილების მიღებაში მონაწილეთა უფლებამოსილების შესაფასებლად არის ის, რომ ისინი არ ითვალისწინებენ მონაწილეობის პროცესების მრავალფეროვნებას და მათ მიზნებს (Tritter and McCallum, 2006) და გამორიცხავენ ტრანსფორმაციასა და დინამიკურ ურთიერთობას მოქალაქეებსა და გადანყვეტილების მიმღებ პირებს შორის (Kotus and Sowada, 2017). ისინი ვერ ახერხებენ სრული რეალობის ასახვას, რაც იერარქიული და ცენტრალიზებული მართვის ტრადიციული პერსპექტივიდან, ანუ “ზემოდან წამოსული” გადანყვეტილებების მიღებიდან კოლაბორაციულ თანამშრომლობით მმართველობაზე (ინტერაქციული პოლიტიკისა და გადანყვეტილებების მიღება) გადასვლას უკავშირდება (Felt et al., 2015).

სინამდვილეში, მონაწილეობა არ შეიძლება იყოს წრფივი პროცესი, რადგან ბევრი რამ დამოკიდებულია გარემოებებზე, მათ შორის მონაწილის მზადყოფნასა და სურვილზე, რომ მოარგოს თავისი აღქმა და მზაობა სწავლის პროცესს (Collins and Ison, 2009). უფრო მეტიც, ძალაუფლების გადანაწილებაზე ფოკუსირებამ, რაც დამახასიათებელია ერთგანზომილებიანი მოდელებისათვის, შესაძლებელია გამორიცხოს ნაყოფიერი თანამშრომლობის, მნიშვნელოვანი სასწავლო პროცესების წარმართვის, გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების შესაძლებლობები (Newig, 2007) – ინტერაქტიული პრაქტიკა, რომელიც აქცენტს აკეთებს ორმხრივ პროცესებზე კომპლექსური პრობლემების გადაჭრისთვის (Stuart, 2020). საზოგადოების მონაწილეობის საერთაშორისო ასოციაციამ შეიმუშავა საზოგადოების მონაწილეობის ან საზოგადოების ჩართულობის სპექტრი, რაც ხელს უწყობს როლების გარკვევას დაგეგმვისა და გადანყვეტილების მიღების პროცესში. ორგანიზაცია ხაზს უსვამს, რომ მონაწილეობის ისეთი დონეები, როგორცაა ინფორმირება, კონსულტაცია, ჩართვა, თანამშრომლობა და გაძლიერება, ნაბიჯებად ვერ იქნა აღიარებული, რადგან თითოეულ დონეს აქვს თავისი მიზნები და მათი მიზანშეწონილობა დამოკიდებულია კონტექსტზე.

მონანილეობა, როგორც საგანმანათლებლო ინსტრუმენტი: ცნობიერების ამაღლება და სოციალური სწავლების პროცესი

„ჩვენს პრობლემებს ვერ მოვაგვარებთ იმავე აზროვნებით, რაც მათი შექმნისას გამოვიყენეთ“.

ალბერტ აინშტაინი

სრულფასოვანი მონანილეობა დაკავშირებულია გაძლიერების კონცეფციასთან, რომელიც ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გვხვდება დაგეგმვაში, მათ შორის ტურიზმის სფეროში, თუმცა მოქალაქეთა ჭარბი ძალაუფლება ყოველთვის არ არის სასურველი (Fung, 2003), მაგალითად, იმ გარემოებებში, როდესაც საკითხის შესახებ გადაწყვეტილება გავლენას ახდენს ფართო საზოგადოებაზე ან როდესაც მონანილეობა მიზნად ისახავს სოციალურ სწავლებას და არა მხოლოდ მოქალაქეების ძალაუფლებით აღჭურვას (მაგ. კლიმატის ცვლილება) (Collins and Ison, 2009).



სოციალური სწავლება აღიარებულია, როგორც მდგრადი განვითარების საკვანძო პროცესი, რადგან ის ხელს უწყობს ფსიქიკური მოდელისა და ქცევის გადახედვასა და შეცვლას (Senge, 2010), აგრეთვე ეხმარება ადამიანს ახალ გარემოებებთან გამკლავებაში (Lozano and Arenas, 2007; Peer and Stoeglehner, 2013). უფრო მეტიც, სოციალური სწავლება შემოთავაზებულია, როგორც მონანილეობის უმაღლესი დონე (Collins and Ison, 2009).

სოციალური სწავლება ხდება აქტორთა ჯგუფებში სოციალური ინტერაქციის საშუალებით. ეს ხორციელდება კოლექტიური ჩართულობისა და იდეების გაცვლის გზით (Albert et al., 2002). მონანილეობა სურვილი, მოარგონ თავიანთი აღქმა და მზაობა სასწავლო პროცესს, ამ მიზნების მიღწევის ფუნდამენტური პირობაა.

მონანილეობა, როგორც კვლევითი პროცესის ნაწილი: სხვადასხვა მონანილის თანამშრომლობა, ცოდნის შექმნა.

მონანილეობითი მიდგომის გამოყენება კვლევაში შესაძლებელს ხდის კომპლექსურ საზოგადოებრივ პრობლემებთან მიახლოებას სხვადასხვა აკადემიური და არაკადემიური წარმომადგენლის გაერთიანებით, ცოდნის შექმნით და შესაბამისი გამოწვევების გადასაჭრელად ერთობლივი სამოქმედო გეგმის შემუშავებით (Enengel et al., 2012). ეს მიდგომა მიზნად ისახავს სხვადასხვა წარმომადგენლის მონანილეობას, მათ შორის იმათ ჩართულობას, ვისაც პირდაპირ ეხება კვლევის მიერ დასახული საკითხების გადაჭრა და/ან შეუძლია საჭირო ცოდნის გაზიარებით წვლილის შეტანა კვლევის პროცესში. ეს ყოველივე მკვლევრებს აძლევს საშუალებას, რომ უკეთ გაიაზრონ პრობლემა, აღიქვან მისი კომპლექსური ბუნება და შეიმუშაონ სოციალურად რელევანტური გადაწყვეტები. მონანილეობითი კვლევა ქმნის სივრცეს, რომელშიც შესაძლებელია პრაქტიკოსების, მკვლევრებისა და სხვა აქტორების გაერთიანება და აქტიური თანამშრომლობა. მრავალფეროვანი პრაქტიკული და სამეცნიერო გამოცდილების წარმომადგენლებს აქვთ განსხვავებული ინტერესები, ცოდნა და, შესაბამისად, სხვადასხვა როლს ასრულებენ კვლევის პროცესში. აქტორების ფართო სპექტრი უზრუნველყოფს შესაძლებლობებსა და სწავლების ისეთ ეფექტს, რაც მიღებული სოციალური კომპეტენციითა და სხვადასხვა ჯგუფთან ინტერაქციით (მათ შორის, აკადემიის შიგნით და მის გარეთაც) იძლევა ისეთ ცოდნას, რომელიც სცილდება კვლევითი პროექტის ტრადიციულ ფორმატს.

დაინტერესებული მხარეები (აქტორები) პროექტში შეიძლება განვასხვაოთ სხვადასხვა გზით, მაგალითად:

- 1) აკადემიის წარმომადგენელი და თემის კონკრეტულ ასპექტებზე ორიენტირებული;
- 2) აქტორები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან კონკრეტულ როლებზე, როგორც ამას რიტერი გვთავაზობს (Ritter et al., 2010):

1. ძირითადი მეცნიერები – კვლევითი პროექტის მთავარი სამეცნიერო შემსრულებლები (სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომში მონანილე სტუდენტი და ხელმძღვანელი);
2. სამეცნიერო კონსულტანტები – ძირითადი ჯგუფის მხარდამჭერები პროექტის კონკრეტულ ეტაპებზე (ე.ი. გარე აკადემიური პერსონალი, სპეციფიკური ცოდნის უზრუნველყოფისათვის). ისინი გვთავაზობენ გამოცდილებას, რომელიც არ არის საკმარისად წარმოდგენილი გუნდის ძირითადი წევრების მიერ;

3. პროფესიული პრაქტიკის ექსპერტები – პრაქტიკოსები, რომლებიც მუშაობენ არა-სამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო სამსახურებში. ისინი ხშირად ძალიან კარგად იცნობენ შესასწავლი საკითხების პრაქტიკულ და პოლიტიკურ ასპექტებს, მაგრამ შესაძლოა არ იცნობდნენ კონკრეტული შემთხვევის ადგილობრივ კონტექსტს;
4. შესასწავლი შემთხვევის სტრატეგიული აქტორები – საკითხის შესწავლის დონეზე ჩართული პრაქტიკოსები, კონკრეტული ფორმალური ან არაფორმალური პასუხისმგებლობით (მაგ. ადგილობრივი პოლიტიკოსები, სტეიკჰოლდერთა ჯგუფების ლიდერები), ან პროფესიული კომპეტენციის მქონე პირები (მაგ. რეგიონული მენეჯერები). ზოგიერთი მათგანი შესაძლოა მონაწილეობდეს კვლევითი პროექტის ორგანიზებაში, განვითარებასა და დაფინანსებაში;
5. შესასწავლი შემთხვევის ადგილობრივი აქტორები – სხვა ყველა აქტორი, რომლებიც საკვლევი შემთხვევის დონეზე არიან ჩართული პროცესებში. ისინი შეიძლება იყვნენ აქტორები საქმის სპეციფიკური თემატური ცოდნის გარეშე, მაგალითად, მდგრადობასთან დაკავშირებული პრობლემით დაზარალებული მცხოვრებლები ან, ზოგჯერ, კონკრეტული ცოდნის მქონე აქტორები, მაგალითად, ფერმერები ან კონსერვაციის ადგილობრივი ჯგუფების წევრები.

სხვადასხვა აქტორების მიერ კვლევის სხვადასხვა ეტაპზე წვლილის შეტანა ცოდნის კუთხით

ცალკეული აქტორების წვლილის გაანალიზებისას, შეიძლება სასარგებლო იყოს ცოდნის შემდეგი მართულეები და ტიპები (ცხრილი 3.2).

ცხრილი 3.2 ცოდნის სამი მიმართულება და ტიპი.

<p>ცოდნის მასშტაბი</p>	<p>კონტექსტის სპეციფიკური ცოდნა – ეხება ინდივიდუალური შემთხვევის კონკრეტულ გარემოებას. ლანდშაფტის განვითარების პროექტებში ეს, ჩვეულებრივ, ნიშნავს სივრცეში ლოკალიზებულ ცოდნას. ეს ცოდნა შეიძლება იყოს ძალიან დეტალური როგორც სივრცითი თვალსაზრისით, ასევე დროითი გადანაცვლების მიღების კუთხით; მას, როგორც წესი, გააჩნია კონტექსტისათვის დამახასიათებელი პირობებისა და ადგილობრივი მოვლენების წვდომა, რომლებიც არი უნიკალური, მაგრამ შეუძლებელია მათი განზოგადება.</p> <p>განზოგადებული ცოდნა – საყოველთაოდ მიღებული, სისტემურად გამოხატული, კონტექსტის სპეციფიკური პირობებისა და შეზღუდვებისაგან თავისუფალი ცოდნაა, თუმცა მისი გამოყენება ადგილობრივ კონტექსტში ხშირად მოითხოვს ინტერპრეტაციასა და ადაპტაციას. ზოგჯერ ეს შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ადგილობრივ ან სპეციფიკურ ცოდნას კონტექსტის შესახებ.</p>
<p>ფუნქციური მიმართულებები</p>	<p>ფუნქციური ცოდნა – ეხება ადგილობრივი სოციალური და ეკოლოგიური ფუნქციების აღწერასა და განხილვას. ის ხშირად ყურადღებას ამახვილებს გასაანალიზებელი სისტემის კონკრეტული ელემენტების გაგებასა და ახსნაზე.</p> <p>სტრატეგიული ცოდნა – ფოკუსირება ხდება სისტემის ელემენტების კავშირებსა და ურთიერთდამოკიდებულებაზე. ის ხშირად განიხილავს ორგანიზაციულ, ფუნქციურ და კომუნიკაციურ საკითხებს სისტემის შეცვლისთვის და აუცილებელია კვლევის პროცესის სტრუქტურირებისათვის (მაგ., რეგიონული მენეჯერების ცოდნა ძირითადი მოთამაშეების შესახებ).</p>
<p>ეპისტემური (კოგნიტური) მიმართულებები</p>	<p>ექსპერიმენტული ცოდნა – მიღებული ცხოვრებისეული გამოცდილება ან ტრადიციული ცოდნა, ხშირ შემთხვევაში რჩება გამოუთქმელი და არ არის მკაფიო, ამიტომ, როგორც წესი, არ არის ფორმალიზებული ან სისტემატიზებული.</p> <p>სამეცნიერო ცოდნა – ემყარება ემპირიულ მტკიცებულებებს ან მეცნიერულად აღიარებულ თეორიებს; ის არის სისტემური, ფორმალიზებული და მკაფიო.</p>

წყარო: Enengel et al., 2012

აქტორების ინტეგრაცია კვლევის ფაზებში დამოკიდებულია მათ როლსა და კომპეტენციებზე (Enengel et al., 2012). მაგალითად, პროფესიული პრაქტიკის ექსპერტებს უმთავრესი როლი აქვთ პროექტის ადრეულ ეტაპებზე, პრობლემის სტრუქტურისა და შემთხვევის შესწავლის სფეროების შერჩევისას. შემთხვევის სტრატეგიული აქტორები არიან „მეკარები“ ადგილობრივი აქტორებისათვის, ხოლო ამ უკანასკნელებს ძირითადად წვლილი შეაქვთ კონტექსტის სპეციფიკური, ფენომენოლოგიური და გამოცდილებით მიღებული ცოდნის გაზიარების კუთხით.

კვლევის ადრეულ ეტაპზე შესაბამისი აქტორების ჩართულობა ქმნის სხვადასხვა მონაწილეს შორის თანამშრომლობის საფუძველს (Edelenbos et al., 2011). ზოგიერთ შემთხვევაში, მკვლევრები პროცესს იწყებენ მოსამზადებელი ეტაპიდან, რაც მათ საშუალებას აძლევს, გაეცნონ პრობლემის წარმომავლობას, გააცნობიერონ ქცევა და ურთიერთობა გარკვეულ აქტორებს შორის (Enengel et al., 2012).

ინოვაციური მიდგომების გამოყენება მონაწილეობით დაგეგმვის ხელშეწყობისთვის

მონაწილეობითი კვლევა და დაგეგმვა შემუშავებულია, რათა თანამშრომლობით მოხდეს პრობლემების გადაჭრა და ამ პრობლემებით დაინტერესებული პირების აქტიური მონაწილეობა (Hubert and Bonnemaire, 2000). ეს არის ტრანსდისციპლინარობის ძირითადი კომპონენტი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა დარგისა და აქტორის გამაერთიანებელ პროცესებს, რაც იძლევა ცოდნისა და პრაქტიკის განვითარების საშუალებას და ეს, თავის მხრივ, საყოველთაო სიკეთედ აღიქმება (Pohl and Hadorn, 2007).

მონაწილეობითი დაგეგმვის მიდგომას სჭირდება მხარდამჭერი გარემოს არსებობა, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ სოციალურ პირობებთან. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია „პოლიტიკური ნება“ მონაწილეობითი დაგეგმვის გასაძლიერებლად არა მხოლოდ კანონით, არამედ პრაქტიკაში გამოყენებითაც. ამ შემთხვევაში, მონაწილეობის პროცესის დაგეგმვის ძირითადი ელემენტებია მონიტორინგი და შეფასება. ფინანსურ რესურსებს ასევე გადამწყვეტი როლი აქვს წარმატებული მონაწილეობითი დაგეგმვისა და პროექტების განსახორციელებლად. კონტექსტი მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვკამათობთ კულტურულ ან სოციალურ მდგომარეობაზე, რომელიც განსხვავებულია ყველა საზოგადოებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია სხვა-

დასხვა შესაბამისი მეთოდისა და ინსტრუმენტის გამოყენება, რათა უზრუნველყოფილი იყოს არა მხოლოდ მონაწილეობის დონე, არამედ ინფორმაციისა და კომუნიკაციის ხარისხიც.

კარგი, აქტიური და მასშტაბური მონაწილეობის მისაღწევად მნიშვნელოვანია მონაწილეობითი პროცესის შემუშავება. ახალი მეთოდები, ქალაქის თემატიკაზე შექმნილი სამაგიდო თამაშები, კომპიუტერზე დაფუძნებული პროგრამები მიზნად ისახავს საზოგადოების მონაწილეობის გაუმჯობესებასა და საპროექტო აქტივობებში მოქალაქეთა ჩართულობას. სამაგიდო და რუკებზე დაფუძნებული თამაშები მონაწილეობითი დაგეგმვის ძალიან გავრცელებული ტექნიკაა, ისინი საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს, შეიმუშაონ საერთო ხედვა მათი ქალაქის ან რაიონის შესახებ და ჩამოაყალიბონ მათი საცხოვრებელი არეალის განვითარების გეგმა. მათ შეუძლიათ შეარჩიონ ძირითადი პრობლემური საკითხები, რუკაზე მუშაობით ან თამაშის ფორმატში განიხილონ მნიშვნელოვანი თემები.

ერთი ქალაქის თამაში: “რუსთავი – მოდით, ვითამაშოთ ქალაქობანა”

ამ ნაწილში წარმოდგენილია ქალაქ რუსთავში, საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში, მონაწილეობითი დაგეგმვისათვის გამოყენებული ინოვაციური მიდგომა. საქალაქო თამაში “რუსთავი” შეიქმნა მუნიციპალური პრობლემების მოგვარების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობისათვის. ქალაქ რუსთავის სამაგიდო თამაში ჩატარდა 2019 წელს რუსთავის მერიის, მუნიციპალური ინოვაციური ჰაბის, პოლიტიკური ორგანიზაციის „Pracownia Miejska“ და UNDP-ის მიერ.

ქალაქის რუკა, ვირტუალური ქალაქის ფული, კამათელი, თავსატეხები – ეს ინსტრუმენტები წარმოადგენს ქალაქ რუსთავის მონაწილეობითი დაგეგმვის მეთოდების ძირითად ნაწილს. ქალაქ რუსთავის თამაში არის საინტერესო საშუალება იმისათვის, რომ მოხდეს ქალაქში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და ამ პროცესში ჩაერთონ ადამიანების სხვადასხვა ჯგუფები, განსაკუთრებით ახალგაზრდები.

უამრავი თამაშია შექმნილი სხვადასხვა ვარიაციით, თუმცა საერთო მიზნით, რათა მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება და ყველაზე ეფექტური და ინოვაციური გადაწყვეტების მიღება. თამაშის მონაწილეები იყვნენ მოსწავლეები და სტუდენტები. თითო მაგიდასთან ოთხი გუნდი სხდება, ერთმანეთს ეჯობებიან და ყოველ ეტაპზე ქულებს აგროვებენ, გამოიმუშავენ ვირტუალურ ფულს. მონაწილეები

ქალაქის რუკაზე ნიშნავენ პრობლემურ არეალებს და საკითხებს. ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულები თამაშის ყველა ეტაპზე და ამ პროცესში ამყარებენ კომუნიკაციას ხელისუფლების წარმომადგენლებთან. თამაშის ერთ-ერთ რაუნდში მონაწილეებს სთხოვენ, წარმოადგინონ თავიანთი გადანწყვეტები ქალაქის კონკრეტულ არეალში იდენტიფიცირებული პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით. მათი ხელმისაწვდომი ბიუჯეტი წინა რაუნდში მიღებული ვირტუალური თანხებისგან შედგება. ამის შემდგომ, შესაბამისმა ჯგუფმა უნდა შეისწავლოს წარმოდგენილი პრობლემის გადაჭრის გზები, რომლებიც უნდა შეაჯამონ და შეაფასონ ექსპერტებმა და მკვლევრებმა.

თამაშის დროს მონაწილეებმა დაადგინეს ქალაქში არსებული სამი ძირითადი პრობლემა. მათ გამოკვეთეს: ნარჩენების მართვა, ჰაერის დაბინძურება და წყლის დაბინძურება. მათი თქმით, რუსთავის მერიამ უნდა დაიწყოს ნარჩენების დახარისხება და ასევე ხაზი გაესვა ნარჩენების გადამამუშავებელი დანადგარებისა და მცენარეების მნიშვნელობას. მონაწილეებმა წარმოადგინეს რეკომენდაციები ნარჩენების მართვის ინოვაციური პრაქტიკის შესახებ, რაც ეხება ქალაქის მცხოვრებლების ნახალისებას, რათა დაიწყონ ნარჩენების სპეციალურ, გადამამუშავებელ ყუთებში დახარისხება. მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა წყლის დაბინძურების მაღალი ხარისხი, რომელიც, მონაწილეთა იდეების თანახმად, უნდა მოგვარდეს ფილტრებისა და გამწმენდი მექანიზმების დაყენებით. საბოლოოდ, მონაწილეთა, განსაკუთრებით სკოლის ასაკის ბავშვების, მიერ იდენტიფიცირებული ძირითადი საკითხი აღმოჩნდა გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლების საჭიროება (Król, 2019).



სურათის წყარო: UNDP საქართველო, ურბანული სამუშაო შეხვედრა რუსთავში.

„რუსთავის ინოვაციების ჰაბის“ მისიას წარმოადგენს ურბანული განვითარების, სივრცითი დაგეგმვისა და საზოგადოების ჩართულობის საკითხებში ყველაზე ეფექტიანი გადანწყვეტების შერჩევა და განხორციელება.

ელემა. მათმა ინიციატივამ, რომ შექმნილიყო ქალაქის თამაში სახელწოდებით “რუსთავი”, განსაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები და უზრუნველყო ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მოსალოდნელი სცენარების წარმოდგენა და აღნიშნულის ირგვლივ შემდგომი საჯარო განხილვების ინიცირება. სამაგიდო თამაშის ფორმატი საშუალებას აძლევს ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა და მოისმინოს მათი აზრი მათთვის ყველა საინტერესო საკითხთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ, გარდა ახალგაზრდა მონაწილეებისა, ამ თამაშში ჩართულები იყვნენ სხვა დაინტერესებული მხარეებიც, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები, ექსპერტები, სამეცნიერო და კერძო ინსტიტუტების წარმომადგენლები.

გარდა ქალაქის მოწყობასთან დაკავშირებული თამაშისა, არსებობს სხვა ინოვაციური მეთოდებიც, რომლებიც ხელს უწყობენ მონაწილეობით დაგეგმვას: ონლაინ დისკუსია, რუკაზე დაფუძნებული ონლაინ დისკუსია, ვირტუალური სამუშაო შეხვედრები და ა.შ. ხელისუფლებისათვის ახალ გამოწვევას წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენების შესწავლა. თამაშებს აქვთ ძალა, რომ მოქალაქეები ჩართონ მონაწილეობით დაგეგმვაში გართობის ფორმატში, რაც გულისხმობს ახალი ტექნოლოგიების გაცნობასა და გამოყენებას (Krek, 2008). ხელმისაწვდომია მრავალი სხვადასხვა სახის თამაში, რაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს აძლევს შესაძლებლობას აირჩიონ, მათი ხედვით, მოსახლეობისათვის შესაფერისი თამაშის ტიპი. ამ შემთხვევაში აუცილებელია, მათი მხრიდან მოხდეს სამიზნე მოსახლეობის ციფრული წიგნიერების, ინტერნეტიზაციის დონის, სოციალური და ეკონომიკური პირობების გათვალისწინება. მონაწილეობით დაგეგმვას აგრეთვე შეუძლია ხელი შეუწყოს ახალი უნარებისა და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენების ჩვევების განვითარებას მოქალაქეებში.

ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა ადაპტირებული მიდგომები, რათა ანგარიში გაუწიონ ადგილობრივ დასახლებასა და მოსახლეობას. ხელისუფლების ან ორგანიზაციების წარმომადგენლებმა უნდა გაითვალისწინონ მოსახლეობისა და მონაწილეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, მათი ტრადიციები, ცხოვრებისეული ისტორია და პრობლემები. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადანიშნონ, თუ რომელი მონაწილეობითი მეთოდი იქნება ამ დასახლების მცხოვრებლებისათვის შესაფერისი, ან საჭიროა თუ არა ინოვაციური მიდგომების გამოყენება ახალი იდეების ჩამოყალიბებისათვის.

The Making Sense მიდგომა – პლაზა დელ სოლის გახმაურებული გამოცდილება (ბარსელონა)

პლაზა დელ სოლი (მოედანი და უბანი ბარსელონაში) მნიშვნელოვნად დააზარალა ხმაურით დაბინძურებამ. ადგილობრივი საზოგადოება შეთანხმდა, რომ პლაზა ძირითადად ღამის ცხოვრების დანიშნულების ადგილად განიხილებოდა ახალგაზრდებისათვის, მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2017 წლის მაისში შეგროვებული მონაცემები ცხადყოფს, რომ შუალამის დადგომამდე ხმაურის დონე (70 დბ) მოედანზე ძალიან მაღალი იყო.

The Making Sense მიდგომა გამოყენებულ იქნა ამ პრობლემიდან გამოსავლის კოლექტიური ძიებისას. ეს მიდგომა არის ერთობლივი ტრანსდისციპლინური პროცესის შედეგი, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ქსელების დაკავშირებასა და გარემოსდაცვით საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კოლექტიური მეთოდების შექმნას (Coulson et al., 2018). ძირითად მონაწილეებს წარმოადგენენ: საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციორები, რომლებიც არიან პროექტის ინიციატორები; პროექტის გუნდი, რომელიც წარმართავს პროცესს და აქვს ფასილიტატორის როლი; საზოგადოების წევრები, რომლებიც არიან ადგილობრივი მცხოვრებლები, გარე ექსპერტები, მონაცემთა ვიზუალიზაციის მკოდნენი; მთავრობის წარმომადგენლები (Coulson et al., 2018).

დაგეგმვის პროცესში ჩართული იყო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი, მათ შორის ადგილობრივი მცხოვრებლები, არქიტექტორები, ქალაქმგეგმარებლები, ინჟინრები, შიდა მონაცემთა ნაკადების სპეციალისტები (Domestic Data Streamers) – მონაცემთა დიზაინის სტუდია, რომელიც პროექტს დაეხმარა მონაცემებით, რის საფუძველზეც მათ შექმნეს ბარსელონის სურათი, ასევე მეზობლად მცხოვრებთა ჯგუფი გრაციის დასახლებიდან, რომელსაც ბოლო წლებში ისეთივე პრობლემა ჰქონდა.

პროექტის მონაწილემ, პროფესიით მფრინავმა, ყურადღება გაამახვილა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციებზე დასახლებულ არეალში ხმაურის დონის შესახებ. თხუთმეტზე მეტი სამუშაო შეხვედრა და სემინარი ჩატარდა იმის გასაზრებლად, თუ როგორ მიმდინარეობს მოქალაქეების მონაწილეობა. ამ აქტივობების გამო ბევრი ადამიანი დაინტერესდა სახლში ხმაურის სენსორის დაყენებით. მონაწილეებმა შექმნეს გაზომვის სტრატეგიები, რომლებიც გულისხმობდა მონაცემთა შეგროვებას დღეში 24 საათის მანძილზე, ექვსი კვირის განმავლობაში. ამის შედეგად მათ შეძლეს დაედგინათ, თუ რომელი დღეები და საათები იყო ყველაზე ხმაურიანი თითოეული კვირის განმავლობაში. ხმაურის

პრობლემის უფრო მკაფიო სურათის მისაღებად მონაწილეებმა გამოიყენეს მათი სენსორების მონაცემები, დაადგინეს ხმაურის სხვა მაჩვენებლები და თავიანთი დაკვირვებების შესახებ ჩანაწერები გააკეთეს ბუკლეტებში. მათ ასევე განივითარეს ცოდნა საჯაროდ ხელმისაწვდომ ტექნოლოგიებზე.

მონაწილეები თანამშრომლობის რეჟიმში ქმნიან გადამწყვეტებს, რათა პოზიტიური ცვლილებები შეიტანონ თავიანთ საცხოვრებელ პირობებში. ისინი ყოველთვიურად აგრძელებენ შეხვედრებს ჰაბში, რათა გააგრძელონ თავიანთი აქტივობები ხმაურის დაბინძურების წინააღმდეგ. ქალაქის საბჭომ, მონაწილეთა რეკომენდაციებიდან გამომდინარე, დაიწყო ამ არეალში განახლების სამუშაოების ჩატარება – ყვავილების საშუალებით დიდი გამწვანებული ზღუდის დაყენება, რათა მუქთახორებმა თავი დაანებონ მოედნის ზოგიერთ უბანში თავშეყრას (Coulson et al., 2018).



წყარო: პრობლემების რუკაზე დატანა, პლაზა დელ სოლი (Making Sense)

პლაზა დელ სოლის გახმაურებული შემთხვევა, რომელიც ზემოთ არის აღწერილი, წარმოადგენს მონაწილეობითი დაგეგმვის ეტაპების საინტერესო მაგალითს, რაც მოიცავს: მდგომარეობის მიმოხილვას, საზოგადოების ჩამოყალიბებას, დაგეგმვას, ზონდირებას, ინფორმირებულობას, მოქმედებას, რეფლექსიასა და მემკვიდრეობითობას (Coulson et al., 2018).

პირველი ეტაპი (I) მოქმედების სფეროს განსაზღვრა, როდესაც ძირითადი მონაწილეების მიერ ხდება მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიკაცია, რუკაზე დატანა და განხილვა. პლაზა დელ სოლის მოსახლეობამ შეისწავლა მოედნის ისტორია ქრონომეტრაჟის გამოყენებით, რომელშიც მოცემულია მოგონებები, ანეკდოტები, სურათები და სხვადასხვა სახის რუკები და მონაცემები. მათ განიხილეს არსებული ვითარება და გამოავლინეს პრობლემა – ხმაური.

(II) შემდეგი ეტაპია საზოგადოების (ჯგუფის) მშენებლობა. როდესაც მონაწილეებმა გაიზიარეს პროექტის მიზნები, შეთანხმდნენ, რომ ისინი უნდა იყვნენ კონცენტრირებულნი ხმაურის დონის საკითხის მოგვარებაზე სამუშაო არეალში, რადგან ის ჯანმრთელობის რეკომენდაციას (ანუ დასაშვებ ნორმას) აჭარბებდა. ასევე მათ დაინყეს იმის შესწავლა, თუ როგორ შეიძლება საჯაროდ ხელმისაწვდომმა ტექნოლოგიამ და მონაცემებმა ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებას.

(III) დაგეგმვა მესამე ეტაპია, როდესაც მონაწილეები ერთობლივად წყვეტენ პროექტის მიზნებს და სწავლობენ პროტოკოლების გამოყენებას მონაცემთა შეგროვებისთვის. პლაზა დელ სოლის მცხოვრებლებმა დააინსტალირეს 25 ჭკვიანი სენსორი მოქალაქეების საკუთარ სახლებსა და ტერასებზე. მათ ასევე შექმნეს გასაზომი სტრატეგიები და ოფიციალური პროცედურები.

(IV) მიგნებების ეტაპი არის პროცესი, როდესაც მონაწილეები აგროვებენ მონაცემებს და თავიანთ წიგნაკში აფიქსირებენ სხვადასხვა ჩანაწერს. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსახლეობამ დაადგინა/გაზომა ხმაურის მაჩვენებლები.

(V) ცნობიერება – როდესაც მონაწილეები უზიარებენ სხვებს თავიანთ დაკვირვებებს. მათ შეძლეს მონაცემთა შეგროვება და შეგროვებული ინფორმაციის გააზრება.

(VI) ქმედება – არის ის, როდესაც მონაწილეები (რომლებიც აქამდე არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს) მუშაობენ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად და ახდენენ რეკომენდაციების ფორმულირებას.

(VII) რეაგირების ეტაპია, როდესაც მონაწილეები მსჯელობენ მიმდინარე პროცესზე და განიხილავენ, თუ რამ იმუშავა კარგად და რა შეიძლება გაუმჯობესდეს. ეს ეტაპი შეიძლება დაუკავშირდეს შემდეგ ეტაპს.

(VIII) მემკვიდრეობითობა, როდესაც დასრულებული პროექტის მონაწილეები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს და ერთობლივად მუშაობენ სხვა პრობლემებზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პლაზა დელ სოლში მონაწილეობითი დაგეგმვის მიდგომის დასრულების შემდეგ მონაწილეები (არა მარტო იქ მცხოვრებნი, არამედ სხვა ძირითადი აქტორებიც) აგრძელებდნენ შეხვედრებს ყოველთვე, რათა გაეგრძელებინათ მუშაობა ხმაურით დაბინძურების წინააღმდეგ (Coulson et al., 2018).

სასარგებლო ბმულები:

ელექტრონული წყაროები „რუსთავის“ თამაშის შესახებ

ვიდეონწყარო: [city game of Rustavi](#)

<https://www.participatorymethods.org/page/about-participatory-methods>

პლაზა დელ სოლის პროექტი *Making Sense* (ფოტო და ვიდეომასალები)

თავი II. მეთოდები



“თუ მეტყვი, დამავინწყდება;
თუ მაჩვენებ, დავიმახსოვრებ;
თუ ჩამრთავ, გავიგებ “.
ჩინური ანდაზა

შემთხვევის შესწავლის მეთოდის გამოყენებას სწავლების პროცესში დიდი ხნის ისტორია აქვს, რადგან ერთ-ერთ უნიკალურ ინსტრუმენტად ითვლება თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას შორის არსებული ღრეჩოს ამოსავსებად. კერძო შემთხვევების შესწავლა მნიშვნელოვანია, ვინაიდან მისი გამოყენებით სტუდენტები ზოგად საკითხებსა და თეორიულ ცოდნას უკავშირებენ ერთმანეთს. გარდა ამისა, დანერი, ტრენჩერი და პეტერსონი (Daneri, Trencher and Peterson, 2015) ამტკიცებენ, რომ სტუდენტებზე ორიენტირებული კერძო შემთხვევების შესწავლა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კვლევაში ჩართული ადგილობრივი თემების პრობლემების მოგვარებაში.

შემთხვევის შესწავლის, როგორც კვლევის მეთოდის, გამოყენება, წარმოდგენილია შემდეგ განმარტებაში:

“შემთხვევის შესწავლა არის ემპირიული მეთოდი, რომელიც სიღრმისეულად და არსებული რეალობის გათვალისწინებით იკვლევს თანამედროვე ფენომენს (“მაგალითს”), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საზღვრები ფენომენსა და კონტექსტს შორის შეიძლება არ იყოს აშკარა.” (Campbell et al., 2018).

მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის შესწავლა რთული საკითხების გამოკვლევითა და გააზრებით ხასიათდება (Zainal, 2007), მისი, როგორც ფორმალური მეთოდის, განხილვა კვლევის მეთოდების შესახებ ადრე გამოცემულ სახელმძღვანელოებში ვერ მოხდა (Campbell et al., 2018), თუმცა, 1989 წლიდან მოყოლებული, გაიზარდა ინტერესი შემთხვევის, როგორც კვლევის მეთოდის შესწავლისადმი. მისი როლი კვლევებში ბევრად გაიზარდა და უფრო თვალსაჩინო გახდა თემზე დაფუძნებული პრობლემების მოგვარებისას, მათ შორის სიღარიბის სფეროში (Johnson, 2006).

დღესდღეობით, შემთხვევის შესწავლა აღიარებული და აპრობირებული მეთოდია თვისებრივი კვლევის ჩატარებისას (მაგ., Creswell & Poth, 2017) და ასევე ხშირად ხდება მისი გამოყენება რაოდენობრივ კვლევაშიც. მკვლევრების შემფოთებამ, რაც განპირობებულია რაოდენობრივი მეთოდების შეზღუდვებით და სტატისტიკური შედეგების მიღმა მათი გამოყენების გაფართოებისკენ მისწრაფებითაც, როგორც აღმოჩნდა, ხელი შეუწყო შემთხვევის შესწავლის მეთოდის გამოყენებას. როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემების ფლობა შესაძლებელს ხდის შესასწავლი ფენომენის შესახებ სრულყოფილი გაგების ჩამოყალიბებას (Tellis, 1997).

“შემთხვევა” შეიძლება იყოს ინდივიდი, ჯგუფი, საზოგადოება, ობიექტი, ეპიზოდი, მოვლენა, მოსახლეობის ქვეჯგუფი, ქალაქი ან დაბა და ა.შ. იმისათვის, რომ კვლევის პროცესს შემთხვევის შესწავლა ეწოდოს, აუცილებელია განვიხილოთ “სამიზნე” საზოგადოება, როგორც ერთიანი სუბიექტი. შერჩეული მაგალითი ხდება იმ ასპექტის საფუძვლიანი, სიღრმისეული და ჰოლისტიკური შესწავლის ფუნდამენტი, რომლის შესწავლაც სურთ მკვლევრებს. ბუმსის თანახმად, “შემთხვევის შესწავლის კვალიფიცირებისათვის საჭიროა, რომ არსებობდეს შემოსაზღვრული სისტემა, დამოუკიდებელი ერთეული. შემთხვევის შესწავლა უნდა ეხებოდეს კონკრეტულ საგანს/ერთეულს, რომელიც არის ძალიან წარმომადგენლობითი (სახასიათო) ან უკიდურესად არატიპური” (1997).

გრინელის (Grinnell, 1981) მიხედვით, შემთხვევის შესწავლა “ხასიათდება მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ძალიან მოქნილი და ღია ტექნიკით”. მისი დიზაინი ემყარება ვარაუდს, რომ შესწავლილ მაგალითს შეუძლია სამიზნე ჯგუფისათვის იმ მოვლენებისა და სიტუაციების შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის გაცნობა, რომლისგანაც აღნიშნულის შესწავლის საჭიროება წარმოიშვა. ბარნსის (Burns, 1997) თანახმად, „შემთხვევის შესწავლისას ყურადღება გამახვილებულია თავად შემთხვევაზე (და მის სირთულეზე) და არა სხვადასხვა არსებულ

¹ ტერმინი „შემთხვევის შესწავლა“ ამ ნაშრომში გამოიყენება, როგორც ქართული შესატყვისი ინგლისური ტერმინისა “Case-study”. ქართულენოვან ლიტერატურაში ეს ტერმინი უკვე გამოიყენება (მაგ., იხ. წულაძე ლ., 2008), თუმცა ზოგჯერ იმავე ინგლისური ტერმინის აღსანიშნად იხმარება „კონკრეტული (ან კერძო) შემთხვევის შესწავლა“, „შემთხვევის ანალიზი“ ან „(კერძო) მაგალითის შესწავლა“ და სხვ. (ქართულენოვანი სახელმძღვანელოს რედაქტორების კომენტარი).

შემთხვევაზე”. შესაბამისად, შემთხვევის შერჩევისას ხშირად გამოიყენება მიზანმიმართული განსჯის ან ინფორმაციაზე ორიენტირებული შერჩევის მეთოდები (იხილეთ ქვემოთ მოცემული აღწერილობები).

შემთხვევის შესწავლის მეთოდი გამოიყენება სიღრმისეული ცოდნის მოსაპოვებლად, მაგრამ მის მიზანს მხოლოდ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე თეორიული ხედვების შექმნა კი არ წარმოადგენს, არამედ უფრო ფართო გაგების შემუშავება, ვიდრე ეს შერჩეული შემთხვევის შესწავლისთვის გამოიყენება (Hardy, 2005). შემთხვევის შესწავლის შედეგები იძენენ „რეპლიკაციის ლოგიკას“ (Walter, 2009), რაც ნიშნავს, რომ დასკვნების გამოყენება შესაძლებელია სხვა მსგავსი შემთხვევების დროსაც.

შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური მიდგომა, როგორც სწავლებისა და კვლევის მეთოდის შემუშავება

შემთხვევის შესწავლის დიზაინი “არის ლოგიკური გეგმა “აქედან” “იქით” გადასასვლელად, სადაც “აქ” შეიძლება განისაზღვროს, როგორც კვლევის კითხვები, რომელთა გადაჭრაც უნდა მოხდეს, და “იქ” წარმოადგენს ამ კითხვებზე დასკვნების გარკვეულ ნაკრებს” (Campbell et al., 2018, p. 60). შემთხვევის შესწავლისას ყველაზე მნიშვნელოვანია კვლევის დიზაინისა და სტრუქტურის შემდეგი ხუთი კომპონენტი (Campbell et al., 2018):

- საკვლევი შემთხვევის შესწავლის კითხვები;
- საკვლევი შემთხვევის შესწავლის შემოთავაზებები;
- სხვა მაგალითები;
- ლოგიკა, რომელიც მონაცემებს უკავშირებს შემოთავაზებებს;
- დასკვნების ინტერპრეტაციის კრიტერიუმები.

ისევე, როგორც ზოგადად, კვლევის დიზაინში შემთხვევის შესწავლის ობიექტები და აგრეთვე მათი ხასიათი და სტრუქტურა განსხვავდება კვლევის კითხვების ტიპებიდან გამომდინარე (Albert et al., 2009), ისინი შემდეგი სახისაა:

- **საკვლევი** – შემთხვევის შერჩევა ემყარება თეორიულ მოსაზრებებს;
- **აღწერითი** – შერჩეულმა მაგალითმა უნდა

უზრუნველყოს მაქსიმალური ინფორმაციის მოწოდება კონკრეტული სოციალური ფენომენის სპეციფიკური მახასიათებლებისა და თვისებების შესახებ;

- **განმარტებითი** – შერჩეულმა მაგალითმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ჰიპოთეზების ან თეორიების შემუშავების შესაძლებლობები, რომლებიც ახსნიან განსახილველ სოციალურ ფენომენს.


შემთხვევის შესწავლის ტიპისა და საკვლევი კითხვების დადგენის შემდეგ შეიძლება შეირჩეს მაგალითი (ან შემთხვევები), როგორც კვლევის კონკრეტული საგანი. შემთხვევის შერჩევის კრიტერიუმები განსხვავდება მკვლევრის კერძო ინტერესებიდან გამომდინარე და მოიცავს დიაპაზონს კონკრეტული შემთხვევის შესწავლიდან თეორიული მოსაზრებების ჩამოყალიბებამდე. ერთი შემთხვევის კვლევაზე მიმართული დიზაინი შეისწავლის სოციალური ფენომენის ერთ ერთეულს, ხოლო მრავალპროფილიანი დიზაინი ადარებს ორ ან მეტ მაგალითს (Albert et al., 2009: 61). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შერჩეული შემთხვევების/მაგალითების კომპლექსურობა დამოკიდებულია აკადემიური სწავლების საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა), თუმცა თითოეული საფეხურისათვის შეიძლება შემოთავაზებულ იქნეს შემთხვევის შესწავლის ზოგადი პროცედურა (Albert et al., 2009: 77):

- შემთხვევის და მასზე არსებული სპეციფიკური ინფორმაციის პრეზენტაცია;
- კვლევის მიზანი და ამოცანები;
- კვლევის მეთოდოლოგიის ფორმულირება (მონაცემთა შეგროვება და ანალიზის მეთოდები);
- გადანყვეტილების მიღებისა და არგუმენტირების პროცესი;
- ჯგუფური დისკუსია კვლევის შედეგებისა და ანგარიშების შესახებ.

CaucaSusT-ის პროექტის გამოცდილება:

ნახაზი 4.1 ასახავს შემთხვევის შესწავლის კურსის ძირითად ასპექტებსა და მონაწილეებს, როგორც ეს განხორციელდა სომხეთსა და საქართველოში CaucaSusT პროექტის დროს.

- ინტერდისციპლინური და ტრანსდისციპლინური სწავლება



- დაინტერესებული მხარეების ჩართულობა



- კომუნიკაცია და ინფორმაციის/ შედეგების გავრცელება

- სისტემური ჩართულობა
- კოლექტიური მსჯელობა
- პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტა



წყარო: CaucaSusT პროექტის გუნდის მიერ შექმნილი ილუსტრაცია

ქვემოთ მოცემულია და აღწერილია როგორც შემთხვევის შესწავლის სხვადასხვა კომპონენტი, აგრეთვე მისი შესაძლო მეთოდების ნაწილი, მათ შორის:

- ლიტერატურის მიმოხილვა;
- კვლევის კითხვების ფორმულირება;
- თვისებრივი კვლევის მეთოდები (შერჩევა, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი კვლევის შედეგების ვიზუალიზაციის ფორმები);
- რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (შერჩევა, მონაცემთა შეგროვება, მონაცემთა ანალიზი, რაოდენობრივი კვლევის შედეგების ვიზუალიზაციის ფორმები);
- ინტერ- და ტრანსდისციპლინური მეთოდები.

ლიტერატურის მიმოხილვა და საკვლევი პრობლემის ფორმულირება

ლიტერატურის მიმოხილვა წარმოადგენს კვლევის პროცესის ძირითად ნაწილს, რომელიც მკვლევრისათვის შესაბამის სფეროში მიმდინარე ტენდენციების შესახებ ინფორმაციის მიღებას უზრუნველყოფს. მისი ხელშეწყობით ხდება იდეების ჩამოყალიბება და კვლევის თეორიული ჩარჩოს შემუშავება. აგრეთვე, მასზე დაფუძნებით ხდება კვლევისათვის შესაფერისი დიზაინისა და სათანადო მეთოდების შერჩევა. კვლევის შემდგომ ეტაპებზე, ლიტერატურის მიმოხილვის მეშვეობით, არსებული ცოდნის კონტექსტში ხორციელდება კვლევის მიგნებების გადამონმება და შეჯერება. ლიტერატურის მიმოხილვა ხელს უწყობს საკვლევი საკითხის გააზრებას, კვლევის ფოკუსისა და საკვლევი კითხვების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღებას. ლიტერატურის მიმოხილვა მიზნად ისახავს არსებული

ცოდნის იდენტიფიცირებას, კონკრეტულად, არის თუ არა ან რა მასშტაბით არის კვლევა ჩატარებული შერჩეულ თემაზე.

ლიტერატურის მიმოხილვის პროცესზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მიკერძოებული დასკვნების მიღება იმ შემთხვევაში, თუ წყაროები სწორად არ შეირჩა და ანალიზი სწორად არ ჩატარდა. უფრო მეტიც, ლიტერატურის მიმოხილვისადმი არასტრუქტურირებული და არასისტემური მიდგომა ბევრად უფრო შრომატევადია. ლიტერატურის მიკერძოებული მიმოხილვის თავიდან ასაცილებლად პეტიკრიუმ და რობერტსმა (Petticrew and Roberts, 2006) წარმოადგინეს სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც სხვადასხვა ეტაპისგან შედგება, დაწყებული მიმოხილვის საკითხის განსაზღვრით და დამთავრებული იმით, თუ როგორ უნდა მოხდეს სხვადასხვა კვლევის შედეგების სინთეზი.

ლიტერატურის მონაცემთა ბაზების გამოყენება

ლიტერატურის მიმოხილვის ძირითადი ნაწილი მოიცავს მასალების მოძიებასა და შეგროვებას ელექტრონული ბაზების საშუალებით. მონაცემთა ელექტრონული ბაზების უმეტესობა, როგორცაა Google Scholar, Science Direct, Scopus, Web of Science, გთავაზობს საბაზისო ან წინასწარი ძიების პარამეტრებს. შესაბამისი ლიტერატურის მოსაძიებლად, კვლევის კითხვების საფუძველზე, უნდა განისაზღვროს საკვანძო სიტყვები და ფრაზები (მაგ. “ტურიზმი”, “მთის განვითარება”, “სოფელი”). საძიებო საკვანძო სიტყვების კომბინირება შესაძლებელია ლოგიკური ოპერატორების AND, OR და NOT გამოყენებით. ერთიანი მონაცემთა ბაზა არ მოიცავს ყველა არსებულ აკადემიურ პუბლიკაციას, შესაბამისად, საჭიროა სხვადასხვა პლატფორმის კომბინაციით საძიებო სტრატეგიის დასახვა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ყველა კვლევის მიგნება და დასკვნა ვერ ხვდება ინდექსირებულ ჟურნალებში, რის გამოც სხვა წყაროების, მაგალითად, “ნაცრისფერი ლიტერატურის” უგულვებელყოფა არ უნდა მოხდეს. უფრო კონკრეტულად, „ნაცრისფერი ლიტერატურა“ მოიცავს “მთავრობის, აკადემიის, ბიზნესისა და ინდუსტრიის ყველა დონეზე წარმოებულ ინფორმაციას ელექტრონულ და ბეჭდვით ფორმატში, რომელსაც არ აკონტროლებს კომერციული გამომცემლობა”, ე.ი. სადაც პუბლიკაციის გამოქვეყნება არ არის მწარმოებელი ორგანოს ძირითადი საქმიანობა” (Gokhale, 1998).

სასარგებლო ბმულები:

<https://scholar.google.com/>
Google Scholar– ის დამატებითი ძიების ტუტორიალი შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://www.youtube.com/watch?v=C7Y5T8in6bA>
<https://www.sciencedirect.com/search>
Science Direct– ის დამატებითი ძიების ტუტორიალი შეგიძლიათ იხილოთ აქ: <https://www.youtube.com/watch?v=nyEFtcLLR5g>

გამოყენებული ლიტერატურული წყაროების მართვის პროგრამა (მაგ. Mendeley, Zotero, Citavi) უზრუნველყოფს სხვადასხვა წყაროდან სტატიების თავმოყრისათვის ეფექტიანი ინსტრუმენტების გამოყენებას. ეს ტექნიკები ხელს უწყობს ლიტერატურის მიმოხილვის დასრულებასა და სხვადასხვა კვლევის მიგნებების სინთეზს შემდეგი ნაბიჯების მეშვეობით:

1. კვლევების ლოგიკურ კატეგორიებად აღწერის ორგანიზება;
2. შედეგების ანალიზი თითოეულ კატეგორიაში;
3. პროგრამის ყველა შემადგენელი კვლევის შედეგების სინთეზი.

ლიტერატურის სიღრმისეული მიმოხილვა საშუალებას აძლევს მკვლევრებს, მიაღწიონ ცოდნის იმ დონეს, რაც გამოიწვევს კვლევის თეორიული/კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბებას. ამის შემდგომ, თეორიის ან მოდელის საფუძველზე, შეიძლება შეიქმნას კვლევის კითხვების ჩამონათვალი, რომელსაც მოჰყვება შესასწავლი შემთხვევის შერჩევა (როგორც ინდივიდუალური, ისე მრავალმაგალითიანი კვლევა) (Albert et al., 2009: 120).

კვლევის კითხვების ფორმულირება

თვისებრივ კვლევაში კითხვების ფორმულირება მკვეთრად განსხვავდება რაოდენობრივი მიდგომისაგან. თვისებრივი კვლევის მიზანია, შესასწავლ ფენომენთან დაკავშირებით გამოავლინოს სიღრმისეული გაგება, რათა დარჩეს მოქნილი და ღია ახალი იდეებისთვის, ასახოს კვლევის საკითხის შესაბამისობა და გამორიცხოს ასპექტები, რომლებიც აღარ ითვლება აქტუალურად. კვლევის კითხვა ყოველთვის უნდა იყოს “კვლევის დიზაინის წარმმართველი და არა პირიქით” (Hass, 2004: 4).

კვლევის პროცესის დაწყებამდე მკვლევარი კარგად უნდა გაეცნოს შესწავლის ზუსტ საკითხებს. სამეცნიერო კითხვების ფორმულირება არის პირველი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი ნებისმიერი კვლევისთვის, რადგან ისინი გზამკვლევ როლს ასრულებენ ინფორმაციის შეგროვებისთვის. საკვლევი კითხვა ასახავს შესწავლის ზუსტ სფეროს, აგრეთვე კონკრეტული ინტერესის სპეციფიკურ ასპექტებს (Lewis and Munn, 1987).

ნახაზი 4.2 საკვლევითი კითხვის ფორმულირება – გადანყვეტილების მიღების პროცესი



წყარო: ავტორების პირადი მაგალითი და ილუსტრაცია, Lewis and Munn, 1987: 17-ის საფუძველზე

კუმარის (Kumar, 2014) თანახმად, კვლევის კითხვების შერჩევისას უნდა მოხდეს შემდეგი ასპექტების გათვალისწინება: (I) ინტერესი, (II) მასშტაბი, (III) ცნებების (ინდიკატორების) განსაზღვრა, (IV) ცოდნის დონე, (V) შესაბამისობა, (VI) მონაცემთა ხელმისაწვდომობა, (VII) ეთიკური საკითხები. უფრო მეტიც, კვლევის კითხვების ფორმულირება უნდა განხორციელდეს საზოგადოების იმ ნაწილთან დაკავშირებით აქტიური მონაწილეობით, რომლებსაც ეხებათ შესასწავლი საკითხი/ფენომენი. ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო თანამშრომლობა არის საფუძველი კონკრეტული საზოგადოებრივი ფენომენის შესახებ დამახასიათებელი, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი და რელევანტური კვლევის კითხვების დასადგენად (Albert et al., 2009: 120). კონკრეტულ საკვლევ თემასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი ან ვარაუდი, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კუთხით შესწავლას, შეიძლება საფუძველად დაედოს კვლევის კითხვების ჩამოყალიბებას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი საკითხი ზედმეტად კომპლექსურია იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს კვლევის ფარგლებში მოცემული დროის ან არსებული რესურსების გათვალისწინებით.

კვლევის კითხვის თითოეული სახე შეესაბამება ცოდნის სხვადასხვა ფორმას, როგორცაა სისტემური, მიზნობრივი და ტრანსფორმაციული ცოდნა. ტრანსდისციპლინურ კვლევაში კითხვებიდან, რომლებიც უკავშირდება აღნიშნული სამი სახის

ცოდნას, რომელიმეს შესაძლებელია პასუხი გაეცეს მხოლოდ ცოდნის დანარჩენ ორ სახესთან დაკავშირებული დაშვებების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, სამივე მათგანი ურთიერთდამოკიდებულია.

ცხრილი 4.1 აჯამებს კვლევის კითხვებს ცოდნის თითოეული ფორმისთვის და გვთავაზობს კითხვებს, რომლებიც ეხმარება ტრანსდისციპლინური კვლევის პოზიციონირებას ცოდნის ურთიერთდამოკიდებულ ფორმებში/სახეებში.

	კვლევის კითხვები	კითხვები პოზიციონირებისთვის
სისტემური ცოდნა	კითხვები პრობლემის გენეზისისა და მისი შესაძლო განვითარების შესახებ და პრობლემის ცხოვრებისეული ინტერპრეტაციების შესახებ	რა ტიპის ცვლილებებს, სასურველ მიზნებსა და უკეთეს პრაქტიკას არ ეხება საკვლევი კითხვა? რომელ ტექნიკურ, სოციალურ, კულტურულ, იურიდიულ და სხვა შესაძლო ქმედებებზე არის მიმართული საკვლევი კითხვა?
მიზნობრივი ცოდნა	შეკითხვები ცვლილებების საჭიროების, სასურველი მიზნებისა და უკეთესი პრაქტიკის განსაზღვრისა და ახსნისათვის	გენეზისისა და პრობლემების შესაძლო განვითარების, აგრეთვე ცხოვრებისეული ინტერპრეტაციების რომელ გაგებას ეხება კვლევის საკითხი?
ტრანსფორმაციული ცოდნა	შეკითხვები ტექნიკური, სოციალური, კულტურული, იურიდიული და სხვა შესაძლო ქმედებების შესახებ, არსებული პრაქტიკის ტრანსფორმაციისა და სასურველი პრაქტიკის დაწინაურებისთვის	გენეზისისა და შესაძლო პრობლემების განვითარების, აგრეთვე ცხოვრებისეული ინტერპრეტაციების რომელ გაგებას ეხება კვლევის საკითხი? ცვლილებების, სასურველი მიზნებისა და უკეთესი პრაქტიკის რომელ საჭიროებებს ეხება კვლევის საკითხი?

წყარო: Pohl and Hirsch Hadorn, 2007.

სისტემური ცოდნის კონტექსტში, ცხრილი 4.1 უნდა ნაიკითხოთ შემდეგნაირად: ტრანსდისციპლინური კვლევა სისტემური ცოდნის შესახებ ეხება კითხვებს პრობლემის წარმოშობისა და შესაძლო განვითარების შესახებ, ასევე ინტერპრეტაციას პრობლემისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ. სისტემური ცოდნის შესაქმნელად, რომელიც ურთიერთკავშირშია მიზნობრივ და ტრანსფორმაციულ ცოდნასთან, მკვლევარმა პასუხი უნდა გასცეს ორ კითხვას: რა სახის ცვლილების საჭიროებას, რა სასურველი მიზნების მიღწევასა და უკეთეს პრაქტიკას ეხება კვლევის კითხვები (სამიზნე ცოდნა)? ქმედების რომელ ტექნიკურ, სოციალურ, კულტურულ, იურიდიულ და სხვა შესაძლო საშუალებებს ეხება კვლევის კითხვები (ტრანსფორმაციული ცოდნა)? (Pohl and Hirsch, 2007: 40).

კვლევის პრობლემისა და საკვლევი კითხვების გამოვლენის შემდეგომი ეტაპი გულისხმობს მონაცემთა შეგროვებას, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიძლება მოიცავდეს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ მეთოდებს.

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები

რაოდენობრივი კვლევა ცდილობს, განავითაროს უნივერსალური განმარტებითი კანონები სოციალურ ქცევაში სტატისტიკური გაზომვის გზით, რაც სტატისტიკურ რეალობად უნდა ჩაითვალოს. ამის საპირისპიროდ, თვისებრივი კვლევა არ ეხება რიცხვით რეპრეზენტაციას, არამედ ფენომენის სიღრმისეული და საინტერპრეტაციო ინფორმაციის მიღებას, შესასწავლი ფენომენის ფარგლებში არსებული პრობლემის გასაანალიზებლად (Yilmaz, 2013). რომელიმე ამ მეთოდის გამოყენების უპირატესობა განისაზღვრება კვლევის მიზნით და, პირველ რიგში, დამოკიდებულია კვლევის კითხვებზე.

ცხრილი 4.2: ასახავს ძირითად განსხვავებებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს შორის.

მიმართულებები	რაოდენობრივი კვლევა	თვისებრივი კვლევა
ფოკუსირება ხდება პრობლემის კონტექსტის გაგებაზე	უფრო ნაკლებად	უფრო მეტად
ჯგუფური შესწავლის მიმართულებები	უფრო ნაკლებად	უფრო მეტად
მკვლევრის სიახლოვე შესასწავლ პრობლემასთან	უფრო ნაკლებად	უფრო მეტად
შესასწავლი საკითხის კვლევის დროითი ჩარჩო	დაუყოვნებლივი	უფრო ხანგრძლივი დიაპაზონი
მკვლევრის მოსაზრება	გარე	შიდა
თეორიული ჩარჩო და ჰიპოთეზები	კარგად სტრუქტურირებული	ნაკლებად სტრუქტურირებული
მოქნილობა და მიგნებების ანალიზი	უფრო მცირე	უფრო მეტი

წყარო: *Queirós et al., 2017.*

თვისებრივი კვლევის მეთოდები

შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური თვისებრივი კვლევის მეთოდები უნდა ემყარებოდეს სხვადასხვა აკადემიური და არაკადემიური დაინტერესებული მხარის ჩართვას, მოიცავდეს ღია დისკუსიას, განხილვას და ცოდნის ინტეგრაციის სხვადასხვა მიდგომის გამოყენებას შესასწავლი საკითხის შესახებ სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვებისა და მისი სრულყოფილად გააზრების მიზნით.

შერჩევა

შერჩევის მეთოდები იძლევა მოსახლეობის ფართო ფენიდან შერჩეული შემთხვევების (ან რესპონდენტების) შესწავლის შესაძლებლობას. უვე ფლიკი (Flick, 2014) გვთავაზობს ინტერვიუების შერჩევის ტექნიკებსა და პრინციპებს კვლევის მიზნის შესაბამისად.

მიზნობრივი შერჩევა

მიზნობრივი შერჩევის ძირითადი შესაძლებლობა მდგომარეობს ინფორმაციით დატვირთული შემთხვევებიდან სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვებაში, მკვლევრის კითხვისა და მის მიერ საჭიროდ ჩათვლილი საკითხების შესახებ გამოკვლევის ჩატარების გზით. როდესაც მკვლევარი ცდილობს რეალური პრობლემების გადაჭრას, ლოგიკურია ინფორმაციით მდიდარი შემთხვევების მოძიება, საიდანაც მან შეიძლება გაიგოს ყველაზე მე-

ტი შესასწავლი საკითხთან მიმართებაში. წარმომადგენლობითობას მნიშვნელობა არ აქვს შემთხვევების მიზნობრივ შერჩევაში (Flick, 2014).

პეტონზე (Patton 2002) დაყრდნობით, ფლიკი სტრატეგიის შემუშავებისა და მიზნობრივი შერჩევის მიზნით გამოყოფს შემდეგ პრინციპებს:

- ექსტრემალური ან დევიანტური შემთხვევების ინტეგრირება;
- განსაკუთრებით ტიპური (დამახასიათებელი, ხშირად განმეორებადი) შემთხვევების შერჩევა;
- დროისა და რესურსების შეზღუდულობის გამო კვლევის შერჩევა შეიძლება იყოს მცირე, მაგრამ მოიცავდეს მაგალითთა მაქსიმალურ ვარიაციას; ეს უზრუნველყოფს ამ სფეროში მრავალფეროვნებისა და განსხვავებების დიაპაზონის გამოვლენას;
- შემთხვევების შერჩევა ხდება იმ ინტენსივობის შესაბამისად, რაც განაპირობებს (ან სავარაუდოდ უზრუნველყოფს) კვლევის საინტერესო თვისებების, პროცესების, გამოცდილებებისა და სხვა მახასიათებლების მოცვას.
- შემდგომი სტრატეგია მიზნად ისახავს კრიტიკული განწყობების (მოსაზრებებისა და არგუმენტების) ამსახველი შემთხვევების შერჩევას (მაგალითად, დარგის ექსპერტების ან შესასწავლი საკითხით დაინტერესებული სტეიკჰოლდერების მოსაზრებები).

- სენსიტიური მაგალითების შერჩევა კვლევის დასკვნების სათანადო დამაჯერებლობით წარსადგენად;
- დაბოლოს, ეს პრინციპი გამოდგება მაშინ, როდესაც გვაქვს დროისა და ხალხის შეზღუდული რესურსი. ამ დროს გამოიყენება მოხერხებულობის კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს იმ შემთხვევების შერჩევას, რომლებიც მარტივად არის ხელმისაწვდომი.

შეფასებითი შერჩევა

შერჩევა არის სტრატეგია, რომელშიც ხდება კონკრეტული გარემოებების, ადამიანების ან მოვლენების გამიზნული შერჩევა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების უზრუნველსაყოფად, რომლის მიღება სხვა შემთხვევაში შეუძლებელია (Maxwell, 1996). ამ ტიპის შერჩევაში სუბიექტი არჩეულია კონკრეტული მიზნის გათვალისწინებით. შეფასებითი შერჩევა მოიცავს ისეთ შემთხვევებს, რომლებიც, სავარაუდოდ, წარმოადგენს კვლევისათვის აუცილებელ და სხვაზე შესაფერის მასალას.

შემთხვევის შესწავლისთვის შეფასებითი შერჩევის გამოყენება სასარგებლოა შემდეგ სამ სიტუაციაში:

- რომ შეირჩეს უნიკალური შემთხვევები, რომლებიც განსაკუთრებით ინფორმაციულია;
- რომ შეირჩეს მოსახლეობის რთულად დასაკავშირებელი, სპეციფიკური წევრები;
- რომ მოხდეს ცალკეული ტიპის შემთხვევების იდენტიფიცირება შემდგომი სიღრმისეული შესწავლისათვის.

ინფორმაციაზე ორიენტირებული შერჩევა

ინფორმაციაზე ორიენტირებული შერჩევა ძირითადად გამოიყენება შერჩევის მცირე მოცულობის შემთხვევაში ცალკეული შემთხვევებიდან ინფორმაციით სარგებლობის მაქსიმალურად გაზრდისათვის (Flyvbjerg, 2011). უიდოვსონის (Widdowson, 2011) სტატიის – “შემთხვევის შესწავლის კვლევის მეთოდოლოგია” – საფუძველზე, ინფორმაციაზე ორიენტირებული შერჩევა მოითხოვს ყურადღების გამახვილებას შერჩეული შემთხვევების მნიშვნელობაზე. შერჩევა ხდება შემთხვევის შინაარსის მიმართ გარკვეული მოლოდინის საფუძველზე. ეს შეიძლება იყოს სარისკო შემთხვევები, რომლებმაც შეიძლება გამოავლინონ ან შემოგვთავაზონ გარკვეული დასკვნები ან კრიტიკული შემთხვევები, რომლებიც იქნება სამაგალითო ან “ტიპური” შემთხვევები, რომელთაგან შეიძლება განზოგადება მოხდეს ლოგიკური დედუქციის საფუძველზე.

დამატებითი ინფორმაციისათვის:

შერჩევის დამატებითი მეთოდები მოიცავს: სტრატეგიულ შერჩევას, თეორიულ შერჩევას, შემთხვევით მიზანმიმართულ შერჩევას, სტრატეგიცირებულ მიზანმიმართულ შერჩევას, შერეულ შერჩევას, შერჩევას „თოვლის გუნდის“ პრინციპით და ა.შ.

რეკომენდებული მასალები:

Miles, M. B. and Huberman, A. M., 1994. *Qualitative Data Analysis: A Sourcebook of New Methods* (2nd ed.)
 Kvale, S., 2007. *Doing Interviews. Series: Qualitative Research Kit*. Los Angeles: SAGE. From the Qualitative Research Kit by Flick (2007), available online: <http://93.174.95.29/>

შერჩევის სტრუქტურა

შერჩევის სტრუქტურის განსაზღვრა ხდება წინასწარ. კვლევის ტექნიკის შერჩევის ძირითადი პრინციპია შერჩევის კრიტერიუმები (მაგ. ადგილობრივი საოჯახო სასტუმროების წარმომადგენლები) და შერჩევის მიმართულებები, რაც განსაზღვრავს შერჩევის მთელ პროცესს. შერჩევის სტრუქტურა შეიძლება შეიცვალოს და გადაკეთდეს შემთხვევის შესწავლის პროცესში.

შერჩევის ზომა

შერჩევის ზომის განსაზღვრას ეხება შემდეგი კითხვა: „რამდენი ინტერვიუ არის საკმარისი კონკრეტული თემის შესასწავლად?“ თვისებრივ კვლევაში მონაცემთა შეგროვების დროს შერჩევის ზომის/მოცულობის დასადგენად ერთ-ერთი გავრცელებული მიდგომაა სატურაციის (გაჯერების) მეთოდოლოგიური პრინციპი. ამ მიდგომის თანახმად, მკვლევარს შეუძლია, კვლევის დროს უკვე შეგროვებული მონაცემების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება შემდგომი მონაცემების შეგროვების ”შეჩერების წერტილზე” (Saunders et al., 2018).

რეკომენდებული მასალები:

Uwe Flick, 2014. *An Introduction to Qualitative Research*, გვ. 464-502;
 ლია წულაძე, 2008. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი, გვ. 42-43;
 Tadevosyan G. 2006. *Qualitative social research: Theory methodology: method (educational manual)*. Yerevan

მონაცემთა შეგროვება

თვისებრივი მიდგომა გთავაზობს მონაცემთა შეგროვების მრავალ მეთოდს, დაწყებული ინტერვიუებიდან, ჯგუფური დისკუსიებით დასრულებული. ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდები და მათთან დაკავშირებული დამატებითი საკითხავი მასალა.

* მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მკვლევარმა უნდა დაიცვას რამდენიმე ძირითადი პრინციპი (მაგ. რესპონდენტის ინფორმირებული თანხმობა, მონაწილის კონფიდენციალურობა, მონაცემთა სიზუსტე და შენახვა) აკადემიური ეთიკის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების პროცესის განხორციელების უზრუნველსაყოფად. ვინაიდან ეთიკის საკითხები განსხვავდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით, გაიარეთ კონსულტაცია უნივერსიტეტთან, რათა გაეცნოთ პროცედურებს, რომლებიც დადგენილია მონაცემთა შეგროვებისათვის, მათ შორის ინტერვიუს სადისკუსიო გეგმის შესაქმნელად.

ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ

მიუხედავად იმისა, რომ ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს პროცესი წინასწარ განსაზღვრული თემების გარშემო სავარაუდო კითხვებზე საუბრით მიმდინარეობს, რესპონდენტებს ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა, გააცნონ მკვლევარს საკუთარი შეხედულებები და იმსჯელონ დამატებით საკითხებზე. ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს სადისკუსიო გეგმა მოიცავს ძირითადად ღია კითხვებს, დანარჩენი კითხვები სპონტანურად ჩნდება საუბრის დროს, რომელიც თავისუფალ ფორმატში წარიმართება (Flick, 2014), თუმცა, რამდენად დამოკიდებულია მკვლევარი სადისკუსიო გეგმაში წინასწარ განწერილი კითხვების მიმდევრობაზე, დამოკიდებულია კონკრეტულ საკვლევ საკითხზე (Kvale, 2007).



რეკომენდებული მასალები:

Kvale, S., 2007. *Doing Interviews*. Series: *Qualitative Research Kit*. Los Angeles: SAGE. *Qualitative Research Kit* by Flick (2007)-დან, ხელმისაწვდომია: <http://93.174.95.29/main/94C33BD-BF8B181D80A4CF5C1AC93D9E4>.

სიღრმისეული ინტერვიუ

სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი არის საუბარი, რომელიც მიზნად ისახავს შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვებას. გრეგ გესტმა, ემილი ნამეიმ და მერლინ მიტჩელმა (Guest, G., Namey, E. E. and Mitchell, M. L., 2013) განასხვავეს სიღრმისეული ინტერვიუს ოთხი ძირითადი მახასიათებელი:

- **გამოყენეთ ღია კითხვები** – სიღრმისეული ინტერვიუს კითხვები არის გამორჩეულად ღია ტიპის. ნებისმიერი წინასწარ განწერილი შეკითხვა სადისკუსიო გეგმაში შექმნილია იმისათვის, რომ საუბარი მიყვანოს შესასწავლ საკითხამდე და აგებულია ისე, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი რესპონდენტისაგან დისკურსიული, დეტალური და ღრმა შინაარსის ინფორმაციის მიღებას;
- **გამოყენეთ ინდუქციური მცდელობა სიღრმისეული ინფორმაციის მისაღებად** – სიღრმისეული ინტერვიუების ყველაზე განმსაზღვრელი მახასიათებელია ინდუქციური გამოკვლევა – დასვით კითხვები, რომლებიც ემყარება რესპონდენტის პასუხებს/თხრობას და ამავდროულად უკავშირდება კვლევის მიზნებს;
- **შეუქმენით სასაუბრო გარემო** – გამოცდილი ინტერვიუერი ატარებს საკმაოდ ინტერაქტიულ და ინფორმატიულ სიღრმისეული ინტერვიუს, რაც გარე დამკვირვებლებს უქმნის ამ ტექნიკის სიმარტივის წარმოდგენას, რომელიც სინამდვილეში საკმაოდ რთულად შესასრულებელია.
- **ჩაატარეთ ერთი-ერთზე** – ინდუქციური საცდელი კითხვები წარმოადგენს სიღრმისეული ინტერვიუს საფუძველს და მოითხოვს, რომ ინტერვიუერმა დინამიური ფორმით ჩამოაყალიბოს კითხვები, გაითვალისწინოს როგორც ინტერვიუს მიზნები, ასევე მონაწილის წინა პასუხების შინაარსი.

სიღრმისეული ინტერვიუს სადისკუსიო გეგმა

გვთავაზობს გარკვეულ წინასწარ სტრუქტურას კვლევის კითხვის საფუძველზე, თუმცა ის ტოვებს თავისუფალ სივრცეს ღია დისკუსიისათვის, რათა რესპონდენტისაგან მივიღოთ სიღრმისეული ინფორმაცია საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.

რეკომენდებული მასალები:

Kvale, S., 2007. *Doing Interviews. Series: Qualitative Research Kit*. Los Angeles: SAGE. Qualitative Research Kit by Flick (2007) – დან, ხელმისაწვდომია: <http://93.174.95.29/main/94C33BDB-F8B181D80A4CF5C1AC93D9E4>.

ნარატიული ინტერვიუ

ნარატიული ინტერვიუ, სიღრმისეულ და ნახევრადსტრუქტურირებულ ინტერვიუსთან შედარებით, არის ნაკლებად სტრუქტურირებული. ინტერვიუერი განსაზღვრავს საკითხს და პერიოდს, რომელსაც თხრობა უნდა ეხებოდეს. გარდა ამისა, ინტერვიუს პროცესში რესპონდენტი არის დომინანტური პერსონა, ანუ თხრობა მას მიჰყავს. ზოგადად, ამბავი ეხება რესპონდენტთა მთელ ცხოვრებას ან კონკრეტულ გამოცდილებას. ინტერვიუერმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი ჩარევებისაგან, რამაც შესაძლოა რესპონდენტს ხელი შეუშალოს ან შეაფერხოს აზრის ჩამოყალიბებაში (Flick, 2014).

რეკომენდებული მასალები:

Kvale, S., 2007. *Doing Interviews. Series: Qualitative Research Kit*. Los Angeles: SAGE. Qualitative Research Kit by Flick (2007) – დან, ხელმისაწვდომია: <http://93.174.95.29/main/94C33BDB-F8B181D80A4CF5C1AC93D9E4>.

ფოკუს ჯგუფები

ფოკუს ჯგუფები, რომლის წარმართვასაც მკვლევრები უზრუნველყოფენ, ძირითადად ხუთიდან თორმეტამდე ადამიანისაგან შედგება. ჯგუფის შემადგენლობა და დისკუსიის წარმართვის დინამიკა ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია მონაცემთა შეგროვებისათვის. ფოკუს ჯგუფის დისკუსია იყენებს ადამიანებს შორის საუბრის არსებით ელემენტებს (გამოცდილების, მოსაზრებების, აღქმისა და რეაქციების გაზიარება), რათა ჯგუფმა შეძლოს კვლევის ამოცანების გადაჭრა (Greg Guest et al., 2013).

ფოკუს ჯგუფები, როგორც თვისებრივი მეთოდი, ხშირად გამოიყენება ბაზრის შესწავლის მიზნით, მრავალი უპირატესობის გამო; ის აღქმება, როგორც უფრო ადვილად გასაანალიზებელი, უფრო სწრაფი, იაფი და უფრო ფართო ინფორმაციის მომცემი სიღრმისეულ ინტერვიუებთან შედარებით, რადგან რესპონდენტები ჯგუფურად მონაწილეობენ კვლევაში (Bergin and Strokes, 2006). მეორე მხრივ, ჯგუფის ზოგიერთ წევრს შეუძლია იგრძნოს სოციალური ზენოლა და დაეთანხმოს სხვების მოსაზრებებს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სინამდვილეში არ ეთანხმებოდეს. შესაბამისად, შესაძლოა არსებობდეს კონსენსუსი, რომელსაც არავინ ეწინააღმდეგება, თუმცა არც არავინ ეთანხმება სრულად. ფასილიტატორის როლი განსხვავდება ფოკუს ჯგუფის ტიპებიდან გამომდინარე, რომელიც შეიძლება იყოს დისკუსია ან ინტერვიუ. ფოკუს ჯგუფში დისკუსიის დროს მოდერატორი დისკუსიის ბუნებრივად წარმართვის საშუალებას უნდა იძლეოდეს; მონაწილეებს შეუძლიათ დაუსვან ერთმანეთს კითხვები, შეთანხმდნენ, არ დაეთანხმონ ერთმანეთს ან დაარწმუნონ ერთმანეთი. ფასილიტატორი ერევა დისკუსიაში, რათა დააბრუნოს დიალოგი შესასწავლი საკითხის გარშემო. მოდერატორს შეუძლია ჩაუღრმავდეს ჯგუფის წევრების მხრიდან გაკეთებულ განცხადებებს, რათა მიიღოს უფრო სიღრმისეული ინფორმაცია საკვლევ თემასთან დაკავშირებით, რის დროსაც უნდა შეინარჩუნოს მეგობრული და ღია ატმოსფერო (Bobby, 2005).



ფოკუს ჯგუფის ინტერვიუში მოდერატორის როლი არის ჯგუფის წევრების ინტერაქციის უფრო მკაცრი კონტროლი. დისკუსია ძირითადად წარმართება მოდერატორსა და მიმართულ რესპონდენტს შორის, ვიდრე ჯგუფის სხვა წევრებთან (Bobby, 2005). ეს ჯგუფის წევრებს უფრო მეტ სივრცეს აძლევს ინდივიდუალური მოსაზრებების გამოსახატავად.



რეკომენდებული მასალები:

Angrosino, M., 2007. *Doing Ethnographic and Observational Research*. Series: Qualitative Research Kit. Los Angeles: SAGE. ხელმისაწვდომია: <http://93.174.95.29/main/94C33BDBF8B-181D80A4CF5C1AC93D9E4>

მონაწილეობითი კარტირება/რუკების შედგენა

რუკაზე მონაცემების დატანა გულისხმობს კარტოგრაფიულ მასალებზე მუშაობას, რომლებიც შექმნილია ან შედგენილია შემთხვევის შესწავლის დროს საზოგადოების წევრების ან სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ მკვლევარების ხელშეწყობით. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ინფორმაცია წარმოდგენილია სივრცითი ფორმით. ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც საკვლევ ტერიტორიის მკვიდრია, შეუძლია სწრაფად გადაიტანოს გონებაში არსებული გამოსახულებები და აღქმა, აგრეთვე ცოდნა მათი გარემომცველი რეალობის შესახებ წინასწარ დაბეჭდილ რუკაზე. ფასილიტატორს შეუძლია მონაწილეებს მისცეს საშუალება, ცოდნისა და იდეების ინტეგრირება მოახდინონ შესასწავლი ტერიტორიის რუკაზე (კვლევის კითხვების გათვალისწინებით; რუკა შეიძლება ფოკუსირებული იყოს ცალკეული ქუჩების ან რაიონის დონეზე, მოიცავდეს მთელ დასახლებას/სოფელს ან, თუნდაც, ახდენდეს კვლევის ფართო არეალის ვიზუალიზაციას ეროვნულ, რეგიონულ ან საერთაშორისო კონტექსტში). ამ პროცესში მკვლევარი რუკის ენის საშუალებით ფასილიტაციას უწევს არაფორმალურ დისკუსიას, შემთხვევის შესწავლის მიზნებიდან გამომდინარე (Narayanasamy, 2009).



CaucasusT შემთხვევის შესწავლა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხურცისში.

რეკომენდებული მასალები:
Barbour, R., 2008. *Doing Focus Groups*. Series: Qualitative Research Kit. London: Sage Publications.

ჩართული დაკვირვება

ამ მეთოდის ძირითადი მახასიათებლები მკვლევარს საშუალებას აძლევს, ძალიან ღრმად შეაღწიოს შესასწავლ სფეროში. რეალურ ცხოვრებაში ასეთი ჩართულობა მკვლევარს საშუალებას აძლევს, საზოგადოების წარმომადგენლების გადმოსახედიდან დააკვირდნენ საკვლევ ობიექტებს, თუმცა მკვლევარის მონაწილეობა გავლენას ახდენს იმაზე, რასაც ის აღიქვამს (Flick, 2014).

სასარგებლო ბმულები:
მონაწილეობითი დაკვირვების პროცესში მობილური აპლიკაციები (MAXapp, ATLAS. Ti Mobile) დაგეხმარებათ ველზე შეგროვებული მონაცემების, მათ შორის ჩანაწერების, ფოტოების, ვიდეოების, ინტერვიუებისა და სხვა ტიპის ინფორმაციის ეფექტურად მართვაში. მობილური აპლიკაციების დამატებითი უპირატესობაა მათი ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც მოპოვებული მონაცემების გადატანა პირდაპირ არის შესაძლებელი თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერულ პროგრამებში (Computer-Assisted Qualitative Data Analysis Software).
MAXapp-ის გადმოსაწერი ბმული: <https://play.google.com/store/apps/details?id=com.atlasti.atlastimobile>
Link to Ti Mobile-ის გადმოსაწერი ბმული: https://play.google.com/store/apps/details?id=de.maxqda.maxapp&hl=en_US

სტრუქტურირებული კითხვარი თვისებრივი მონაცემების მხარდასაჭერად

ინტერვიუებთან და ფოკუს ჯგუფებთან ერთად, მკვლევარს შეუძლია შეაგროვოს რაოდენობრივი ინფორმაცია სქესის, ასაკის, განათლებისა და კვლევასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე (მაგ. სარეგისტრაციო ფორმის საშუალებით, იხილეთ ცხრილი 4.3). ეს მიდგომა გამოიყენება საჭირო დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაციის შესაგროვებლად, რაც კიდევ უფრო შეავსებს მიღებულ თვისებრივ მონაცემებს. მიღებული რაოდენობრივი მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მონაცემთა ანალიზისა და შედარებითი ანალიზის დროს, რათა მოხდეს პოტენციური ნიმუშის მიგნება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ინტერვიუების საფუძველზე (შერეული მეთოდი).

ნახაზი 4.3 ტურიზმის წარმომადგენლების სარეგისტრაციო ფორმის ნიმუში

1. რესპონდენტის სახელი	
2. სქესი	
1. მამრობითი	2. მდედრობითი
3. ასაკი	
4. განათლების დონე	
1. საშუალო განათლება	
2. ბაკალავრის ხარისხი	
3. მაგისტრის ხარისხი	
4. დოქტორის ხარისხი	
5. რესპონდენტის წარმომავლობა	
6. ეკონომიკის დარგი	
7. ეკონომიკური საქმიანობის სახე	
1. სასტუმრო (4*-5*)	
2. სასტუმრო	
3. სასტუმროს ტიპის დაწესებულება/საოჯახო ტიპის სასტუმრო	
4. კაფე/რესტორანი	
5. სხვა	
8. ეკონომიკური საქმიანობის დაწყების თარიღი	
9. მისი პოზიცია ეკონომიკურ საქმიანობაში	
10. აღნიშნულ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართული ადამიანების დაახლოებითი რაოდენობა (ასეთის არსებობის მაგალითში)	
11. ბიზნესის ხელმძღვანელი	
1. ადგილობრივი (მუდმივი მოსახლე საკვლევ დასახლებაში)	
2. ადგილობრივი (სეზონური მოსახლე)	
3. ქართველი (არაადგილობრივი) (სეზონური)	
4. უცხოელი	
5. სხვა	
12. აღნიშნული ბიზნესის მდებარეობა (მუნიციპალიტეტი/სოფელი) და ფაქტობრივი მისამართი	



წყარო: რეგისტრაციის ფორმა შემუშავდა ერთობლივი ინტერდისციპლინური კვლევითი პროექტის “ტურიზმისა და მოსახლეობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური აქტივობების ურთიერთკავშირი: მთიანი რეგიონების მდგრადობის ფორმირება” ფარგლებში, რომელიც განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გისენის უნივერსიტეტის მიერ 2017-2020 წლებში და დაფინანსებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

მონაცემთა ჩანერა და ტრანსკრიფცია/ გაშინაარსება

აუცილებელია, რომ მოხდეს თითოეული ინტერვიუსა და ფოკუს ჯგუფის დისკუსიის ჩანერა უკეთესი დოკუმენტაციისთვის. ამისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მეთოდი (მაგ., აუდიო, ვიდეო ან ტექსტური ჩანერა), რაც დამოკიდებულია ხელსაწყოებსა და მონაწილეთა თანხმობაზე. ამის შემდეგ შეგროვებული ინფორმაციის გაშინაარსება (ტრანსკრიფცია) იქნება შესაძლებელი. რეკომენდებულია, რომ მოხდეს ჩანაწერისა და ტრანსკრიფციის შედარება, რათა დარწმუნდეთ, რომ ინტერვიუს პარტნიორების / შემთხვევების ყველა საიდენტიფიკაციო ინფორმაცია დაფიქსირებული (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ Udo Kuckartz, 2014), ასევე გააშინაარსეთ იმდენი ტექსტი და ზუსტად ის სეგმენტები, რასაც მოითხოვს კვლევის კითხვები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2018 წლის მაისიდან ძალაში შევიდა მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR) და შეიცვალა ორგანიზაციის მიერ ევროკავშირის კერძო მოქალაქეების პერსონალური მონაცემების მართვის მეთოდი (Sirur et al., 2018). მოქალაქეებმა მოიპოვეს ახალი უფლებები და ორგანიზაციებისათვის მნიშვნელოვანია. დაიცვან GDPR რეგულაციები, რათა თავიდან აიცილონ ჯარიმები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია წერილობითი თანხმობის ან სხვა საჭირო დოკუმენტის მიღება რესპონდენტებისაგან მათი პირადი მონაცემების დამუშავების მიზნით. ოფიციალური იურიდიული ტექსტის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის მიჰყევით ამ ბმულს: <https://gdpr-info.eu/>

რეკომენდებული მასალები

Flick, U., 2014. An introduction to qualitative research. Sage publications. pp. 574-962;

Guest, G., Namey, E. E. and Mitchell, M. L., 2013. Collecting Qualitative Data: A Field Manual for Applied Research. pp. 331-610 [online] ხელმისაწვდომია:

<https://methods.sagepub.com/book/collecting-qualitative-data>

თინათინ ზურაბიშვილი, 2016. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, გვ. 16-36.


Kyureghyan, E.A., 2006. Applied Sociology. Yerevan.

Tadevosyan, G., 2006. Qualitative social research: Theory methodology: method (educational manual). Yerevan

მონაცემთა ანალიზი

თვისებრივი მონაცემების ანალიზი უმეტესად შემდეგ სამ საფეხურს მოიცავს (ნახაზი 4.4):

ნახაზი 4.4 მონაცემთა ანალიზის საფეხურები



წყარო: ავტორების შექმნილი ნახაზი

უდო კუკარცი თავის წიგნში “თვისებრივი ტექსტის ანალიზი” აღწერს ტექსტის ანალიზის სამ მეთოდს, თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით (Kuckartz, 2014):

- თვისებრივი ტექსტის თემატური ანალიზი;
- თვისებრივი ტექსტის შეფასებითი ანალიზი;
- ტიპოლოგიის ამგები/დამდგენი ტექსტის ანალიზი.

თვისებრივი კონტენტ ანალიზი

კონტენტ ანალიზი, როგორც სოციალური მეცნიერების ერთ-ერთი მეთოდი, მიმართულია ადამიანების კომუნიკაციის გასაანალიზებლად; მათ შორისაა მედიასაშუალებები, პოლიტიკის დოკუმენტები, წერილები და ვიდეო, განსაკუთრებით, სუბტიტრები.



პრაქტიკულად, მეთოდოლოგია მოიცავს ტექსტური ინფორმაციის მცირე სეგმენტებად (პარაგრაფები, წინადადებები, ფრაზები ან ცალკეული სიტყვები) დაშლის პროცესს, რომლებიც შემდეგ ჯგუფდება საერთო მნიშვნელობის – კოდების მიხედვით (Baxter, 2009).

ფილიპ მეირინგი (Mayring, 2000) თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამების (CAQDAS) გამოყენების საშუალებით იძლევა დეტალურ ინფორმაციას თვისებრივი კონტენტ ანალიზის, პრინციპებისა და პროცედურების შესახებ. თვისებრივი კონტენტ ანალიზის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი უკავშირდება იმას, რომ მკვლევრის მიერ შექმნილი კატეგორიები ძირითად საფუძველს წარმოადგენს მონაცემთა ანალიზისათვის. ტექსტის ინტერპრეტაციის ასპექტები საკვლევი კითხვების შესაბამისად არის დაყოფილი კატეგორიებად, რომელთა შემუშავებაც ფრთხილად უნდა მოხდეს და გადაისინჯოს ანალიზის პროცესში.

თვისებრივი მონაცემების ანალიზის ყველაზე გავრცელებული კომპიუტერული პროგრამებია:

- MAXQDA;
- ATLAS.ti;
- NVivo.

გამოცდილება *CaucaSusT* პროექტიდან:

გაფრთხილება: თვისებრივი მონაცემების ანალიზის განხორციელება ზემოთ აღნიშნული მეთოდური პროცედურების დაცვით ისეთ მოკლე ვადაში, როგორც შემთხვევის შესწავლის ვადები (ორი კვირა) იყო, საკმაოდ რთულია. თუმცა თვისებრივი მონაცემების შემთხვევის შესწავლაში ინტეგრირების საუკეთესო გზაა თითოეული ინტერვიუს შეჯამებების შექმნა სავსე საშუალებების დასრულების შემდეგ. აღნიშნული გამოწვევის დასაძლევად საუკეთესო გზა არის, რომ განხორციელდეს სტუდენტებისათვის ლექტორების მიერ სასწავლო ტრენინგები მონაცემთა ანალიზის თვისებრივ მეთოდებსა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებაზე, რაც ხელს შეუწყობს მათ მომზადებას შემდგომი ანალიზისათვის.

რეკომენდებული მასალები

Kuckartz, U., 2014. Qualitative Text Analysis: A Guide to Methods, Practice and Using Software. Sage. pp. 69-120;

Mayring, P., 2000. Qualitative Content Analysis. Forum Qualitative Sozialforschung / Forum: Qualitative Social Research, 1(2). ხელმისაწვდომია: <http://www.qualitative-research.net/index.php/fqs/article/view/1089>

სასარგებლო ბმულები:

ბმულებიდან შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ კონტენტ ანალიზის რამდენიმე სახელმძღვანელო:

- <https://www.maxqda.com/download/manuals/MAX2020-Online-Manual-Complete-EN.pdf>
- http://downloads.atlasti.com/docs/manual/atlasti_v8_manual_en.pdf
- <http://download.qsrinternational.com/Document/NVivo11/11.3.0/en-US/NVivo11-Getting-Started-Guide-Pro-edition.pdf>

შედეგების ვიზუალიზაცია

არსებობს სხვადასხვა, ტრადიციული და ინოვაციური გზები, რომელთა საშუალებითაც ხდება მონაცემთა თვისებრივი ანალიზის შედეგების სამეცნიერო და არამეცნიერო აუდიტორიასთან წარდგენა:

- გრაფიკი;
- ცხრილი;
- ალქმიითი რუკები;
- რესპონდენტების ნარატივები/ამონარიდები;
- საკვანძო სიტყვების, კოდების ნაკრები;
- ფოტოები;
- ვიდეოები;
- ხელოვნების სხვადასხვა ფორმა (ნახატი, თეატრალური წარმოდგენა).

რაოდენობრივი კვლევის მეთოდები

რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას ტრანსდისციპლინური მიდგომით შემთხვევის შესწავლისას შეუძლია უზრუნველყოს ისეთი უპირატესობები, როგორცაა გენერალიზებადი/განზოგადებადი მონაცემების მოპოვება, შესასწავლი თემის მასშტაბის შეფასებისა და ფართო გეოგრაფიული არეალის დაფარვა.

შერჩევა

რაოდენობრივი კვლევისას გამოიყენება ალბათური შერჩევის მეთოდები, რაც იძლევა კვლევის შედეგების განზოგადების საშუალებას. სტატისტიკური განზოგადება გულისხმობს მკვლევრის მიერ ალბათობის თეორიის გამოყენებას იმის შესაფასებლად, თუ რამდენადაა შესაძლებელი, შედარებით მცირე შერჩეულ ჯგუფში გამოვლენილი მახასიათებლები განზოგადდეს უფრო დიდ ჯგუფზე – მთელ მოსახლეობაზე (De Vaus, 2002).

მარტივი შემთხვევითი შერჩევა (მშშ)

მშშ-ს განხორციელების 5 საფეხურია (De Vaus, 2002):

საფეხურები	მარტივი შემთხვევითი შერჩევა (მშშ)
1.	შერჩევის სრული საფუძვლის მომზადება;
2.	თითოეული შემთხვევისათვის უნიკალური რიცხვის მინიჭება, დანყებული ერთით;
3.	შერჩევის საჭირო ზომის განსაზღვრა;
4.	შემთხვევითი რიცხვების ცხრილიდან შერჩევის ზომისათვის რიცხვების ამორჩევა;
5.	შემთხვევითად ამორჩეული რიცხვების შესაბამისად ობიექტების/შემთხვევების ამორჩევა.

სისტემატური შერჩევა

სისტემატური შერჩევის განხორციელების საფეხურები (De Vaus, 2002):

საფეხურები	სისტემატური შერჩევა
1.	შერჩევის ჩარჩოს შექმნა;
2.	მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრა (მაგ. 100);
3.	შერჩევის საჭირო ზომის განსაზღვრა (მაგ. 20);
4.	შერჩევის წილის გამოთვლა, მოსახლეობის რაოდენობის გაყოფით შერჩევის საჭირო ზომაზე ($100 \div 20 = 5$);
5.	საწყისი წერტილის არჩევა 1-დან 5-ის ფარგლებში (ან რამდენიცაა შერჩევის წილი), რიცხვის შემთხვევითი შერჩევით (მაგ. 3);
6.	შერჩეული რიცხვი ცხადდება ათვლის წერტილად (ამ შემთხვევაში 3);
7.	შერჩევის წილის გათვალისწინებით ყოველი მე-5 მაგალითის შერჩევა. ამ მაგალითში, როცა შერჩევის წილი არის 5, უნდა შეირჩეს ყოველი მე-5 შემთხვევა და შედგეს 20-შემთხვევიანი შერჩევა.

სტრატეფიცირებული შერჩევა

სტრატეფიცირებული შერჩევა მშშ-ის მოდიფიცირებული ვარიანტია. ის გამოიყენება მეტი რეპრეზენტატულობისა და, შესაბამისად, უფრო ზუსტი შერჩევის მისაღწევად, თუმცა შერჩევის სიზუსტის გაუმჯობესება ხდება გართულებული პროცედურების ხარჯზე. მთლიანობაში, სტრატეფიცირებულ შერჩევას აქვს მსგავსი შეზღუდვები, როგორც მშშ-ს. მაგალითად, შერჩევის რეპრეზენტატულობის მისაღწევად, მაგალითში სხვადასხვა ჯგუფის პროპორცია უნდა შეესაბამებოდეს პროპორციას მოსახლეობაში.

მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა

კლასტერული შერჩევა საჭიროებს რამდენიმე სხვადასხვა შერჩევის შექმნას (აქედანაა მისი სახელიც) და ეს კეთდება ისეთი ფორმით/გზით, რაც ამცირებს გამოკითხვის ჩატარების საბოლოო ხარჯებს.

შერჩევის აუცილებელი პროცედურები მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს (მაგ. ქალაქის მოსახლეობის შერჩევა, რომლისთვისაც არ განისაზღვრა შერჩევის საფუძველი) (De Vaus, 2002):

საფეხურები	მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა
1.	ქალაქის დაყოფა არეალებად/უბნებად (მაგ. საარჩევნო უბნები, საყოველთაო აღწერის ოლქები);
2.	მარტივი შემთხვევითი შერჩევის გამოყენებით კლასტერების შერჩევა;
3.	შერჩეული კლასტერების დაყოფა უფრო მცირე ტერიტორიებად (მაგ. ბლოკებად);
4.	მეორე ეტაპზე შერჩეულ კლასტერებში ბლოკების შერჩევა, მშპ გამოყენებით;
5.	თითოეული შერჩეული ბლოკისთვის შინამეურნეობების მისამართების ჩამონათვლის მომზადება;
6.	შერჩეულ ბლოკებში მშპ-ს გამოყენებით მისამართების შერჩევა;
7.	თითოეულ შერჩეულ შინამეურნეობაში თითო ნევრის შერჩევა, რომელიც მიიღებს მონაწილეობას გამოკითხვაში.

რეკომენდებული მასალები

De Vaus, D., 2014. Surveys in Social Research. Sydney, Vic.: Allen & Unwin.

სოციოლოგიურ მონაცემთა ანალიზი (2006), ნინო დურგლიშვილი, გვ. 13-21.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში (2008), ლია წულაძე, გვ. 45-52.

Tadevosyan, G., 2006. Qualitative social research: Theory methodology: method (educational manual). Yerevan. [online] ხელმისაწვდომია: http://lib.y-su.am/close_books/262135.pdf

Kyureghyan, E. A., 2006. Applied Sociology (educational manual). Yerevan, [online] ხელმისაწვდომია: [http://ijevanlib.y-su.am/wp-content/uploads/2018/01/კիրაռական-სოციოლოგია.pdf](http://ijevanlib.y-su.am/wp-content/uploads/2018/01/կիրառական-სოციოლოგია.pdf)

მონაცემთა შეგროვება

რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვების მეთოდები მოითხოვენ სტრუქტურირებულ მონაცემებს, მიღებულს სხვადასხვა გზით, მათ შორის პირის ადგილზე მონახულებით, რესპონდენტის ტელეფონზე დარეკვით, კითხვარის ბმულის სოციალურ ქსელში გაგზავნით ან განთავსებით.

პირისპირ გამოკითხვა

პირისპირ გამოკითხვის ჩატარებისათვის დამახასიათებელია ინტერვიუერის შეხვედრა რესპონდენტთან. ინტერვიუერი კითხულობს კითხვებს და აფიქსირებს რესპონდენტის პასუხებს. ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც „ქალაქისა და ფანქრის“ ინტერვიუს ფორმატში (PAPI), ასევე კომპიუტერზე დაფუძნებული პირადი ინტერვიუს (CAPI) სახით (Schröder, 2016).

მონაცემთა შეგროვების ელექტრონული საშუალებები განსაკუთრებით ეფექტანია შემთხვევის მოკლევადიანი შესწავლისთვის, დროის დაზოგვის მიზნით. ამ შემთხვევაში ხდება ქალაქზე დაფიქსირებული ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში გადატანა.

სასარგებლო ბმულები:

მობილური აპლიკაციის მონაცემთა შეგროვების ღიად ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები:

- KoBoToolbox: <https://www.kobotoolbox.org/>;
- Open Data Kit: <https://opendatakit.org/>;
- Google form (not available): <https://www.google.com/forms/about/>.

სატელეფონო ინტერვიუ

სატელეფონო ინტერვიუები გულისხმობს შერჩეულ რესპონდენტებთან სატელეფონო კონტაქტის დამყარებას და კითხვების დასმას ტელეფონის მეშვეობით. სატელეფონო ინტერვიუს მეთოდები საშუალებას აძლევს ინტერვიუერებს, შევიდნენ კონტაქტში რესპონდენტებთან, მაგრამ მათი ანონიმურობა შეინარჩუნონ. ამ მეთოდის გამოყენებით საკმაოდ მარტივია იმ რესპონდენტებთან დაკონტაქტება, რომლებიც არ იმყოფებიან სახლში და, აგრეთვე, სატელეფონო ინტერვიუების ჩატარება გაცილებით იაფია, ვიდრე პირისპირი

ინტერვიუების ჩატარება, რადგან ინტერვიუ-
ერის გადაადგილებასთან არ არის დაკავშირე-
ბული (De Vaus, 2002).

ინტერნეტ გამოკითხვა, ვებ – გვერდები

ვებ-გვერდებს აქვს კითხვარების შესაქმნელად სა-
ჭირო დინამიური, ინტერაქტიული ფუნქციები და,
ასევე, შთამბეჭდავი ვიზუალური საშუალებები,
რომლებიც ხელმისაწვდომია ინტერნეტში. ეს გუ-
ლისხმობს კითხვარის ვებ-სერვერზე განთავსებას
და რესპონდენტების შესაბამის ვებ-გვერდზე შეს-
ვლას კითხვარის შევსების მიზნით (De Vaus, 2002).

სივრცითი მონაცემები

საველე სამუშაოების პროცესში მკვლევარებს და-
მატებით შეუძლიათ შეაგროვონ სივრცითი მონა-
ცემები, როგორცაა რესპონდენტების ადგილმდებ-
არეობა ან სხვადასხვა ტურისტული ობიექტი,
ინფრასტრუქტურა, ბუნებრივი რესურსების განლა-
გება, პოტენციური ხედვის წერტილები, რომლებიც
შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტურისტული მიზნე-
ბისთვის. ამ მიმართულებით რამდენიმე საშუალე-
ბაა ხელმისაწვდომი მობილური აპლიკაციის სახით,
რომელიც ქვემოთაა ჩამოთვლილი:

სასარგებლო ბმულები:

- OSMTracker: https://play.google.com/store/apps/details?id=net.osmtracker&hl=en_US
- KoBoToolbox (იხილეთ ზემოთ);
- Open Data Kit (იხილეთ ზემოთ).

რეკომენდებული მასალები

De Vaus, D., 2014. *Surveys in Social Research*.
Sydney, Vic.: Allen & Unwin. pp. 158 – 187

რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ
მეცნიერებებში (2008), ლია ნულაძე, გვ. 14-20.

Tadevosyan, G., 2006. *Qualitative social research:
Theory methodology: method (educational manu-
al)*. Yerevan. http://lib.yasu.am/close_books/262135.pdf

მონაცემთა ანალიზი

აღწერითი სტატისტიკა

აღწერითი სტატისტიკა აჯამებს შერჩევაში
მოხვედრილი შემთხვევების პასუხებს.

დავიდ დე ვუ (De Vaus, 2002) განასხვავებს აღწერი-
თი ანალიზის ჩატარებისა და გამოსახვის სამ გზას:
ტაბულარულს, გრაფიკულსა და სტატისტიკურს.

- **ტაბულარული:** ტაბულარული ანალიზი მოიცავს მონაცემების ანალიზის შედეგების ცხრილებში წარმოდგენას. ეს შეიძლება განხორციელდეს სიხშირული, ჯვარედინი ან სხვა ტიპის მარტივი ცხრილის ფორმატში;
- **გრაფიკული:** ხშირ შემთხვევაში, ცხრილში მოცემული ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს გრაფიკის სახით. ანალიზის გასაადვილებლად გრაფიკში შეიძლება უფრო მარტივად იყოს გამოსახული ტენდენციის ამსახველი მონაცემები, ვიდრე ცხრილში;
- **სტატისტიკური:** სტატისტიკა მოიცავს შეჯამებულ ინფორმაციას. აღწერითი სტატისტიკა ხშირად ერთრიცხვიანია (მაგ. საშუალო არითმეტიკული, ალბათობის მაჩვენებელი, სხვადასხვა კოეფიციენტი და ინდექსი და ა.შ.) და არ შეიცავს იმდენ ინფორმაციას, რამდენსაც ცხრილი ან გრაფიკი, მაგრამ მას შეუძლია წარმოადგინოს შემთხვევების ნაკრების მარტივად გასაგები გამოსახულება.

ახსნითი სტატისტიკა

როგორც წესი, ჩვენ არ ვართ დაინტერესებული მხოლოდ იმით, რომ, უბრალოდ, აღწერითი შერჩევაში მოხვედრილი ადამიანების დამოკიდებულება და მახასიათებლები. ამის ნაცვლად, ჩვენ გვინდა, რომ შერჩევის შედეგები განვაზოგადოთ უფრო ფართო მოსახლეობაზე. დასკვნითი სტატისტიკის ფუნქციაა, წარმოადგინოს მოსაზრება იმის შესახებ, თუ შერჩევაში აღწერილი ნიმუშები რამდენად შეიძლება იქნეს გამოყენებული მთელი იმ თემის/საზოგადოების დასახასიათებლად, საიდანაც არის ეს ნიმუშები აღებული. როდესაც გვაქვს შერჩევა, რომელიც მიიღება ალბათური შერჩევის მეთოდით, შეგვიძლია გამოვიყენოთ მისგან გამომდინარე/ინფერენციული სტატისტიკა (De Vaus, 2014).

ერთგანზომილებიანი ანალიზი

ერთგანზომილებიანი ანალიზის ძირითადი ნაწილი აღწერს ცვლადების განაწილებას. ვინაიდან ყველა ცვლადს აქვს ორი ან მეტი კატეგორია ან მნიშვნელობა, ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ, თუ როგორ ნაწილდება შემთხვევები ამ კატეგორიებში. გასათვალისწინებელია ასეთი განაწილების არაერთი ასპექტი (De Vaus, 2002).

- **მარტივი აღწერა:** რამდენი ადამიანი ეკუთვნის კონკრეტულ კატეგორიას? რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ბევრი შემთხვევა და რომელს – ცოტა?
- **ტიპურობა / ცენტრალური ტენდენცია:** მიეკუთვნებიან თუ არა შემთხვევები კონკრეტულ კატეგორიებს? რომელია ის ტიპური კატეგორია, რომელსაც შემთხვევები მიეკუთვნებიან?
- **ვარიაცია:** შემთხვევები კონცენტრირებული არიან ერთ-ორ კატეგორიაში თუ ისინი მეტნაკლებად თანაბრად ნაწილდებიან კატეგორიებს შორის? რამდენად ერთგვაროვანია (ჰომოგენურია) ან არაერთგვაროვანია (ჰეტეროგენურია) შერჩევა?
- **სიმეტრია/გადახრა:** იმ ცვლადებისთვის, სადაც კატეგორიები რანჟირებულია დაბლიდან მაღლა, შემთხვევების დაჯგუფება დაბალ ნაწილში ხდება თუ მაღალში? თუ ისინი ცვლადის შუაში იყრიან თავს?

შეგროვებული მონაცემების გასაანალიზებლად ხელმისაწვდომია მონაცემთა ანალიზის სხვადასხვა პროგრამა, როგორცაა SPSS (სტატისტიკური პაკეტი სოციალურ მეცნიერებათათვის), ექსელი (Excel) ან R.

რეკომენდებული მასალები

De Vaus, D., 2014. *Surveys in Social Research*. Sydney, Vic.: Allen & Unwin. pp. 264 – 316

სოციოლოგიურ მონაცემთა ანალიზი (2006), ნინო დურგლიშვილი, გვ. 60-84

რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში (2008), ლია წულაძე, გვ. 53-63

რაოდენობრივი კვლევის შედეგების ვიზუალიზაციის ფორმები

- გრაფიკები;
- ცხრილები;
- აღქმითი რუკები;
- რუკები.

შერეული მეთოდებით კვლევა

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების ცალ-ცალკე გამოყენების გარდა, შესაძლებელია მათი გაერთიანება შერეული მეთოდებით კვლევაში. გრინის (Greene, 2007) თანახმად, შერეული მეთოდებით აზროვნებამ გახსნა “ხედვისა და მოსმენის მრავალი გზა” (გვ. 20). გარდა ამისა, ის მოიხსენიება, როგორც “კვლევის მესამე პარადიგმა” (Johnson and Onwuegbuzie, 2004: 15) და “ახალი ვარსკვლავი სოციალურ მეცნიერებათა ცაზე” (Mayring, 2007: 1).



“შერეული მეთოდებით კვლევა განისაზღვრება, როგორც კვლევა, რომელშიც მკვლევარი აგროვებს და ანალიზებს მონაცემებს, აერთიანებს შედეგებს და გამოაქვს დასკვნები, ერთ კვლევაში ან გამოკითხვის პროგრამაში როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მიდგომების ან მეთოდების გამოყენებით (Tashakkori & Creswell, 2007b: 4)”.

შერეული მეთოდების კვლევის პიონერის ჯონ ვ. კრეზუელის თანახმად, შერეული მეთოდების კვლევის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ ის “გვთავაზობს გარკვეული ძლიერი მხარეების გამოყენებას, რაც ანაზღაურებს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის სისუსტეებს (Creswell and Clark, 2017: 95).

კვლევის პროცესისათვის, რომელიც მიზნად ისახავს კომპლექსური საზოგადოებრივი მოვლენების ანალიზს და რეალურ გამოწვევებზე რეაგირებას, დამახასიათებელია შერეული მეთოდების მიდგომის გამოყენება. ეს ხშირად საუკეთესო მიდგომაა შემთხვევის შესწავლის პროცესში.

შერეული მეთოდების გარდა, კვლევის გარკვეული მეთოდები სპეციალურად მიმართულია ცოდნის სხვა-

დასხვა წყაროს გაერთიანებისაკენ და, ამგვარად, შესაძლებელია გახდეს შემთხვევის ტრანსდისციპლინური შესწავლის კვლევის ძირითადი საფუძველი. რამდენიმე მათგანი აღწერილია შემდეგ ნაწილში.

ინტერ- და ტრანსდისციპლინური მეთოდები

სისტემური ანალიზი

სისტემა არის ორგანიზებული მთლიანობა, სხეული, ”ობიექტების ერთობლიობა, ურთიერთობა ობიექტებსა და მათ ატრიბუტებს შორის” (Hall and Fagen, 1956). სისტემის ზოგადი კონცეფცია შეესაბამება ტრანსდისციპლინურ კვლევას, რომლის მიზანია კომპლექსური საზოგადოებრივი ფენომენების გაცნობიერება.

ჩვენ გარშემო არსებობს სხვადასხვა ტიპის სისტემები, მათ შორის:

- **ეკოლოგიური სისტემები:** მაგალითად, ტროპიკული ტყე, რიფი, მთის ტბა;
- **ტექნიკური სისტემები:** მანქანები (ავტომობილი, მაცივარი), საწარმოო საშუალებები;
- **სოციალური სისტემები:** ორგანიზმების პოპულაციები, საზოგადოება (ადგილობრივიდან საერთაშორისო დონემდე), სხვადასხვა თემა და კულტურა, ინდივიდუალური ჯგუფი (მაგ., ოჯახი, კლანი) ან საგანმანათლებლო სისტემა.

სისტემის ძირითადი კონცეფცია

სისტემა – ორგანიზებული ერთეული, რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ნაწილებისგან. **ჩარჩო/საზღვარი**, რომელიც შემოსაზღვრავს სისტემას და განასხვავებს მას სხვა სისტემებისგან საერთო გარემოში (განსაზღვრულია სხვადასხვა განზომილებით). **სისტემის კომპონენტები** (მაგ. ტურისტული სისტემის კომპონენტებია: ინფრასტრუქტურა, მოსახლეობა, ბუნებრივი რესურსები, განთავსება, ატრაქციები). **ზემოქმედების ცვლადები / ფაქტორები**

თითოეული (ძირითადი) სისტემა განისაზღვრება მისი საზღვრებით, რაც განასხვავებს მას მიმდებარე სისტემისაგან; ეს საზღვრები შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა განზომილებით, როგორცაა:


- სივრცე (გეოგრაფიული, ადმინისტრაციული)
- სტრუქტურა (პროცესებზე დაფუძნებული)
- შინაარსი (თემები, პრობლემები)
- ინსტიტუციური (ადმინისტრაცია)
- პერსონალური (აქტორები)

კვლევისა და სწავლების მიზნით სისტემის საზღვრების დადგენა შესაძლებელია კონკრეტული კვლევის კითხვებისა და შესასწავლი საკითხის შეზღუდვების საფუძველზე. ძირითადი სისტემა ის არის, რაზეც გავლენის მოხდენა შეგვიძლია ჩვენი კვლევით.

სისტემის კომპონენტები შეიძლება შეიცავდეს: სხვადასხვა აქტორს, ინსტიტუციებს, ბუნებრივ რესურსებს ან ინფრასტრუქტურის ელემენტებს. ტერმინი „სისტემა“ აღნიშნავს ამ ელემენტებს შორის კავშირებსა და ურთიერთქმედებას. სისტემაზე (და მის თითოეულ კომპონენტზე) გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი როგორც ძირითადი სისტემის შიგნიდან, ასევე მის გარშემო არსებული გარემოდან.

ტრანსდისციპლინური კვლევითი პროექტი, თავის მხრივ, შეიძლება მოიცავდეს სისტემას. ამ მაგალითში, მკვლევრები და დაინტერესებული მხარეები (მაგ. კონკრეტული დისციპლინის სპეციალისტები, სამთავრობო და სხვა საჯარო დაწესებულებების, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები) ქმნიან სისტემის ელემენტებს და ურთიერთქმედებას ახდენენ შემთხვევის შესწავლის პროცესში (ე.ი. საკითხის განხილვის, ღირებულებებისა და მიზნების გააზრების ან სხვადასხვა პარამეტრის შემუშავების გზით) (Pohl and Hirsch Hadorn, 2008).

ნახაზი 4.5 ტრანსდისციპლინური კვლევითი პროექტი არის სისტემა, რომელიც აგებულია ერთობლივი კვლევითი პროცესის შედეგად.




წყარო: *Methodological challenges of transdisciplinary research* (2008), Christian Pohl and Gertrude Hirsch Hadorn

ტურიზმი არის ჰიბრიდული სისტემის მაგალითი, რომელიც ხასიათდება სოციალური, ეკონომიკური და ბიოფიზიკური კომპონენტების რთული ურთიერთქმედებით (ნახ. 4.6.). პოტენციური ზემოქმედების ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ტურიზმის დესტინაციაზე, მოიცავს:

- გარე: კლიმატის გლობალური ცვლილება, ტურისტების მოთხოვნა, ხელმისაწვდომი ეროვნული ან საერთაშორისო განვითარების ფონდები;
- შიდა: ენების ცოდნა და კომუნიკაციის უნარჩვევები და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტურისტების მასპინძლობის სურვილი, ხელმისაწვდომი რესურსები.

ნახაზი 4.6 შემთხვევის ტრანსდისციპლინური შესწავლის არეალში დასახლების სისტემის სტრუქტურა



წყარო: პროექტის გუნდის მიერ შექმნილი ილუსტრაცია, ინტერნეტში მოძიებულ ფოტოზე დაყრდნობით: https://a248.e.akamai.net/secure.meetupstatic.com/photos/event/d/8/3/9/highres_440215353.jpeg

სისტემის მოდელი შეიძლება შემუშავდეს საკვლევ პრობლემის თითოეული ასპექტისთვის. სისტემის მოდელში ინტეგრირებული უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების (ასევე მოიხსენიება, როგორც ტრანსდისციპლინური კვლევის პრაქტიკის აქტორები) მრავალმხრივი ცოდნა. უნდა გამოვლინდეს და აღინეროს ძირითადი ცვლადები და პარამეტრები და განისაზღვროს მათი ურთიერთობა დაინტერესებული მხარეების სემინარების, ფოკუს ჯგუფებისა და ინტერვიუების დროს. ამ პროცესის მიზანია ფუნქციური სისტემის მოდელის აგება და შესწავლილი სისტემის ერთიანი გაგება, რაც საფუძვლად დაედება შესასწავლი პრობლემის მოგვარებას (ე.ი. სცენარის შექმნა, იხილეთ ქვემოთ მოცემული „სცენარის განვითარების“ ნაწილი). გარდა ამისა, სისტემის მოდელირებას შეუძლია განსაზღვროს სწავლის პროცესი როგორც პრაქტიკოსი აქტორებისთვის, ასევე მეცნიერებისათვის, რადგან ისინი ცვლიან ცოდნას, აღქმასა და პრობლემის გაგებას (Bergmann et al., 2012: 88).

ერთიანი სისტემის აღწერის მიზანია შემთხვევის საერთო, ყოვლისმომცველი აღქმა (საკითხის გააზრება) ყველა ჩართული პირისათვის (სტუდენტები, დაინტერესებული მხარეები და ა.შ.).

ნახაზი 4.7 სისტემის ანალიზის საფეხურები

ნაბიჯი 1	ნაბიჯი 2	ნაბიჯი 3	ნაბიჯი 4
<ul style="list-style-type: none"> შესასწავლი შემთხვევის, კვლევის კითხვებისა და მიზნის იდენტიფიცირება 	<ul style="list-style-type: none"> სისტემის ფუნქციებისა და ძირითადი კომპონენტების იდენტიფიცირება 	<ul style="list-style-type: none"> შინაგანი და გარეგანი ზემოქმედების ფაქტორების იდენტიფიცირება 	<ul style="list-style-type: none"> სისტემაზე კულაციური ურთიერთქმედებებისა და გავლენების განხილვა

წყარო: პროექტის გუნდის მიერ შექმნილი ილუსტრაცია, ადაპტირებულია Glanzer et al., (2005)-ის მიხედვით.

სისტემის ანალიზის ვიზუალიზაციისა და შეფასების მეთოდები

სისტემების ვიზუალიზაციისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, რომლებიც ხაზს უსვამენ მნიშვნელოვან გავლენის ფაქტორებს და მათ ურთიერთკავშირს სისტემის კომპონენტებთან, ასევე გამოკვეთენ სისტემაში არსებულ პრობლემებსა და პოტენციალს.

პლუს–მინუს ანალიზი ანუ SWOT

SWOT არის აბრევიატურა ინგლისური სიტყვებისა, რომელთა პირველი ასოებით აღინიშნება: სიძლიერე (**S**), სისუსტე (**W**), შესაძლებლობა (**O**) და საფრთხე (**T**). SWOT ანალიზი წარმოადგენს მეთოდს, რომელსაც შეუძლია ზუსტად შეისწავლოს და გაანალიზოს სისტემის ამჟამინდელი მდგომარეობა. SWOT შეიძლება დაიყოს ორ მთავარ ნაწილად: პირველი ნაწილი – SW ძირითადად გამოიყენება შიდა მდგომარეობის დასახასიათებლად, ხოლო მეორე ნაწილი – OT გამოიყენება გარე მდგომარეობის ანალიზისთვის.


სიძლიერე (S)	საფრთხე (T)
<ul style="list-style-type: none"> - ხელსაყრელი ადგილმდებარეობა, კარგი ხელმისაწვდომობა; - მიმზიდველი გარემო და კლიმატი; - კულტურულ-ისტორიული ძეგლები; - ყაზბეგის ეროვნული პარკი; - კრიმინალის დაბალი დონე. 	<ul style="list-style-type: none"> - არამდგრადი და არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა (გეოპოლიტიკური ასპექტი); - მაღალი დამოკიდებულება ტურიზმის ეკონომიკაზე; - ეკოლოგიური საფრთხეები (ბუნებრივი რისკები, უკონტროლო ნაგავსაყრელები); - ახალგაზრდა ადგილობრივი მოსახლეობის გადინება (მიგრაცია).
შესაძლებლობა (O)	სისუსტე (W)
<ul style="list-style-type: none"> - აუთვისებელი ტურისტული რესურსების იდენტიფიცირება და ტურისტული პროდუქტების / შემოთავაზებების დივერსიფიკაცია; - ზამთრის ტურისტული სეზონის გააქტიურება გუდაურის სათხილამურო კურორტთან მჭიდრო კავშირის დამყარებით; - ინფორმაციული ტექნოლოგიების უფრო მასშტაბური და ფართო გამოყენება; - ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის დაწესება. 	<ul style="list-style-type: none"> - სეზონურობა; - სუსტად განვითარებული სოფლის მეურნეობა; - ადგილობრივი წარმოების საქონლის სიმცირე; - ადგილობრივი კვალიფიციური კადრების ნაკლებობა; - ძლიერი დამოკიდებულება ერთ ეკონომიკურ სექტორზე – ტურიზმზე; - გრძელვადიანი ხედვის არარსებობა.

წყარო: CaucaSusT პროექტი, SWOT ანალიზი განხორციელდა შემთხვევის შესწავლის კურსის მონაწილეთა მიერ ყაზბეგში, საქართველო (2019)

ინდიკატორებზე ორიენტირებული შეფასება

ინდიკატორებზე ორიენტირებულმა შეფასებამ შეიძლება შექმნას რთული სისტემის თვისებების შეფასების მეთოდი მისი კომპონენტების კრიტერიუმების საფუძველზე. ნახ. 4.9. ასახავს მაგალითს, რომელშიც სასტუმრო წარმოადგენს სისტემის ნიმუშს და გვთავაზობს მისი კომპონენტებისა და ინდიკატორების შეზღუდულ არჩევანს.

ნახაზი 4.9 ინდიკატორებზე ორიენტირებული შეფასების მაგალითი




წყარო: CaucaSusT პროექტისთვის შექმნილი ნახაზი.

სისტემის დიაგრამები (System Graphs)

სისტემისა და მისი კომპონენტების ვიზუალიზაცია ძალიან სასარგებლო სავარჯიშოა სისტემური ანალიზის განვითარებისათვის. ნახაზი 4.10 ასახავს ტურიზმის სისტემის გრაფიკის მაგალითს.

ნახაზი 4.10 ტურიზმის სისტემის გრაფიკის მაგალითი




წყარო: საკუთარი ილუსტრაცია დაფუძნებული Peric and Djurkin, 2014-ზე

სოციალური ქსელის ანალიზი

ქსელის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, აღვწეროთ დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთობების სტრუქტურა. ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც თვისებრივად, ისე რაოდენობრივად, თანაც რაოდენობრივი მახასიათებლების გამოყენება ამ ურთიერთობების გაზომვის საშუალებას იძლევა. ამ მახასიათებლების საფუძველზე შეიძლება შეფასდეს როგორც მთელი ჯგუფის, ასევე ცალკეული დაინტერესებული მხარეების რესურსები. სოციალური ქსელის ანალიზი არის მატრიცისა და მრუდების თეორიის (Graph Theory) გამოყენების

მაგალითი (Hanneman and Riddle, 2005).

მატრიცები ხშირად გამოიყენება სოციალური ქსელის ანალიზში, რათა შექმნან მონაცემები ურთიერთობებისა და კავშირების შესახებ, რომლებიც ერთმანეთთან აქვთ დაინტერესებულ მხარეებს. მატრიცის ერთეულებში საკვანძო სიტყვების გამოყენების ნაცვლად სოციალური ქსელის ანალიზი იყენებს ციფრებს შემდეგი ინფორმაციის წარმოსადგენად; I) კავშირის არსებობა/არარსებობა; II) ურთიერთობის შედარებითი სიძლიერე. თითოეული მატრიცა განასახიერებს უნიკალურ კავშირს, მაგალითად, კონტაქტს, მეგობრობას, შეთავაზებას, კონფლიქტს და ა.შ. (Reed et al., 2009).



	D	H1	H2	H3	R1	R2	T	E	M	S	C
დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია	0	1	1	0	1	1	1	1	1	1	1
სასტუმრო 1	1	0	0	1	1	0	1	0	0	1	0
სასტუმრო 2	1	0	0	0	1	0	0	0	0	0	0
სასტუმრო 3	0	1	0	0	0	0	0	0	0	0	0
რესტორანი 1	1	1	1	0	0	0	0	1	1	0	0
რესტორანი 2	1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
ტურისტული სააგენტო	1	1	0	0	0	0	0	1	1	0	0
ღონისძიებების ორგანიზატორი	1	0	0	0	1	0	1	0	1	1	1
მუნიციპალიტეტი	1	0	0	0	1	0	1	1	0	1	1
სპორტული ობიექტი	1	1	0	0	0	0	0	1	1	0	0
კულტურული დაწესებულება	1	0	0	0	0	0	0	1	1	0	0

წყარო: Gajdošik (2015)

ლეგენდა: D-დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია, H1- სასტუმრო 1, H2- სასტუმრო 2, H3- სასტუმრო 3, R1- რესტორანი 1, R2- რესტორანი 2, T- ტურისტული სააგენტო, E- ღონისძიებების ორგანიზატორი, M- მუნიციპალიტეტი, S- სპორტული ობიექტი, C- კულტურული დაწესებულება.


დამატებითი ინფორმაციისათვის:

ქსელური მიდგომა სულ უფრო მეტად გამოიყენება ტურისტული დანიშნულების ადგილების კონტექსტში. ტურისტული დანიშნულების ადგილები შეიძლება შეფასდეს, როგორც ადგილები, სადაც დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა ქმნის ტურისტულ პროდუქტს (Pechlaner et al., 2012). ეს ქსელები, რომლებიც შეიძლება ეფუძნებოდეს ადგილობრივ არაფორმალურ ალიანსებს, შემთხვევით თუ ოფიციალურ პარტნიორობას, სავარაუდოა, რომ

დაეხმარონ ტურიზმს მისი დანაწევრებული ბუნების კომპენსაციაში. ტურიზმი განიხილება, როგორც გეოგრაფიულად გაფანტული ეკონომიკური დარგი, რომელიც შედგება მცირე დამოუკიდებელი ბიზნესებისაგან, სადაც ყოვლისმომცველი პროდუქტის შექმნა თანამშრომლობის შესაძლებლობაში მდგომარეობს (Scott et al., 2008). ქსელური პერსპექტივის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს ტურისტული დანიშნულების ადგილზე ტურიზმში ჩართული დაინტერესებული მხარეების თანამშრომლური ქცევის რაოდენობრივი პარამეტრების შეფასება-

ში, რაც ხელს უწყობს დანიშნულების ადგილის მენეჯმენტის თანამშრომლური მართვის პრობლემების გააზრებას.

ნახაზი 4.12 ქსელის მაგალითი



წყარო: პროექტის გუნდის მიერ შექმნილი ილუსტრაცია, ფოტო ხელმისაწვდომია ინტერნეტში: https://a248.e.akamai.net/secure.meetupstatic.com/photos/event/d/8/3/9/highres_440215353.jpeg

გავლენის/ინტერესის ქსელი

გავლენის/ინტერესის ქსელი შექმნილია ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომელიც ახდენს დაინტერესებული მხარეების კატეგორიზაციას შემდეგი ოთხი ტიპის მიხედვით: “ძირითადი მოთამაშეები”, “კონტექსტის შემქმნელები“, “სუბიექტები” და “გარე მოთამაშეები” (e.g. Eden and Ackermann, 1998; De Lopez, 2001). ასეთი მიდგომა საშუალებას

ნახაზი 4.13 დაინტერესებული მხარეების ინტერესის/გავლენის მიხედვით კატეგორიზაცია

ინტენსიურობა ↑	<p>სუბიექტები მცირე გავლენა მაღალი ინტერესი</p> <p><i>მენეჯმენტმა შეიძლება ხელი შეუწყოს კოალიციების გავლენის ზრდას და მოახდინოს მათი ძირითად მოთამაშეებად გადაქცევა ან გაანეიტრალოს ისინი.</i></p>	<p>ძირითადი მოთამაშეები მაღალი გავლენა მაღალი ინტერესი</p> <p><i>გავლენიანი დაინტერესებული მხარე, რომელიც მენეჯმენტის მუდმივ ყურადღებას იმსახურებს.</i></p>
	<p>გარე მოთამაშეები მცირე გავლენა მცირე ინტერესი</p> <p><i>შეიძლება განვიხილოთ, როგორც უფრო პოტენციური, ვიდრე ფაქტობრივი დაინტერესებული მხარე. მათი ინტერესი და/ან გავლენა შეიძლება გაიზარდოს, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ყოველივე დროის და მენეჯმენტის ძალისხმევების დახარჯვად ღირდეს.</i></p>	<p>კონტექსტის შემქმნელები მაღალი გავლენა მცირე ინტერესი</p> <p><i>შეუძლია გავლენა მოახდინოს სამომავლო მთლიან კონტექსტზე. მენეჯმენტი უნდა შეეცადოს, გაზარდოს ცნობიერება და განავითაროს ინტერესი, რომ გადააქციოს ისინი მთავარ მოთამაშეებად.</i></p>
	←-----→ გავლენა	

წყარო: Ackermann and Eden (2011)

გვაძლევს, განვსაზღვროთ, თუ როგორ შეიძლება დაინტერესებული მხარეების ჩართვა შესასწავლი პრობლემის მოგვარებაში:

- **ძირითადი მოთამაშეები** – წარმოადგენენ დაინტერესებულ მხარეს, რომლებიც აქტიურად უნდა იყვნენ გათვალისწინებული, რადგან მათ აქვთ მაღალი ინტერესი და დიდი გავლენა კონკრეტულ ფენომენზე;
- **კონტექსტის შემქმნელები** – წარმოადგენენ დიდი გავლენის, თუმცა მცირე ინტერესის მქონე სტეიკჰოლდერებს. ამის გათვალისწინებით, ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ დიდ რისკს, რის გამოც საჭიროა მოხდეს მათი მონიტორინგი და მართვა;
- **სუბიექტები** – წარმოადგენენ მაღალი ინტერესის, თუმცა მცირე გავლენების მქონე დაინტერესებულ მხარეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ მიიჩნევენ მხარდაჭერებად, ისინი განიცდიან გავლენის ნაკლებობას, თუმცა აქვთ პოტენციალი, რომ მოიპოვონ გავლენა სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ალიანსების შექმნით. ხშირად სწორედ მსგავსი დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ იმ მოწყვლად ჯგუფებს, რომლებსაც განვითარების პროექტები აძლიერებენ;
- **გარე მოთამაშეები** – წარმოადგენენ დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც აქვს მცირე ინტერესი და გავლენა პროცესზე სასურველი შედეგების მიღწევის კუთხით, რის გამოც ნაკლებად არის საჭირო, რომ მოხდეს მათი ღრმა პროცესებში გათვალისწინება და ჩართვა. ინტერესი და გავლენა, როგორც წესი, იცვლება დროთა განმავლობაში, რაც გასათვალისწინებელია მსგავსი ქსელის კვლევისას (Reed et al., 2009).

სასარგებლო ბმულები: ქსელის ანალიზისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი პროგრამები

NodeXL

<https://nodexl.codeplex.com/> (NodeXL Basic is a free, open-source template for Microsoft Excel). Tutorial: <https://www.youtube.com/watch?v=zEgruOITHw>

Graphviz

<http://www.graphviz.org/about/> (Graphviz is an open source graph visualization software. Graph visualization is a way of representing structural information as diagrams of abstract graphs and networks). Tutorial <https://www.youtube.com/watch?v=JXfobuvyFOA>

igraph package for R/RStudio

<https://igraph.org/r/> (igraph is an open source and free collection of network analysis tools. igraph can be programmed in R). Tutorial <https://kateto.net/networks-r-igraph>

მომავლის კვლევები (მდგრადობის კონტექსტში)

არსებობს არა ერთი, არამედ მრავალი შესაძლო მომავალი (Sardar 2010).

დღევანდელი სამყარო სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და კულტურული გარდაქმნების წინაშე დგას. იმის გასაგებად, თუ როგორ შეიძლება ამ შესაძლო ცვლილებების გათვალისწინება მდგრადობის მისაღწევად, მნიშვნელოვანია ჩვენთვის სასურველი “სამყაროს მომავლის” კონცეპტუალიზაცია.

”მომავლის წინასწარმეტყველება შეუძლებელია, მაგრამ მუდამ შესაძლებელია ალტერნატიული მომავლის პროგნოზირება და სასურველი მომავლის წარმოდგენა და შექმნა”, ნათქვამია დატორის მომავლის პირველ კანონში (Dator, 1996).

ჩვენი ცოდნა და უნარ-ჩვევები, ისევე როგორც დღევანდელი მსოფლიოს შესახებ არსებული ცოდნა, დაგვეხმარება ჩვენი სისტემების პოტენციური სამომავლო მდგომარეობის ხედვებისა და სცენარების შექმნაში. **მომავლის** შესწავლა და შესაძლო სცენარების შემუშავება გულისხმობს არა მხოლოდ ამჟამინდელ მომენტზე (**ანწყობა**) ფოკუსირებას, არამედ იმ პროცესების გათვალისწინებას, რომელიც მანამდე მოხდა და ჩამოაყალიბა მსოფლიოს დღევანდელი მდგომარეობა (**წარსული**) (Sardar, 2010).

სარდარი (2010) მომავალ ჭვრეტას შემდეგნაირად აღწერს:

- ხალხის ალქმის შეცვლა;
- ხალხისათვის საფრთხეებსა და შესაძლებლობებზე ინფორმაციის მიწოდება;
- ხალხის მოტივაცია მოქმედებებისკენ;
- ხალხის ნახალისება გამოგონებებისა და ინოვაციებისათვის;
- ხალხში კოლექტიური ქმედების მოტივაციის აღძვრა;
- ხალხში შიშის გაღვივება;
- ხალხის გაძლიერება;
- ხალხის მარგინალიზაცია;
- გარკვეული კულტურების/რწმენის სისტემების (არა)მნიშვნელოვნად გამოცხადება.

მომავალზე ფიქრისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, თუ როგორ მომავალს წარმოვიდგინოთ წარმოსახვაში:

- **შესაძლო მომავალი** ფართო კონცეფციაა და მისი წარმოდგენა შესაძლებელია კითხვის დასმით – რა შეიძლება მოხდეს?
- **სავარაუდო მომავალი** ზღუდავს მოვლენების სავარაუდო შემობრუნების შესაძლებლობებს (ჩვეულებრივ, წინა გამოცდილებასა და ამჟამინდელ ტენდენციებზე დაყრდნობით) – რა მოხდება?
- **სასურველი მომავალი** ითვალისწინებს სურვილებსა და პრეფერენციებს – რა გვიჩვენია, რომ მოხდეს? (ვინ ვართ ”ჩვენ” და ვისი პრეფერენციები უნდა გავითვალისწინოთ, ეს დამოკიდებულია სიტუაციაზე, სისტემის საზღვრებზე და / ან საკვლევ საკითხებზე – ეს შეიძლება იყვნენ თავად მკვლევრები, კვლევის მონაწილეები, დაინტერესებული მხარეები ან ზოგადი მოსახლეობა) (Bell, 2017).

* ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს, ვიფიქროთ „არასასურველ” მომავალზე – რა არ გვინდა, რომ მოხდეს? (მაგ., მიწის დეგრადაცია, კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა). ეს შეიძლება დაგვეხმაროს იმის დადგენაში, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ამის თავიდან ასაცილებლად.

უნდა შემუშავდეს მომავლის ალტერნატიული ხედვები სასურველი (ან უკეთესი) მომავლის კონცეპტუალიზაციის მიზნით.

„მომავლის კვლევები ქმნის ალტერნატიულ მომავლებს ძირითადი ვარაუდების ეჭვქვეშ დაყენებით. მომავლის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებით, საკითხების ანალიზისა და სცენარების გამოჩენის მიზანია ახლანდელი მდგომარეობიდან გადასვლა ახალი მომავლის შესაძლებლობის შექმნაზე“ (Inayatullah, 2013).

მომავლის კონცეპტუალიზაციისა და დიზაინის ერთ-ერთი მეთოდი არის **სცენარის შემუშავება**.

რეკომენდებული მასალები:

Inayatullah, S., 2013. "Futures studies: theories and methods." There's a future: Visions for a Better World, BBVA, Madrid [online] ხელმისაწვდომია: https://www.bbvaopenmind.com/wp-content/uploads/2013/01/BBVA-OpenMind-Book-There-is-a-Future_Visions-for-a-Better-World-1.pdf

Riialand, A., and Wold, K. E., 2009. Future Studies, Foresight and Scenarios as basis for better strategic decisions. Trondheim, [online] ხელმისაწვდომია: http://www.forschungsnetzwerk.at/downloadpub/IGLO_WP2009-10_Scenarios.pdf

სცენარის შემუშავება

სცენარი, ჩემი გადმოსახედიდან, არის ყველაზე ძლიერი საშუალება მსოფლიოზე ჩვენი "გონებრივი მოდელის" მოსახმობად და იმ შემთხვევებში გარემოებების დასაძლევად, რაც ზღუდავს ჩვენს შემოქმედებასა და უნარ-ჩვევებს. (Schwartz, 1991).

სცენარების კონცეფცია მომდინარეობს კინემატოგრაფიული ლექსიკიდან (როგორც სცენარის ან სკრიპტის სინონიმი). არსებობს "სცენარის" სხვადასხვა განმარტება და ინტერპრეტაცია, მაგრამ ტრანსდისციპლინური კვლევის მიზნებისათვის ისინი შეიძლება გავიგოთ, როგორც სტრუქტურულად განსხვავებული ისტორიები იმის შესახებ, თუ როგორი შეიძლება იყოს მომავალი (Riialand and Wold, 2009).



ინაიათულაჰის (Inayatullah, S., 2013) მიხედვით, „სცენარები ხსნიან აწმყოს, შემოსაზღვრავენ გაურკვევლობის სპექტრს, ამცირებენ რისკს, გვთა-

ვაზობენ ალტერნატივებს, ქმნიან უფრო მოქნილ ორგანიზაციულ აზროვნებას და, მეტიც, ისინი წინასწარმეტყველებენ“.

სცენარი მიზნად ისახავს:


- გაურკვევლობის გამოვლენასა და მათი მოგვარების დაგეგმვას;
- ცოდნის ინტეგრაციას (მაგ. სამეცნიერო და ადგილობრივი ცოდნა);
- გაგების პროცესის ინიციირებას;
- ახალი მიდგომებისა და გზების მიმართ ღიაობის სტიმულირებას (Braito and Penker, 2019)

რიალანდი და უოლდი (Riialand and Wold, 2009) აღნიშნავენ, რომ სამომავლო სცენარის საფუძვლები გაურკვევლობებთან არის დაკავშირებული.



რებული. ნახ. 4.14-ზე ნაჩვენებია თეორიული მოდელი/სქემა სცენარის შექმნისა, როგორც მომავლის პროგნოზისა, რომელიც ასახავს გაურკვევლობის დიდ მასშტაბს სამომავლო განვითარებაში, დღევანდლობასთან შედარებით.

ნახაზი 4.14 სცენარი, როგორც მომავლის პროექტირება.



წყარო: Riialand and Wold, 2009

სცენარები საკმაოდაა ინტეგრირებული ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, როგორცაა პოლიტიკა, მენეჯმენტი, განათლება და მეცნიერება და ა.შ. (იხ. ნახ. 4.15). მათი შემუშავება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მასშტაბის ობიექტისათვის, მცირე ზომის საქმიდან (მაგალითად, ბიზნესი, ორგანი-

ზაცია) დაწყებული, ქვეყნებით ან საერთაშორისო კავშირებით დამთავრებული (Williams and Hummelbrunner, 2010). სცენარის დაგეგმვა სასარგებლო იარაღია ინოვაციების, ახალი საგანმანათლებლო და კვლევითი მეთოდებისა და რეგიონული განვითარების სტრატეგიებისთვის (Edgar et al., 2013).

ნახაზი 4.15 სცენარების გამოყენების სფეროები



წყარო: Bradfield et al., 2005

სცენარის შემუშავების ტექნიკა მიმართულია სამომავლო სიტუაციების განვითარებისა და ამ სამიზნე სიტუაციის მიღწევის გზების აღწერაზე. ის მიზნად ისახავს სისტემური ანალიზის საფუძველზე სხვადასხვა სცენარის შექმნას. შედეგი შეიძლება იყოს 1-2 საუკეთესო და ყველაზე ცუდი სცენარი. სულ

მცირე, ერთი სცენარი მაინც უნდა განისაზღვროს ამ პროცესში. სცენარები ლოგიკურად უნდა იყოს სტრუქტურირებული, რათა შესაძლებელი გახდეს გადაწყვეტილებების მიღება სამომავლო დაგეგმვისთვის. ნახ. 4.16 წარმოგვიდგენს სცენარის შემუშავების ნაბიჯებს.

ნახაზი 4.16 სცენარის შემუშავებისა და შეფასების პროცესი



წყარო: Braito and Penker (2019)

ცხრილი 4.3 განსაზღვრავს სცენარის შემუშავების ძირითად ფაზებს, აგრეთვე მის მეთოდებსა და სახელმძღვანელო კითხვებს.

ცხრილი 4.3 სცენარის შემუშავების ძირითადი ფაზები, მეთოდები და სახელმძღვანელო კითხვები

საფეხური / ფაზა	1	2	3	4	5
მიზანი	საზღვრების დადგენა და ფოკუსის განსაზღვრა	ძირითადი ფაქტორების ან მამოძრავებელი ძალების იდენტიფიცირება, რამაც გამოიწვია სისტემის ამჟამინდელი მდგომარეობა (მაქსიმუმ 10-15 მამოძრავებელი ძალა); (Edgar et al., 2013: 106)	მამოძრავებელი ძალების ანალიზი და გაფილტვრა, სისტემის მომავალი მდგომარეობის გავლენის რანჟირება (ძალების რაოდენობა უნდა შემცირდეს 12-მდე)	სცენარის ლოგიკის შემუშავება და იდეების გადახედვა	შეტყობინების გავრცელება და განხორციელება
მეთოდები	გონებრივი იერიში (Brain Storming)	გონებრივი იერიში, გონებრივი წერა, მსოფლიო კაფე	4 მატრიცის განზომილება (სურათი 2) (ჰორიზონტალური ხაზი – მაღალი და დაბალი გავლენა, ვერტიკალური ხაზი – მაღალი და დაბალი გავრცელება)	ამბის თხრობა: -სათაური (ძირითადი შეტყობინებით) -მარტივად გასაგები თხრობა -დიაგრამები, რუკები	გადაცემა (დანჯრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ Inayatullah, 2013: 58
სახელმძღვანელო კითხვები	კონკრეტულად რა საკითხია, რა თემაა, რა პრობლემაა მოსაგვარებელი? როგორ უნდა განისაზღვროს სცენარის დარგი? რა უნდა იყოს ინტეგრირებული? ვინ არიან ძირითადი დაინტერესებული მხარეები? რა არის დროის ვადები?	რომელი ფაქტორები ახდენენ გავლენას ანმყოფე და შეიძლება გავლენა იქონიონ სცენარის მიზნის განვითარებაზე? რა არის ძირითადი ფაქტორები ან მამოძრავებელი ძალები (სოციალური, გარემოსდაცვითი, პოლიტიკური, ტექნიკური), რამაც გამოიწვია სისტემის დღევანდელი მდგომარეობა?	რა ინვეს ცვლილებებს? რა წარმოადგენს სამომავლოდ გაურკვეველობებს?	რა სახის შემოქმედება იქნება? (სურათი 2) რა არის ოთხი შესაძლო და სარწმუნო მომავალი?	რა საფრთხეები და შესაძლებლობები შეეხება ჩვენს სფეროს, თუკი სცენარი 1 ან 2 მოხდება? რომელი სტრატეგია და მოქმედებები უნდა განვახორციელოთ, თუკი სცენარი 1 ან 2 მოხდება? რა მიმართულებით უნდა ვაკონტროლოთ სცენარი 1 ან 2, ანუ რომელი ნიშნები დაგვეზმარება ჩვენი სტრატეგიის ორიენტირებაში?
მნიშვნელოვანია იცოდე	სცენარის დაგეგმვა უნდა მოიცავდეს შემდეგს: 1.თემატური ჩარჩო, 2. სცენარების დროითი დიაპაზონი, 3. სცენარების გეოგრაფიული არეალი, 4. პროექტივით გათვალისწინებული დაინტერესებული მხარეები, 5. სამომავლო გეგმების გარდაუვალი შეზღუდვები და 6. საბოლოო შედეგების მიწოდება და განმარტება.	მამოძრავებელი ძალები არ წარმოადგენს პრობლემებს; მამოძრავებელი ძალები არის სისტემის ატრიბუტები, რომლებიც ამჟამად ყველაზე აქტუალურია და დროთა განმავლობაში სისტემის მდგომარეობაში ცვლილებებს იწვევს (მაგ., სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, პოლიტიკური და ტექნოლოგიური); მამოძრავებელი ძალები მიუთითებენ ცვლილებებზე, მაგრამ არ განსაზღვრავენ მიმართულებას ან განზომილებას.	ჩვენ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ რაღაც მოხდება (მაგ. კლიმატის ცვლილება), მაგრამ არ ვიყოთ დარწმუნებული, თუ რა გავლენას მოახდენს ეს მოვლენა	შეარჩიეთ ორი ფაქტორი (A და B), რომლებიც აერთიანებს ყველაზე მნიშვნელოვან შესაბამისობას არსებულ საკითხთან და უდიდეს გავრცელებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენას იქონიებს მათზე; თითოეული ამბავი აღწერს, თუ როგორ ჩნდება მომავლის სცენარი დღევანდელი სიტუაციიდან მიზეზშედეგობრივი ევოლუციით.	შეცადეთ შემოგვთავაზოთ წინადადებები, თუ რა აქტივობები ან ზომები უნდა იქნას მიღებული სასურველი სცენარის მისაღწევად?

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ

შემოთავაზებული სასწავლო დავალება

თემა: სცენარის განვითარება
სავარჯიშოს სახელი: სცენარის შემუშავება
საფენმავლო ტურისთვის

ინსტრუქცია: დაყავით სტუდენტები 4-5 პატარა ჯგუფად მათი ინტერესების გათვალისწინებით (თუ სტუდენტების გუნდი დიდია, ორ ან მეტ ჯგუფს შეუძლია იმუშაოს ერთსა და იმავე სცენარზე). დაგეგმეთ მთაზე ასვლა ჯგუფთან ერთად: მაგალითისათვის თქვენს ქვეყანაში შეგიძლიათ აირჩიოთ 2 მთიანი რეგიონი.

შეადგინეთ როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური სცენარები და მიიღეთ რჩევა თქვენი ჯგუფისგან.

სცენარი 1: ყველაზე ცუდი ამინდის მაგალითი (მაგ. თოვლი, ძლიერი ნვიმა, სეტყვა, ელვა და ა.შ.).

სცენარი 2: საუკეთესო ამინდის მაგალითი (მზე, უქარო ამინდი და ა.შ.).

შექმენით შესაძლო სცენარები ბუნებრივი საფრთხეების გათვალისწინებით (მაგ. მენყერი, კლდის ჩამოშლა, ზვავი და ა.შ.), ცხოველები, მცენარეები, მონყობილობები და ა.შ.

გამოიყენეთ სხვადასხვა საშუალება სცენარის პროცესის საჩვენებლად (მაგ. რუკების შედგენის მეთოდი).

სწავლის შედეგები:

- სცენარის პროცესის შემუშავება და განვითარება;
- კომპლექსური სისტემებისა და სისტემის საზღვრებში ურთიერთდაკავშირებული;
- მახასიათებლების გააზრება შესაძლო სამომავლო სცენარების წარმოდგენა.

თავი III.

შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური კურსის განხორციელება



5 შემთხვევის შესწავლის კურსის ინტეგრაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურიკულუმში

წარმოდგენილი თავის მიზანია, მიმოიხილოს შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური კურსის ორგანიზების საკითხები, სწავლებისა და კვლევის ჩათვლით, იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელთაც მცირე გამოცდილება აქვთ ტრანსდისციპლინური მიდგომების გამოყენების სფეროში ან, საერთოდ, არ აქვთ ასეთი გამოცდილება. ის ემყარება 2018-2020 წლებში სსპუ და თსუ პედაგოგების მიღებულ გამოცდილებას ტრანსდისციპლინური სავსე სასწავლო კურსების განხორციელებისას.

კურსს ტრანსდისციპლინურს ვუნოდებთ, თუ:

- ის შემუშავებულია არაკადემიურ აქტორებთან (შემთხვევის აქტორები, დაინტერესებული მხარეები, გარე ექსპერტები) თანამშრომლობით,
- ის მიზნად ისახავს საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას,
- მას ასწავლიან სხვადასხვა დისციპლინისა და უნივერსიტეტის დეპარტამენტების წარმომადგენლები,
- მასში მონაწილეობენ განსხვავებული სასწავლო პროგრამებისა და მიმართულებების სტუდენტები,
- ის მოიცავს მჭიდრო თანამშრომლობას პედაგოგებს, სტუდენტებსა და შემთხვევის აქტორებს შორის და მათ შორის ცოდნის ინტეგრაციას.

სხვა მაგალითები შეიძლება მოიცავდეს უწყებათაშორის კვლევით პროექტებს ან ტრანსდისციპლინურ კვლევით პროექტებს, რომელშიც ჩართული იქნება რამდენიმე უნივერსიტეტი, რაც ხელს შეუწყობს ტრანსდისციპლინურ თანამშრომლობას როგორც ცალკეული უნივერსიტეტების დეპარტამენტებს შორის, ასევე თავად აკადემიურ ინსტიტუტებს შორის.



რეკომენდებული მასალები:

ქვემოთ მოყვანილი სტატიები იძლევიან ტრანსდისციპლინური პრაქტიკებით უნივერსიტეტების გაძლიერებისა და სტუდენტების ჩართვის საინტერესო მაგალითებს არაკადემიურ აქტორებთან ერთად ახალი ცოდნის შექმნის სფეროში:

König, A., 2015. Changing requisites to universities in the 21st century: organizing for transformative sustainability science for systemic change. *Current Opinion in Environmental Sustainability* 16, 105–111. <http://dx.doi.org/10.1016/j.cosust.2015.08.011>

Rosenberg Daneri, D., Trencher, G., Petersen, J., 2015. Students as change agents in a town-wide sustainability transformation: the Oberlin Project at Oberlin College. *Current Opinion in Environmental Sustainability* 16, 14–21. <http://dx.doi.org/10.1016/j.cosust.2015.07.005>

Trencher, G., Terada, T., Yarime, M., 2015. Student participation in the co-creation of knowledge and social experiments for advancing sustainability: experiences from the University of Tokyo. *Current Opinion in Environmental Sustainability* 16, 56–63. <http://dx.doi.org/10.1016/j.cosust.2015.08.001>

სასარგებლო ბმულები:

აქ მოცემულია ჟურნალის სრული ნომერი, რომელიც მდგრადობის მეცნიერებას ეხება. მისი ჩამოტვირთვა შეიძლება:

<https://www.sciencedirect.com/journal/current-opinion-in-environmental-sustainability/vol/16/suppl/C>

ტრანსდისციპლინური კურსის საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამაში/კურიკულუმში ინტეგრირების რამდენიმე ვარიანტი შეიძლება განვიხილოთ:

1. ახალი პროგრამებისა და კურსების შემუშავება და განხორციელება;
2. არსებული პროგრამებისა და კურსების მოდიფიკაცია;
3. შიბრიდული ვარიანტი – ახალი კურსის შექმნა და განხორციელება (მაგალითად, სავსე პრაქტიკა), რომელიც უკავშირდება და ავსებს უკვე არსებულ კურსებს სილაბუსებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით.

ნებისმიერ შემთხვევაში, ყველაზე შესაფერისი ვარიანტი შეიძლება შეირჩეს უნივერსიტეტის წესებისა და პროცედურების გათვალისწინებით.

CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

ახალი კურსები არჩევითი უნდა იყოს თუ სავალდებულო?

რჩევა სსპუ-სგან: სსპუ-ში ახლად დამატებული კურსები, რომელთა ხანგრძლივობა ერთი სემესტრია, არჩევითია.

რჩევა თსუ-სგან: ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, კურსი შეიძლება იყოს როგორც არჩევითი, ასევე სავალდებულო. ეს დამოკიდებულია სასწავლო გეგმასა და იმაზე, თუ როგორ ნაწილდება კრედიტები სემესტრების მიხედვით. კურსისათვის არჩევითი სტატუსის მინიჭება აძლევს სხვადასხვა პროგრამაში ჩართულ სტუდენტებს მასში ჩართვის შესაძლებლობას.

გასათვალისწინებელი კითხვები მოიცავს:

- რომელი პროგრამები და კურსებია ხელმისაწვდომი უნივერსიტეტში?
- არსებობს მოქმედი ინტერდისციპლინური კურსების, პროექტებისა და პროგრამების მაგალითები?
- არსებობს მოქმედი ტრანსდისციპლინური კურსების, პროექტებისა და პროგრამების მაგალითები?
- რომელი სავალდებულო და სხვა პრაქტიკული გამოცდილების შექმნა ინტეგრირებული მიმდინარე სასწავლო გეგმაში? რა შესაძლებლობები არსებობს ამ საქმიანობებში ინტერ- და ტრანსდისციპლინური მიდგომების ინტეგრირებისთვის?
- რა წესები და ბარიერები არსებობს ახალი კურსების შემუშავებისა და სასწავლო გეგმაში ინტეგრირებისთვის?
- რა არის ინტერდისციპლინური სწავლების შესაძლებლობები და ბარიერები? მათ შორის, რამდენადაა შესაძლებელი:
 - პედაგოგების ან/და სტუდენტების მოზიდვა სხვადასხვა სფეროდან და დეპარტამენტიდან ერთსა და იმავე კურსებში მონაწილეობის მისაღებად, ან
 - სხვადასხვა დეპარტამენტის პედაგოგების მიერ სტუდენტების თანახმდღვანელობა?
- რომელი გადაწყვეტილების მიმღები პირები უნდა ჩაერთონ ახალი კურსის შემუშავებასა და

ინტეგრაციაში – ან უკვე არსებულ კურსებში ინტერ- და ტრანსდისციპლინური მიდგომების ინტეგრირებაში?

- რა შესაძლებლობებია იმისათვის, რომ მოხდეს პრაქტიკოსი ექსპერტებისა და დაინტერესებული მხარეების ინტეგრირება სწავლებაში და პრაქტიკაში?
- რა მოსამზადებელი მასალაა საჭირო მსგავსი ტრანსდისციპლინური კურსის (წყაროები, სივრცე, სასწავლო შესაძლებლობები) განხორციელებისათვის? რა სახის ქმედებებია საჭირო მათ უზრუნველსაყოფად და, ასევე, რამდენად არის ხელმისაწვდომი ფინანსური და ადამიანური რესურსები ამ მიზნის მიღწევისათვის?
- რა გამოცდილება აქვთ სხვა უნივერსიტეტებს ახალი კურსების შემუშავებასა და დაწერვაში, რომლის გათვალისწინებაც შესაძლებელია?

CaucaSusT პროექტის გამოცდილება

შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური კურსის ინტეგრირება უნივერსიტეტის სასწავლო გეგმაში:

სსპუ-ში გაიმართა ფართო დისკუსიები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, პედაგოგებთან და განყოფილების ხელმძღვანელებთან. ამ შეხვედრების საფუძველზე მიღებულია გადაწყვეტილება:

- ახალი არჩევითი კურსის შექმნა, რომელიც მოიცავს შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინურ მიდგომას,
- ზოგადი ხასიათის საგნის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება მდგრადი განვითარების პრინციპებზე როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სასწავლო საფეხურებისათვის.

ახალი არჩევითი კურსი მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილებს და ხელმისაწვდომია იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც წარმოადგენენ მდგრადი განვითარებისა და ეკოლოგიის, ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის დეპარტამენტებს. ახალი კურსის სწავლებაში მონაწილეობენ რამდენიმე კათედრის, მათ შორის მდგრადი განვითარებისა და ეკოლოგიის, ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიისა და ისტორიის პედაგოგები.

CaucaSusT პროექტის დასაწყისში, სსპუ-ში, კიდევ ერთი პროექტის ფარგლებში, შეიქმნა ახალი სამაგისტრო მიმართულება – ლანდშაფტის დაგეგმვა და დიზაინი. ამ ცვლილებამ ხელი შეუწყო CaucaSusT

პარტნიორების მიერ წარმოდგენილი შინაარსის ინტეგრირებას სსპუ სასწავლო გეგმაში, ასევე მჭიდრო თანამშრომლობას უნივერსიტეტის დეპარტამენტებსა და ფაკულტეტებს შორის.

საყურადღებოა, რომ CaucaSusT პროექტის მეორე წლის განმავლობაში, სსპუ დეპარტამენტმა “გეოგრაფია და მისი სწავლების მეთოდები”, სტუდენტების საჭიროებებისა და ინტერესის გათვალისწინებით, უფრო მეტად გაამახვილა ყურადღება მდგრად ტურიზმზე.

რამდენიმე ახალი კურსი დაემატა სსპუ სასწავლო პროგრამას:

1. „ტურისტული რესურსების შეფასება მდგრადი განვითარების კონტექსტში“ (2 კრედიტი);
2. „ბუნებისა და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები“ (2 კრედიტი);
3. „ეკოტურიზმი“ (2 კრედიტი);
4. „მთიან რეგიონებში რესურსების მენეჯმენტი და მმართველობა“ (2 კრედიტი).

ახალი კურსი „ტურისტული რესურსების შეფასება მდგრადი განვითარების კონტექსტში“ და მისი სწავლების მეთოდები დაინერგა გეოგრაფიის დეპარტამენტში.

ლანდშაფტის დაგეგმვისა და დიზაინის ახლად დაარსებულ სამაგისტრო პროგრამაში დაიწყო ორი სავალდებულო კურსის შეთავაზება: „**ბუნებრივი და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები**“ და „**ეკოტურიზმი**“. კურსები შეიმუშავეს და მათ ერთობლივად ასწავლიან სხვადასხვა სპეციალობის პროფესორები: გეოგრაფები, ისტორიკოსები, სოციოლოგები და ბიოლოგები.

ყველა ახალი კურსი ფოკუსირდება პროექტის ფარგლებში შერჩეული საკვლევ რეგიონების მაგალითებზე, რათა უზრუნველყოს სტუდენტების მომზადება სავალდებულო კომპონენტისთვის – შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური კურსისთვის. ამ კურსების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია I დანართში.

თსუ-ში სასწავლო კურსი ოთხ აკადემიურ ერთეულს შორის მჭიდრო ურთიერთქმედებისა და თა-

ნამშრომლობის შედეგად შემუშავდა; ეს ერთეულებია: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი და ამავე ფაკულტეტის გენდერული კვლევების ინსტიტუტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის კათედრა და ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის ლანდშაფტის კვლევების დეპარტამენტი.

თსუ-მ გადამწყვიტა რამდენიმე არსებულ სასწავლო პროგრამაში მოდიფიკაციის განხორციელება და შექმნა ახალი ერთობლივი სავალდებულო პრაქტიკა. შეიცვალა ექვსი არსებული სასწავლო კურსი სამ სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამაში, სადაც ყურადღება გამახვილებულია ტრანსდისციპლინურობაზე, ტურიზმის მდგრად განვითარებასა და შესაბამის კვლევის მეთოდებზე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შეიტანეს შემდეგი ცვლილებები: 1) არსებულ კურსში ”ტურიზმის პოლიტიკა”, რომელიც არის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსი, მენეჯმენტის დეპარტამენტმა ტრანსდისციპლინურობასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირება მოახდინა ლექციებსა და პრაქტიკულ სამუშაოებში, კურსის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად; 2) დეპარტამენტმა ასევე შეიმუშავა ახალი კურსი – „მდგრადი ტურიზმის განვითარება“. კურსის შინაარსის მიხედვით, სტუდენტებს საშუალება ექნებათ, მიიღონ სრულყოფილი ცოდნა მდგრადობის კონცეფციისა და ტრანსდისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებით.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტმა ცვლილებები შეიტანა არსებულ სამ კურსში: 1. „ტურიზმი და რეკრეაციული რესურსები“, 2. „მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება“ და 3. „ლანდშაფტის მენეჯმენტი“.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებამ შეიტანა ცვლილებები ორ არსებულ კურსში: 1. „ევროპის ტურიზმის გეოგრაფია“ და 2. „ტურიზმის მარკეტინგის საფუძვლები“.

ამასთან ერთად, სამივე სამაგისტრო პროგრამამ შეცვალა სასწავლო პროგრამა და დაამატა ახალი კურსი სტუდენტთა სავალდებულო პრაქტიკის (შემთხვევის შესწავლის) ფორმით, 5 ECTS კრედიტის ღირებულებით. ყველა ეს შესწორება დამტკიცებულია თსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტების აკადემიური საბჭოებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის მიერ.

**CaucaSusT პროექტის გამოცდილება –
შემოთავაზებული სწავლების შედეგები
ტრანსდისციპლინური საველე სასწავლო
კურსისთვის:**

- ✓ სტუდენტს შეუძლია გააცნობიეროს შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური ასპექტები და მისი კომპლექსურობა;
- ✓ სტუდენტს შეუძლია ლიტერატურის სიღრმისეული მიმოხილვისათვის შეარჩიოს შესაბამისი სამეცნიერო მასალა;
- ✓ სტუდენტი აცნობიერებს რეალურად არსებულ საკითხებს და შეუძლია ამ თემებსა და თეორიულ ინფორმაციას შორის პირდაპირი კავშირის დანახვა;
- ✓ სტუდენტს შეუძლია გუნდურად იმუშაოს, ჩართოს დისკუსიებში, რეფლექსიებსა და ჯგუფურ მუშაობაში;
- ✓ სტუდენტს შეუძლია საკვლევ საკითხებზე ითანამშრომლოს საზოგადოების დაინტერესებულ მხარეებთან და უზრუნველყოს მათი პერსპექტივების ინტეგრირება შემთხვევის შესწავლის პროცესში;
- ✓ სტუდენტს შეუძლია გააანალიზოს შემთხვევის შესწავლის არეალის გამოწვევები და გარემოებები;

- ✓ სტუდენტს შეუძლია შეაგროვოს და შეაფასოს ინფორმაცია შემთხვევის შესწავლის მიზნების შესაბამისად;
- ✓ სტუდენტს შეუძლია ფაქტების ინტერპრეტაცია;
- ✓ სტუდენტს შეუძლია მოახდინოს რეკომენდაციების ფორმულირება და შეიმუშაოს შესაძლო ალტერნატიული გადაწყვეტილებები;
- ✓ სტუდენტს შეუძლია წარმოადგინოს საუკეთესო პრაქტიკები და მათი განხორციელების შესაძლებლობები შემთხვევის შესწავლის ადგილზე;
- ✓ სტუდენტს შეუძლია გამოავლინოს კრეატიულობა და შესთავაზოს სამომავლო განვითარების გადაწყვეტილებები საკუთარი იდეების საფუძველზე;
- ✓ სტუდენტს შეუძლია წარმოადგინოს შემთხვევის ტრანსდისციპლინური შესწავლის შედეგები სამეცნიერო და არასამეცნიერო აუდიტორიისთვის;
- ✓ სტუდენტს შეუძლია, სწავლების დასრულების შემდეგ, შეიმუშაოს საბოლოო ანგარიშის სტრუქტურა, ფორმა, შინაარსი და წარმოადგინოს წერილობითი ფორმით.

6 შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური კურსის განხორციელება

ჩვენი მოსაზრებით, გასათვალისწინებელია შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური კურსის განხორციელების რამდენიმე ეტაპი, რომელიც დაეფუძნება როგორც ლიტერატურაში მოძიებულ მაგალითებს (Steiner and Posch, 2006), ასევე CaucSusT პროექტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ გამოცდილებას. ნახ. 6.1-ში წარმოდგენილია სამი

ფაზის შეჯამება: 1) მომზადება – შემთხვევის შესწავლის წამოწყება; 2) საველე სამუშაო; 3) ნაშრომის შექმნა და დოკუმენტირება და თითოეული ეტაპის დეტალური აღწერა, რომელსაც თან ერთვის ჩვენი პროექტის პრაქტიკული რჩევები, სომხეთსა და საქართველოში აკადემიური კურსების განხორციელების გამოცდილების საფუძველზე.

ნახაზი 6.1 კერძო შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური კურსის სამი ფაზა, შედგენილია ავტორების მიერ Scholz, R.W. and Tietje, O. (2002)–ის საფუძველზე.

ფაზა 1: მომზადება – შემთხვევის შესწავლის წამოწყება	ფაზა 2: საველე სამუშაო	ფაზა 3: შემუშავება და დოკუმენტირება
<ul style="list-style-type: none"> • შემთხვევის/მოსახლეობის შერჩევა (T) • დაინტერესებულ მხარეებთან საკომუნიკაციო ქსელის ჩამოყალიბება (T) • მონაცემთა შეგროვება (T, T+S) და საჭიროებების ანალიზი (T, T+S+SH) • წინასწარი სახელმძღვანელო კითხვების იდენტიფიცირება (T, T+S+SH) • პედაგოგების გუნდის საბოლოო შემადგენლობა • სტუდენტების შერჩევა • მოსამზადებელი სასწავლო კურსი • ჯგუფური მუშაობის ორგანიზება • ორგანიზაციული საკითხები • მედიასთან ურთიერთობა 	<ul style="list-style-type: none"> • შემთხვევასთან პირისპირ აღმოჩენა • მონაცემთა შეგროვება (T+S+SH) და ანალიზი (T+S) • დამატებითი თეორიული ცნობები (T+S) • სცენარის შემუშავება და შეფასება (T+S+SH) • მოსწავლეები მუშაობენ თემატურ და შერეულ ჯგუფებში • დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა • პედაგოგები მოქმედებენ, როგორც ხელმძღვანელები და ფასილიტატორები • შუალედური პრეზენტაციები • შემოთავაზებული გადაწყვეტილებების განმარტება და შეფასება (პროექტების განხორციელება) • დასკვნითი საჯარო პრეზენტაციები და დისკუსიები საზოგადოებასთან 	<ul style="list-style-type: none"> • შეფასება (T+S) • სინთეზი / სტუდენტური ანგარიში (T+S+SH) • შემდგომი სამეცნიერო მუშაობა (T+S) • შერჩეული რეკომენდაციის დაგეგმვა და განხორციელება (T+S+SH) • შემდგომი პროექტების შემუშავება (T+S+SH)

წყარო: შედგენილია ავტორების მიერ Scholz and Tietje (2002)–ის საფუძველზე.

ფაზა 1. მომზადება – შემთხვევის შესწავლის წამოწყება

შემთხვევის/დასახლების (თემის) შერჩევა

შემთხვევის შერჩევის პროცესში უნდა მოხდეს რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინება, მათ შორის:

- გარკვეული საზოგადოებრივი გამოწვევების (მაგალითად, მდგრადი ტურიზმის განვითარება, ინფრასტრუქტურის დაგეგმვა, კლიმატის ცვლილების ადაპტაცია და ა.შ.) გა-

დაჭრის ამკარა საჭიროება კონკრეტულ თემში/რეგიონში;

- მთავარი აქტორების / დაინტერესებული მხარეების მოტივირება, რომ ითანამშრომლონ უნივერსიტეტის სტუდენტებთან და პედაგოგებთან შერჩეული პრობლემის გადასაჭრელად; ადგილობრივი აქტორების მიერ შერჩეული პრობლემის რელევანტური აღქმა და მათი მხრიდან ჩართულობისა და საკუთარი როლის აღიარება;
- შერჩეული საკითხის მოგვარების შესაძლებლობა, კურსის ხანგრძლივობის,

კურსის ხანგრძლივობის, შემთხვევის შესწავლის ადგილის უნივერსიტეტიდან სიშორისა და ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსების გათვალისწინებით;

- შემთხვევის შესწავლის ადგილას უნივერსიტეტის გუნდის განთავსებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა.

CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

პირადი და პროფესიული კავშირები და ურთიერთობები ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან ან აქტორებთან/სტეიკჰოლდერებთან შეიძლება წარმოადგენდეს მნიშვნელოვან აქტივს და შესაძლოა გათვალისწინებული იყოს შესასწავლი შემთხვევის შერჩევის პროცესში. თანამშრომლობის დაწყების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია შესასწავლი არეალის ადმინისტრაციული სტრუქტურებისა და გადაწყვეტილების მიმღებთა ინფორმირება და მათი პროცესში ჩართვა. ადგილობრივი გადაწყვეტილების მიმღებთა მხრიდან მხარდაჭერამ შესაძლოა უშუალოდ შეუწყოს ხელი უნივერსიტეტსა და თემის თანამშრომლობას რეალურ საჭიროებების დადგენაში, ადგილობრივების მიერ კვლევის მნიშვნელობის გათავისებასა და, ასევე, ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.

რჩევა სსპუ-სგან: პირადი კავშირების არსებობამ შეიძლება დახმარება გაუწიოს ნდობის ჩამოყალიბების პროცესს, რათა ადგილობრივმა მხარემ ღიად და დაუფარავად ისაუბროს საკუთარ შეხედულებებსა და პრობლემებზე. ადგილობრივი დასახლების/თემის მერთან კარგი ურთიერთობის არსებობა უზრუნველყოფს მაღალი დონის ადგილობრივ მონაწილეობას და მუნიციპალიტეტის მხარდაჭერას (მონაწილეთა ქსელის შექმნა, დაწესებულებების წარმომადგენლების შეხვედრა და ა.შ.). ამავე დროს, საჭიროა სიფრთხილაც, რადგან ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები თავს იკავებენ არსებულ პრობლემებზე საუბრისგან მერის თანდასწრებით. ამ მხრივ, ადგილობრივი აქტიური ახალგაზრდებით ქსელის დაკომპლექტება (საველე კვლევების დაწყებამდე) შეიძლება ძალიან სასარგებლო იყოს. მარმარიკის თემის შემთხვევის შესწავლის დროს, სსპუ წარმომადგენლებს მხარი დაუჭირეს საზოგადოების აქტიურმა ახალგაზრდებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. სსპუ სტუდენტებისა და ადგილობრივი ახალგაზრდების ძალისხმევის გაერთიანებამ და შესასწავლი დასახლების პოპულარიზაციის მიზნით Facebook ჯგუფებისა და ვებ-გვერდის შექმნამ კომუნიკაცია უფრო მარტივი და ეფექტური გახადა.

დილიჯანში განხორციელებული კვლევისას, უფრო სასარგებლო გამოდგა სსპუ პერსონალის პირადი კონტაქტები ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რომელმაც გამოთქვა სურვილი, რომ გაეზიარებინა მკვლევარებისათვის ხელმისაწვდომი მონაცემები და მონაწილეობა მიეღო ინტერვიუებში. უფრო მეტიც, სსპუ სტუდენტები, რომლებიც წარმოშობით იყვნენ შესასწავლი არეალიდან, მონაწილეობდნენ კვლევით კურსში და მხარს უჭერდნენ პროცესს პირადი კონტაქტებით.

რჩევა თსუ-სგან: სხვადასხვა აქტორთან / სტეიკჰოლდერთან მჭიდრო კონტაქტი ხსნის ახალ შესაძლებლობებს ინფორმაციის ოპერატიული მიმოცვლის ეფექტურობის თვალსაზრისით. მაგალითად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან ძლიერი მხარდაჭერა გვექონდა, შესაბამისად, ეს დაგვეხმარა იმ ღირებული ინფორმაციის მიღებაში, რომელიც გამოყენებულია საველე კვლევის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ მარტივად შეგვეძლო კომუნიკაციის დამყარება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან.

ამის საპირისპიროდ, დაბა ნალვერში, შემთხვევის შესწავლის პროცესში გვექონდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა, თუმცა, ამის მიუხედავად, ჩვენ წარმატებით დავამყარეთ პირადი ურთიერთობები ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებთან და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა ჩვენი საქმიანობის განხორციელება.

დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის დამყარება

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება შემთხვევის შესწავლის ადგილი და შესაბამისი საზოგადოება და გამოხატული იქნება ადგილობრივი აქტორების დაინტერესება, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რა სახის ადგილობრივი ცოდნის ფლობა და ინტეგრირება იქნებოდა სასარგებლო შემთხვევის შესწავლისათვის; ასევე, რომელი დაინტერესებული მხარეები უნდა იყვნენ ჩართულები თავიდანვე შესწავლის დაგეგმვის პროცესში. ასეთ დაინტერესებულ მხარეებთან საჭიროა მჭიდრო კონტაქტის დამყარება.

CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

მნიშვნელოვანია, ადგილობრივმა დაინტერესებულმა მხარეებმა გააცნობიერონ ის შეზღუდვები, რის ფარგლებშიც აქვთ სტუდენტებსა და მას-

წავლებლებს წვლილის შეტანის შესაძლებლობა შემთხვევის შესწავლის პროცესში (მაგალითად, ცოდნა/ექსპერტიზა, რომელიც მასწავლებლებმა და სტუდენტებმა შეიძლება შესთავაზონ, დროითი შეზღუდვები და ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსები). ზოგჯერ შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს საზოგადოების წევრების მკაფიოდ ინფორმირება იმის თაობაზე, არის თუ არა ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსი თემის საჭიროებისათვის, რადგან ზოგიერთ ადგილობრივ მოსახლეს შეიძლება ჰქონდეს ფინანსური მხარდაჭერის მოლოდინი “საერთაშორისო” პროექტებისგან.

მეტიც, ზოგიერთი ადგილობრივი მოსახლე (განსაკუთრებით ცნობილ ტურისტულ რეგიონებში, როგორცაა დილიჯანი სომხეთში ან ყაზბეგი საქართველოში) არ არის ნდობით განწყობილი არასამთავრობო ორგანიზაციების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ. ეს ხშირად განპირობებულია იმავე რეგიონში განხორციელებული სხვა პროექტების უარყოფითი გამოცდილებით და მათი აღქმით, რომ არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციები იყენებენ ადგილობრივ მოსახლეობას საერთაშორისო დონორებისგან ფინანსების მოზიდვის მიზნით, ხოლო მათ სარგებლის მხოლოდ მცირე ნაწილს უზიარებენ. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს იმის გააზრება, თუ რა მხრივ ისარგებლებს ადგილობრივი მოსახლეობა სასწავლო კურსის განხორციელებით, ღიად მოხდეს აღნიშნულზე საუბარი და დისკუსია დაინტერესებულ მხარეებთან და აგრეთვე ერთობლივად განიხილონ და შეაფასონ ის სარგებელი, რაც აღნიშნული კურსის დასრულების შედეგად უნდა მიიღოს მოსახლეობამ.

რჩევა სსპუ-სგან: სსპუ აღმოჩნდა მსგავსი გამოწვევის წინაშე, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა ელოდა ფინანსურ მხარდაჭერას, განსაკუთრებით მარმარიკის შესწავლის დროს. თუმცა ერთობლივი დისკუსიების შემდეგ, რომლის განმავლობაშიც წარმოდგენილი იქნა პროექტის პრინციპები და კვლევის წინასწარი კითხვები, ცხადი გახდა პროექტის ძირითადი მიზანი. უფრო კონკრეტულად, ბენეფიციარებმა შემთხვევის შესწავლის კურსის დასაწყისშივე ნათლად გაიგეს და გააცნობიერეს სსპუ-ს მუშაობის როლი ადგილობრივი საზოგადოებისათვის. ამავდროულად, კურსის საჯაროობის გაზრდა და საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ასევე სსპუ-ს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება აქტიური ადგილობრივი წარმომადგენლებისათვის, დაეხმარა სტიკჰოლდერთა ჯგუფს, მიეღოთ ფინანსური დახმარება სხვადასხვა პრო-

ექტისთვის სახელმწიფო და კერძო დონორებისგან.

დილიჯანის მეორე სასწავლო კურსის შემთხვევაში, საზოგადოების მოლოდინები წინასწარ გაირკვა სსპუ მასწავლებლებთან და სტუდენტებთან თანამშრომლობის გზით და ყურადღება გამახვილდა დილიჯანის ეროვნულ პარკში ეკო-ბილიკის ერთობლივ განხილვაზე. ამან ხელი შეუწყო ეფექტიან და ფოკუსირებულ თანამშრომლობას და ახალი იდეების ერთობლივ გენერირებას.

რჩევა თსუ-სგან: პროექტის მიზნების მისაღწევად ჩვენ ჩამოვაცალიბეთ ფართო ქსელი და თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან (სამთავრობო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციები) სამივე კვლევით არეალში (წაღვერში, ყაზბეგსა და ამბროლაურში). შეხვედრების მომზადება, დაინტერესებული მხარეების ინფორმირება პროექტის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, აგრეთვე იმის გაცნობიერების უზრუნველყოფა, რომ ადგილობრივი აქტორები სარგებელს მიიღებენ ამ პროექტით, წარმოადგენდა რთულ ამოცანას. ამ თვალსაზრისით, ძირითადი რეკომენდაციაა შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის პროექტის ზოგადი მიზნებისა და ამოცანების მკაფიოდ და ეფექტურად ახსნა. წინასწარი შეხვედრების დროს სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, აქცენტი გაკეთდეს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულ საქმიანობებსა და გეგმებზე (მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში).

ჩვენმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ წინასწარი სამუშაოების დროს აუცილებელია, თავიდან ავირიდოთ არასწორი მოლოდინის შექმნა – რაც უფრო გამჭვირვალე იქნება უნივერსიტეტის გუნდი, მით უკეთესი. მაგალითად, დაინტერესებული მხარეები ხშირად წამოჭრიდნენ ხოლმე შეკითხვებს დაფინანსების შესაძლებლობებთან ან ფინანსურ სარგებელთან დაკავშირებით. ამგვარი სიტუაციების გადასაჭრელად თსუ გუნდი მკაფიოდ განსაზღვრავდა ამოცანებს, სტიკჰოლდერებისათვის გასაგები მესიჯის გაგზავნის მიზნით – მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი აქტორებისათვის დემონსტრირება, რომ პროექტი ფოკუსირებული იქნებოდა პრობლემების იდენტიფიცირებაზე და ადგილობრივი თემისათვის პოტენციური გადაწყვეტილებების მოძიებაზე. უფრო მეტიც, თსუ გუნდი, ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების წარმომადგენელ გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან საუბრისას, ახდენდა ადგილობრივი სტიკჰოლდერების მისწრაფებებისა და საჭიროებების წინ წამოწევას იმ სა-

კითხვების განხილვისას, რაც ადგილობრივი თემის განვითარებასთან არის დაკავშირებული. მსგავსი ქმედება აღიქმება, როგორც მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი ადგილობრივი აქტორებისათვის.


მონაცემების შეგროვება და საჭიროებების ანალიზი

რეკომენდებულია შერჩეული დასახლებისათვის/შემთხვევისათვის საჭიროებების ანალიზის ჩატარება, რათა შესაძლებელი გახდეს საბაზისო ინფორმაციისა და წინასწარი მონაცემების შეგროვება. აგრეთვე, აღნიშნული დაგეხმარებათ საზოგადოების წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევებისა და ხელმისაწვდომი რესურსების უკეთ გააზრებაში. მონაცემთა შეგროვება შეიძლება მოიცავდეს დისკუსიას ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან და წინასწარ საველე ვიზიტებს, აგრეთვე ლიტერატურისა და სტრატეგიული დოკუმენტების მოძიებასა და განხილვას და ა.შ.



ასევე რეკომენდაციის სახით გთავაზობთ, რომ მონაცემთა ანალიზის შედეგები, პირველ რიგში, განიხილოთ ადგილობრივ სტეიკჰოლდერებთან მანამ, სანამ შემდგომ ეტაპზე გააგრძელებთ მუშაობას, რათა დარწმუნდეთ, რომ უნივერსიტეტსა და საზოგად-

დობას შორის არის საჭიროებათა ანალიზის ერთნაირი გაგება.



CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

შესაძლებლობის შემთხვევაში სასურველია, სტუდენტები ჩაერთონ მოსამზადებელ ეტაპში, მაგალითად, მონაცემთა შეგროვებასა და საჭიროებების ანალიზში. ამასთან, სასურველია პედაგოგების მხრიდანაც წინასწარ მომზადდეს მასალა შესასწავლ თემებზე კონკრეტულ საკითხებზე დაინტერესებულ მხარეებთან და არააკადემიურ ექსპერტებთან თანამშრომლობით.

საჭიროებების ანალიზის ჩატარებისას გთავაზობთ შემდეგი ელემენტებისა და კითხვების გათვალისწინებას, რათა საველე ვიზიტებისა და ადგილობრივ თემებთან კომუნიკაციის შედეგად (სატელეფონო დისკუსიები, პირისპირ შეხვედრები, ფოკუს ჯგუფები და დაკვირვება), ასევე არსებული ლიტერატურისა და დოკუმენტების გამოყენებით, განხორციელდეს შემდეგი ინფორმაციის შეგროვება (ნახაზი 6.1):

ცხრილი 6.1 საქიროების ანალიზის ელემენტები და სახელმძღვანელო კითხვები (აღნიშნული მაგალითი ფოკუსირებულია ტურიზმის განვითარებაზე)

<ul style="list-style-type: none"> • სოფლის ადგილმდებარეობა
<ul style="list-style-type: none"> • დემოგრაფიული ინფორმაცია
<ul style="list-style-type: none"> • ინფორმაცია ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ
<ul style="list-style-type: none"> • რომელი ეკონომიკური სექტორები / საქმიანობის ტიპები ქმნიან შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროებს <ul style="list-style-type: none"> ○ (ტურიზმთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში ფოკუსირება უნდა მოხდეს: ტურიზმის სტატისტიკაზე; ტურიზმის შედეგად მიღებული შემოსავლის წილზე (პირდაპირი და არაპირდაპირი გზით) თემის ან / და შინამეურნეობების შემოსავლებში; ტურისტული ოპერაციების სეზონურობაზე; არსებულ ტურისტულ შეთავაზებებსა და ინიციატივებზე)
<ul style="list-style-type: none"> • ვინ არიან ძირითადი აქტორები/დაინტერესებული მხარეები ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, რა როლი აქვთ მათ შესასწავლ შემთხვევასთან მიმართებაში – პირდაპირ არიან ჩართულები თუ ირიბად? (ტურიზმთან დაკავშირებული აქცენტის შემთხვევაში: განთავსების საშუალებები, რესტორნები, ღირსშესანიშნავი მოსანახულებელი ადგილები, ბუნებრივი და კულტურული ღირსშესანიშნაობები, ტრანსპორტი). <ul style="list-style-type: none"> ○ თანამშრომლობენ თუ არა ერთმანეთთან ან უნევენ კოორდინაციას ერთმანეთის საქმიანობას? ○ ძალაუფლების გადანაწილების/ფლობის რა ურთიერთობები არის ჩამოყალიბებული შესწავლის ადგილზე? ○ რომელია ის ინსტიტუტები და ინდივიდუალური პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ადგილობრივ დონეზე შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვასა და კოორდინაციაზე (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ლანდშაფტის განვითარება და ა.შ.)?
<ul style="list-style-type: none"> • ვინ არიან რელევანტური/მნიშვნელოვანი მოქმედი აქტორები ეროვნულ და რეგიონულ კონტექსტში?
<ul style="list-style-type: none"> • არსებობს ადგილობრივი მდგრადი განვითარების გაგება?
<ul style="list-style-type: none"> • რა არის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები (SWOT ანალიზი) ტურიზმის განვითარების საკითხების შესწავლაში?
<ul style="list-style-type: none"> • რა სახის სიცარიელები/ლრეჩოები არსებობს საზოგადოების ხედვებს შორის ტურიზმის განვითარებისა და დღევანდელი რეალობის შესახებ და რა დახმარება სჭირდებათ მათ ამ ლრეჩოების ამოსავსებად?
<ul style="list-style-type: none"> • ვინ შეიტანს კონტრიბუციას ცოდნით შემთხვევის შესწავლის სასწავლო კურსში და რა სახის იქნება ეს კონტრიბუცია? <ul style="list-style-type: none"> ○ რა ცოდნის დეფიციტია ადგილობრივ დონეზე? (ამის მიხედვით უნდა გადაწყდეს, თუ რომელი დისციპლინები / დეპარტამენტები უნდა იყვნენ ჩართულები შემთხვევის შესწავლის კურსში). ○ რეალურად რა ცოდნის მიწოდება შეუძლიათ უნივერსიტეტის მასწავლებლებსა და სტუდენტებს?
<ul style="list-style-type: none"> • რა შემოთავაზებები აქვთ სტუდენტებს და მასწავლებლებს ადგილობრივი აქტორებისგან, რაში შეუძლიათ მათ წვლილი შეიტანონ სავსე სასწავლო კურსის განმავლობაში?

წყარო: Caucasust პროექტი.

CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

1. სასოფლო დასახლებებში საჭიროებების ანალიზის შემთხვევაში უმჯობესია ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან პირისპირ შეხვედრების ორგანიზება, ვიდრე კომუნიკაცია ტელეფონით ან ელექტრონულად, რადგან ისინი ნაკლებად არის გახსნილი უცხო ადამიანებთან.

2. მეტად მნიშვნელოვანია საჭიროებების ანალიზის დროს წინასწარი ინფორმაციის შეგროვება შერჩეულ/შესასწავლ თემში ადრე განხორციელებული პროექტების შესახებ, რომლებიც შესაბამისობაშია შემთხვევის შესწავლის კურსის თემასთან. აღნიშნულის გაკეთება შესაძლებელია პროექტის ანგარიშებისა და ჩანაწერების მიმოხილვით (როდესაც მსგავსი მასალა ხელმისაწვდომია). ამასთან, შესაძლებელია ორგანიზაციებსა და სხვა ჩართულ მონაწილე პირებთან დაკავშირება როგორც საზოგადოების შიგნით, ისე მის გარეთ. ეს ხელს შეუწყობს ცოდნაში/პრაქტიკაში არსებული ხარვეზებისა და შემთხვევის შესწავლის კურსის წინასწარი კვლევის კითხვების იდენტიფიკაციას.

3. მანამ, სანამ დაიწყება სტუდენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები, სტუდენტები და პედაგოგები კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი არსებული და ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესახებ. ადგილობრივებთან დისკუსიის დროს სასარგებლო იქნება ისეთი წყაროების მაგალითად მოყვანა და აღნიშვნა, რომლებიც სტუდენტებმა ადგილობრივი თემის შესახებ ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით მოიძიეს. ეს ხელს შეუწყობს იმის წარმოჩენას, რომ სტუდენტებმა წინასწარ მიმოიხილეს შესასწავლი თემა. ამავე დროს,

სტუდენტებმა თავი უნდა აარიდონ ქედმაღლოვანი დამოკიდებულებას ადგილობრივი თემის წევრების მიმართ, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივების მხრიდან სტუდენტების/პედაგოგების მიმართ დამოკიდებულების გაუმჯობესებას.

კვლევის კითხვების წინასწარი იდენტიფიკაცია

საჭიროებების ანალიზის შედეგების საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს წინასწარი კვლევითი კითხვები, რომლებსაც სტუდენტები და მასწავლებლები უპასუხებენ სასწავლო კურსის განმავლობაში. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ საწყის ეტაპზე კითხვები განიხილოთ, როგორც “წინასწარი”, იმის გამო, რომ მათი დაზუსტება და საჭიროების შემთხვევაში ხელახლა ფორმულირება უნდა მოხდეს ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, შემთხვევის შესწავლის კურსის შემდგომ ეტაპებზე.

ვინაიდან ტრანსდისციპლინური სავსე სასწავლო კურსის მიზანია, ერთობლივად მოხდეს შერჩეული გამოწვევების განსაზღვრა და პოტენციური გადაწყვეტილებების შემუშავება, ჩვენ გირჩევთ, მოახდინოთ იმ კითხვების ინტეგრირება, რომლებიც ორიენტირებულია სისტემურ, მიზნობრივ და ტრანსფორმაციულ ცოდნაზე (იხილეთ კითხვების მაგალითები ნახაზზე 6.2, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ცოდნის ეს ტიპები ყოველთვის მარტივი დასადგენი არ არის და დამოკიდებულია იმაზე, თუ ვისგან არის ნაგულისხმევი ინფორმაციის მიღება: სტუდენტებისა და პედაგოგებისაგან, ადგილობრივი საზოგადოებისაგან და ა.შ.).

ცხრილი 6.2 წინასწარი კვლევის კითხვების მაგალითები (ფოკუსირებულია მდგრად ტურიზმზე)

სისტემური ცოდნა	<ul style="list-style-type: none"> • რა არის ძირითადი ელემენტები / კომპონენტები, რომლებიც ხელს უწყობენ ტურიზმის განვითარებას შესასწავლ ტერიტორიაზე და როგორ ურთიერთკავშირში არიან ისინი? (სისტემური ცოდნა) • არსებობს თუ არა მიმდინარე ტურიზმის ინიციატივები? არის თუ არა ისინი თემზე დაფუძნებული? • ვინ არიან ამ სფეროში მთავარი აქტორები და გადაწყვეტილების მიმღები პირები და ვინ არიან ტურისტული პროდუქტების ძირითადი მომხმარებლები?
მიზნობრივი ცოდნა	<ul style="list-style-type: none"> • რა მდგრადი ადგილობრივი ტურისტული პროდუქტის შექმნა შესაძლებელია? • როგორ შეიძლება მოხდეს ადგილობრივი მონაწილეობითი მმართველობის ორგანიზება? • რომელია სასურველი გრძელვადიანი (5-წლიანი) სტრატეგიული კონკრეტული ადგილას (ე.ი. თემში, რეგიონში) ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის?
ტრანსფორმაციული ცოდნა	<ul style="list-style-type: none"> • რა ტიპის რესურსი და ქმედება არის საჭირო ამ პროდუქტის მისაღებად? • როგორ უნდა უზრუნველყოთ ადგილობრივი მოსახლეობის სარგებლობა ტურისტული ინიციატივების საშუალებით? • როგორ უნდა გადავლახოთ ტურიზმის მდგრადობის მისაღწევად არსებული გამოწვევები და ბარიერები?

წყარო: CaucaSusT პროექტი.

მასწავლებელთა გუნდის შემადგენლობა – დისციპლინების, ცოდნის კომპონენტებისა და უნარების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროა სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის

წინასწარი კითხვების იდენტიფიცირების შემდეგ გასათვალისწინებელია, თუ რა ტიპის ცოდნა და კომპეტენციაა საჭირო მათ გადასაჭრელად, კერძოდ:

- რომელი დისციპლინის წარმომადგენელი პედაგოგები უნდა იყვნენ ჩართულები სასწავლო კურსში?
- რა ტიპის ცოდნაა საჭირო, რაც არ არის ხელმისაწვდომი არსებულ სასწავლო ჯგუფში ან უნივერსიტეტში? შეუძლიათ თუ არა გარე (პრაქტიკოს) ექსპერტებს ან ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს, მოახდინონ აღნიშნული ცოდნის მიწოდება (თუ დიახ, როგორ შეიძლება ამის ორგანიზება, მაგალითად, გარედან მონვეული სპეციალისტის ლექციის ორგანიზება ან წინასწარი საველე ვიზიტი)?



ზემოაღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მიღებული იყოს გადაწყვეტილება მასწავლებელთა გუნდის საბოლოო შემადგენლობასთან დაკავშირებით.

CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

სხვადასხვა დეპარტამენტის პედაგოგების ჩართულობამ შეიძლება წარმოშვას ორგანიზაციული გამოწვევები.

რჩევა სსპუ–სგან: საკმაოდ რთული გამოწვევა იყო სასწავლო კურსში სხვადასხვა ფაკულტეტის პედაგოგების ჩართვა, რადგან მანამდე არ არსებობდა გამოცდილება, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მათ შორის თანამშრომლობა დეპარტამენტებში

სწავლების ადმინისტრაციული პროცესის გათვალისწინებით. ასევე გამოწვევას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ პროექტამდე მასწავლებლები არ იცნობდნენ ერთმანეთს. ვერბალურმა შეთანხმებამ დეპარტამენტისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შორის მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია აღნიშნული საკითხის მოგვარებას. მასწავლებელთა სემინარი და საერთო მოსამზადებელი ეტაპი კურსისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ.



დამატებით გამოწვევებში შედის ინტერ- და ტრანსდისციპლინური სწავლების გამოცდილების ნაკლებობა. შედეგად, ბევრი პედაგოგი მუშაობდა უფრო მულტიდისციპლინური, ვიდრე ინტერდისციპლინური მეთოდით (ისინი ზედმეტად იყვნენ მიჯაჭვულნი თავიანთ დისციპლინურ საფუძვლებსა და მეთოდებზე და ინტეგრაცია ამ კუთხით უმნიშვნელო იყო). უფრო მეტიც, გარკვეული კონფლიქტები მოხდა მეჭრადპორის საველე მუშაობის დროს, როდესაც ორი დეპარტამენტის ორი მასწავლებელი კოორდინაციას უწევდა ჯგუფს.



ამ თვალსაზრისით, სტრატეგიულად მნიშვნელოვანია წინასწარი სემინარის ორგანიზება მონაწილე პე-

დაგოგებთან, რაც მათ თანამშრომლურ სწავლებაში დაეხმარება და ხელს შეუწყობს ფასილიტაციის უნარების გაუმჯობესებაში.

მეორე სასწავლო კურსის მზადების პროცესში, სსპუ-ს კოორდინატორებმა გაითვალისწინეს ორგანიზაციული და ინტერდისციპლინური გამოწვევები.

სასწავლო კურსის ფარგლებში, თანამშრომლობის გამოცდილების მიღების შემდეგ სხვადასხვა დეპარტამენტის ლექტორებმა დაიწყეს ინტერდისციპლინური საგნების სახელმძღვანელოებზე მუშაობა, როგორცაა ისტორია და გეოგრაფია, ხოლო სხვადასხვა დეპარტამენტის სტუდენტებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ შემთხვევის შესწავლის კურსში, ერთობლივი სტატიები გამოაქვეყნეს.

რჩევა თსუ-სგან: ორგანიზაციული თვალსაზრისით, ადვილი არ იყო სხვადასხვა ფაკულტეტის პედაგოგების ჩართვა. CaucaSusT პროექტით გათვალისწინებული იყო გარკვეული თანხები ჩართული პედაგოგების ანაზღაურებისათვის, რაც მათთვის მნიშვნელოვანი სტიმული იყო მონაწილეობის მისაღებად. გარდა ამისა, პროგრამის ხელმძღვანელები და შესაბამისი დეპარტამენტების პედაგოგები გახდნენ მუდმივი მონაწილეები პროექტთან დაკავშირებულ სასწავლო საქმიანობაში და აქტიურად მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ხელს უწყობდა საერთო გაგების ჩამოყალიბებასა და თანამშრომლობას. საბოლოოდ, შედეგ ეფექტიანი თანამშრომლობა მასწავლებელთა გუნდის წარმომადგენლებს შორის, რაც მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტის დონეზე პროექტის განხორციელების თვალსაზრისით.

CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

არ არის აუცილებელი, რომ ყველა პედაგოგი იცნობდეს ტრანსდისციპლინურ მიდგომებს და ჰქონდეს შემთხვევის შესწავლის კურსის ჩატარების გამოცდილება. ამ თვალსაზრისით, სასარგებლოა შეხვედრის ან სემინარის ორგანიზება როგორც შემთხვევის შესწავლის კურსის სასწავლო პროგრამაში ინტეგრირებისას, ასევე კურსის მომზადების საწყის ეტაპზე.

CaucaSusT პროექტის გუნდმა ორგანიზება გაუწია პედაგოგებისათვის განკუთვნილ ორ სემინარს, სადაც სსპუ და თსუ პედაგოგები სხვადასხვა დეპარტამენტიდან შეიკრიბნენ, რათა მომხდარიყო ტრანსდისციპლინურობისა და მათთვის ახალი პრაქტიკული მეთოდების (მაგ. სისტემური ანალიზი და სცენარის შემუშავება) საერთო გააზრება და, აგრეთვე, შემუშავებულიყო გეგმა თითოეული უნივერსიტეტის სასწავლო კურსისთვის.

სტუდენტების შერჩევა

შემთხვევის შესწავლის კურსისათვის აუცილებელი კომპეტენციის განსაზღვრამ შესაძლოა შექმნას საფუძველი სტუდენტების შერჩევისათვის (სხვაგვარად რომ ვთქვათ, შემთხვევის შესწავლა შეიძლება ადაპტირებული იყოს მონაწილე სტუდენტების ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე).

ამ პროცესში შესაძლებელია შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინება:

- მოტივაცია;
- მონაწილეობითი მიდგომების გამოყენების წინა გამოცდილება;
- კომუნიკაციის უნარები და ჯგუფში მუშაობის უნარი / ინტერესი;
- ენის ცოდნა (კურსის საერთაშორისო კონტექსტში განხორციელების შემთხვევაში ან უცხოელი ლექტორების ჩართულობით, სტუდენტები ასევე უნდა ფლობდნენ შესაბამის უცხო ენას);
- სტუდენტების თემატური ცოდნის იდენტიფიცირება იმისათვის, რომ მოხერხდეს ინტერდისციპლინური ჯგუფების შექმნა (მაგ., მნიშვნელოვანია სოციოლოგის ყოფნა ჯგუფში);
- გენდერული ბალანსი.



CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

რჩევები სსპუ–სგან: სასწავლო კურსის განმავლობაში სოციოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტების ჩართვა ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა ჯგუფური მუშაობისთვის. ამასთან, სომხეთში შემთხვევის შემსწავლელი კურსების დასრულების შემდეგ, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ურჩევნიათ გენდერულად უფრო დაბალანსებულ ჯგუფებში მუშაობა.

სსპუ–ში მოხდა რამდენიმე ისეთი სტუდენტის შერჩევა, რომლებიც მონაწილეობდნენ შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინურ პირველ კურსში – მარმარიკში და ასევე მეორე კურსში – დილიჯანში. ეს სასარგებლო აღმოჩნდა, რადგან ამ სტუდენტებს შეეძლოთ თავიანთი გამოცდილების გაზიარება კურსში ახლად ინტეგრირებული კოლეგებისათვის.

CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

სტუდენტთა შერჩევა ტრანსდისციპლინური კურსისთვის შეიძლება წარმოადგენდეს სირთულეს მისი ხანგრძლივობისა და ინტენსივობის გამო; ასევე, შერჩევა დამოკიდებულია კურსის ტიპზე (მაგ. არჩევითი ან სავალდებულო) და მის ინტეგრირებაზე უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამაში (იხ. ნაწილი III). მაშინ, როდესაც ხდება კურსის სასწავლო პროგრამაში ინტეგრირება, აუცილებელია, წინასწარ იყოს განსაზღვრული და დაგეგმილი ის კომპეტენციები, რისი ფლობაც მოეთხოვებათ სტუ-

დენტებს პრაქტიკის დასაწყისში და ისიც, რასაც ისინი დაეუფლებიან შემდგომ მოსამზადებელ ეტაპზე. როგორც წესი, პრაქტიკაში მონაწილე სტუდენტები არ ფლობდნენ ცოდნის ყველა იმ კომპონენტს, რომელიც წარმოადგენილია ნახ. 6.2-ში. ეს ნაწილობრივ განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ მსგავსი ტრანსდისციპლინური კურსი პირველად ჩატარდა სსპუ-სა და თსუ-ში, რის გამოც არსებობდა უამრავი ორგანიზაციული და ადმინისტრაციული გამოწვევა. შესაბამისად, ამ ყოველივემ მოითხოვა დამატებითი ძალისხმევა, რათა მოსამზადებელ ეტაპზე მომხდარიყო სტუდენტებისათვის ცოდნის ყველა ამ კონკრეტული კომპონენტის მიწოდება.

ნახ. 6.2-ში მოცემულია CaucaSusT პროექტის პარტნიორების მიერ შეთანხმებული ცოდნის კომპონენტების მაგალითი, რომელთა ფლობაც აუცილებელია იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ტრანსდისციპლინურ კურსში:

- სავალდებულო ძირითადი კომპონენტები მოიცავს ცოდნასა და უნარებს, რომლებიც, იდეალურ შემთხვევაში, ყველა მონაწილე სტუდენტმა უნდა შეიძინოს სავალდებულო სამუშაოების დაწყებამდე;
- ზოგადი არჩევითი კომპონენტები მოიცავს ცოდნასა და უნარებს, რასაც კურსის მინიმუმ ერთი სტუდენტი მაინც უნდა ფლობდეს სავალდებულო სამუშაოებზე წასვლამდე, რათა შეეძლოს კონტრიბუციის შეტანა ჯგუფური მუშაობის დროს.

ცოდნის კომპონენტები

<p>ზოგადი სავალდებულო ძირითადი კომპონენტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • მდგრადი რეგიონული განვითარების პრინციპები; • ტრანსდისციპლინურობის პრინციპები და მონანილეობითი მეთოდები; • კომუნიკაცია; • პროექტის მენეჯმენტი (საფუძვლები); • სტრატეგიული მენეჯმენტი (ეფექტიანი სტრატეგიების განსაზღვრა); • ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვა; • ტურიზმის პოლიტიკა და დაგეგმვა; • ტურისტული რესურსები და გეოგრაფია; 	<p>ზოგადი არჩევითი კომპონენტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • GIS და მონაცემების მართვა; • მონაცემთა ანალიზი; • პროექტის მენეჯმენტი (ღრმა); • ტურიზმის ეკონომიკა; • მარკეტინგი; • სოციოლოგიური კვლევა (ინტერვიუს და კითხვარის შემუშავების ჩათვლით); • კვლევის მეთოდები ტურიზმში; • კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი;
<p>სპეციფიკური სავალდებულო ძირითადი კურსები:</p> <ul style="list-style-type: none"> • დანიშნულების ადგილის მახასიათებლები; • მონაცემთა მოპოვება, სტატისტიკური და სივრცული ანალიზი; • კვლევის დიზაინი და დაგეგმვა; 	<p>სპეციფიკური არჩევითი ძირითადი კურსები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შემთხვევის შესწავლა: პრაქტიკული მიდგომა; • კონცეპტუალური ჩარჩო და სამოქმედო გეგმა შემთხვევის შესწავლისთვის; • ეფექტური გუნდური მუშაობა;
<p>საველე სამუშაოები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამუშაო გეგმა და ოპერაციის დიზაინი; • თვითორგანიზებული კვლევა; • უსაფრთხოება; 	

წყარო: CaucaSusT პროექტი.

რჩევა სსპუ-სგან: შემთხვევის შესწავლის ტრანსდისციპლინური კურსის პირველ ეტაპზე, სსპუ-ს პედაგოგებისა და სტუდენტებისათვის ბოლომდე არ იყო ნათელი ტრანსდისციპლინური კვლევის პრინციპები. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად პროექტის კოორდინატორების მიერ ორგანიზებულ იქნა მრავალი სემინარი, რამაც ხელი შეუწყო ტრანსდისციპლინურობის ცნების გაგებას; სხვადასხვა დისციპლინის ლექტორებს შორის თანამშრომლობამ და ადგილობრივ სტეიკჰოლდერებთან კოლაბორაციამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ტრანსდისციპლინური მიდგომის ინტეგრაციას.

სტუდენტებში მდგრადი განვითარების პარადიგმისა და მდგრადი ტურიზმის შესახებ შეზღუდული ცოდნის არსებობიდან გამომდინარე, შესაბამისი სა-

კითხვების ინტეგრირება მოხდა სასწავლო კურსებში და განახლდა პირველი ტრანსდისციპლინური კურსის შემდეგ. კომუნიკაციის, მონაცემთა ანალიზისა და გუნდური მუშაობის უნარები ასევე ახალი იყო სსპუ მრავალი სტუდენტისთვის.

შემთხვევის შესწავლის პირველი კურსის განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე, მომდევნო წლის პრაქტიკის ფარგლებში, სსპუ სხვადასხვა მასწავლებელმა გამოიყენა შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომები. სსპუ კოორდინატორებმა და მასწავლებლებმა საკმაოდ დიდი გამოცდილება მიიღეს ადგილობრივ აქტორებთან თანამშრომლობის დროს. პირველი საველე კურსის განმავლობაში მონანილე სტეიკჰოლდერები ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმო-

მადგენლები და ინდივიდუალური მენარმეები იყვნენ; მეორე შემთხვევაში ბენეფიციართა წრე გაფართოვდა და მოიცვა ასევე ტურისტული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სკოლის პედაგოგები, გარემოს დამცველები და დილიჯანის ეროვნული პარკის თანამშრომლები.

რჩევა თსუ-სგან: თსუ სტრატეგია ტრანსდისციპლინური კურსის ინტეგრაციასთან დაკავშირებით ემყარებოდა თსუ სამ ფაკულტეტსა და შესაბამის პროგრამებს შორის აქტიურ თანამშრომლობას. შესაბამისად, ჩართული სტუდენტებისა და მასწავლებლების აკადემიური მომზადება საკმაოდ განსხვავებული იყო.

საწყის ეტაპზე, წინარე გამოცდილების არარსებობის გამო, შეუძლებელი იყო იმის პროგნოზირება, თუ რა ტიპის ცოდნის კომპონენტები იქნებოდა აუცილებელი სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აკადემიურ სილაბუსებში ცვლილებების მომზადებამ, საველე კვლევის შინაარსის გათვალისწინებით. გარდა ამისა, პრაქტიკების წარმატებით ჩატარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა სემინარებმა და სასწავლო პროგრამებმა, რისი საშუალებითაც მასწავლებლებმა მიიღეს ცოდნა ტრანსდისციპლინური კვლევისა და სწავლების ფორმატის შესახებ. ამან ხელი შეუწყო ცოდნის გადაცემის შესაძლებლობას; შედეგად, სტუდენტები და მასწავლებლები ძირითადად კარგად იყვნენ მომზადებული კონკრეტული დავალებების შესასრულებლად.

2018 წელს წაღვერში, შემთხვევის შესწავლის პირველი ტრანსდისციპლინური კურსის ჩატარების შემდეგ, თსუ-ს გუნდმა ობიექტურად შეაფასა საველე კვლევის შედეგები და განაახლა პროგრამა, რათა არ დარჩენილიყო ღრეჩო საველე კვლევის ამოცანებსა და საჭირო ცოდნას შორის.

✓ შეამონმეთ: ცოდნის ყველა კომპონენტი არის თუ არა უკვე წარმოდგენილი უნივერსიტეტში, მოცემული პროგრამის ფარგლებში არსებულ კურსებში?

- თუ კი, მნიშვნელოვანია, რომ ყველა ან ზოგიერთი სტუდენტი დაესწროს შესაბამის კურსებს;
- თუ არა, მაშინ უნდა მოხდეს ამ დამატებითი კომპონენტების ინტეგრირება არსებული კურსების სილაბუსებში ან, თუ ეს შესაძლებელია, უნდა შეიქმნას ახალი კურსები.

მოსამზადებელი სამუშაოები

მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები წინასწარ მოემზადონ მუშაობისთვის, რათა საველე მუშაობის პროცესში საკმარისი დრო ჰქონდეთ შემთხვევის შესწავლაზე კონცენტრირებისთვის. სტუდენტებისათვის საჭირო ცოდნის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც გამოვლენილია წინა ეტაპზე (ნახ. 6.2), ან უნდა წარმოადგენდეს მათ მიერ უკვე მიღებულ ცოდნას, ან უნდა იყოს ინტეგრირებული განსახორციელებელი კურსის სწავლის შედეგებში.



CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

ზოგადად, მოსწავლეები და მასწავლებლები უნდა იცნობდნენ კვლევის ძირითად მეთოდებს: კვლევის დიზაინს, კვლევითი კითხვების ფორმულირებას, მონაცემთა შეგროვებას, ანალიზს და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა ჩატარდეს კვლევა რეალურ გარემოში, როგორ უნდა მოხდეს ცოდნის ინტეგრირება სხვადასხვა დარგის სტუდენტებს შორის და როგორ ვითანამშრომლოთ ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან.

რჩევა სსპუ-სგან: სსპუ-მ მონაწილე სტუდენტებს შესთავაზა მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგი ეტაპები:

- ტრანსდისციპლინური მიდგომის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ინტეგრირებულია პირველ ფაზაში, კერძოდ, CaucaSusT პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი ამოცანების შინაარსში (იხ. დანართი 3).
- პრაქტიკული სავარჯიშოები, რომლებიც ჩატარდა სამეცნიერო კითხვების ფორმულირებაზე, მონაცემთა შეგროვებაზე, სისტემური ანალიზისა და სცენარების შემუშავებაზე,

კითხვარების შემუშავებასა და კომუნიკაციის უნარების ამაღლებაზე.

- საველე სამუშაოების დაწყებამდე ჩატარდა დამატებითი მოსამზადებელი და პრაქტიკული სემინარები, რომლებიც წარმოადგენენ უფრო დეტალურ ინფორმაციას შესწავლილი ტერიტორიის, საჭიროებების შეფასებისა და ორგანიზაციული საკითხების შესახებ.

კერძოდ, ორდღიანი სემინარი, რომელიც დაეფუძნა პოლის [წყარო] 10 ნაბიჯს, განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა როგორც სტუდენტებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის.

სსპუ სტუდენტებისთვის, ზემოთ აღწერილი მრავალი თემატური სიახლის გამო, ასევე, ძირითადი ასპექტების ადეკვატური გაცნობის უზრუნველსაყოფად, სტუდენტებს არაერთი ლექცია ჩაუტარდათ სასწავლო კურსის საველე სამუშაოების ფაზაში.



რჩევა ოსუ-სგან: ოსუ-ს შემთხვევაში, პროგრამის შემუშავებამ და სხვადასხვა ფაკულტეტის მონაწილეობამ რთული გახდა ცოდნის ყველა კომპონენტის გათვალისწინება, რომლებიც განაწილებულია სხვადასხვა კურსსა და სამაგისტრო პროგრამაში, როგორც სწავლის კონკრეტული შედეგები.

დაგეგმვის ხელშეწყობისათვის, შემთხვევის შესწავლის საველე კურსის მონაწილეებად ძირითადად მონვეული იყვნენ მაგისტრატურის ის სტუდენტები (სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის დამთავრების შემდეგ), რომლებსაც უკვე ჰქონდათ ფუნდამენტური ცოდნა მდგრადი განვითარების, დანიშნულების ადგილის დაგეგმვის, სტრატეგიული მენეჯმენტისა და სხვა საჭირო საკითხების შესახებ. გარდა ამისა, მათი მონაწილეობის წინაპირობას წარმოადგენდა სავალდებულო კურსების გავლა (მაგისტრატურის პირველი წლის განმავლობაში) ტრანსდისციპლინურობის და მდგრადი განვითარების უფრო ღრმად გააზრების უზრუნველსაყოფად.

ფად. შემთხვევის ტრანსდისციპლინური შესწავლის კურსების ინოვაციური ფორმატი და შინაარსი სტუდენტებისგან მოითხოვს სპეციფიკურ უნარებს, როგორცაა ე.წ. „რბილი (სოციალური ურთიერთობების) უნარები“, კომუნიკაციის უნარი, მონაცემთა შეგროვების, ადგილობრივ საზოგადოებასთან მუშაობის, კვლევის დაგეგმვის უნარები და ა.შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასარგებლო ხდებოდა პროგრამის სისტემური ანალიზი და სწავლის შედეგები. გარდა ამისა, სასწავლო გეგმა უნდა მომზადდეს თანმიმდევრული და მონესრიგებული გზით, ტრანსდისციპლინური კვლევისა და სწავლების ასპექტების გათვალისწინებით.

შემთხვევის შესწავლის თემატური ფოკუსის შესახებ ზოგადი ინფორმაციის გარდა (მაგალითად, მდგრადი ტურიზმი, CaucaSusT პროექტის შემთხვევაში), მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები იყვნენ ინფორმირებული შემთხვევის შესწავლის პრინციპებისა და ძირითადი კონცეფციების, როგორცაა მდგრადობა და ტრანსდისციპლინურობა, ასევე სხვა ძირითადი ცნებების შესახებ, რომლებიც აღწერილია სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში.

ასევე, სტუდენტები უნდა გაეცნონ “შემთხვევის” შესახებ დეტალურ ინფორმაციას. აღნიშნულის უზრუნველყოფა შესაძლებელია მოხდეს არა მხოლოდ შემთხვევის შესახებ აღწერილი ინფორმაციის მიწოდებით და სტუდენტებისთვის საჭიროებების ანალიზით, არამედ ისეთი საშუალებებითაც, როგორცაა:

- შემთხვევის შესწავლასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხთან მიმართებაში არსებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი, როგორცაა გის.
- იმის დადგენა, თუ რომელი დამატებითი ინფორმაცია შეიძლება იყოს საჭირო შემთხვევის შესასწავლად,
- სტუდენტების მიერ დამატებით მონაცემთა შეგროვების ორგანიზება (მასწავლებლებთან ერთად),
- სტუდენტების დაკავშირება ადგილობრივ აქტორებთან და ექსპერტებთან, სტუდენტების ჩართვა ადგილზე მონაცემთა შეგროვების პროცესში,
- ადგილობრივი აქტორებისა და ექსპერტების მონვევა გარე ლექტორების/მომხსენებლების სახით, კურსების განმავლობაში სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით,
- კონკრეტული პროგრამების სტუდენტებისათვის, სპეციალიზაციის კურსების გათვალისწინებით, საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.

CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

რჩევა სსპუ-სგან: სსპუ კოლეგებმა ჩაატარეს შეხვედრები და სემინარები, რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც უნივერსიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტის პედაგოგები, ასევე გარე ლექტორებიც, რათა სტუდენტებისათვის გაეზიარებინათ შესასწავლი საკითხის ფართო პერსპექტივა. კერძოდ, განხორციელდა ინტერდისციპლინური ლექციების ორგანიზება ბუნებრივი და ისტორიული ძეგლების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და საკვლევ ტერიტორიების ტურიზმის შესახებ, ხოლო დაცული ტერიტორიის ექსპერტმა სასარგებლო ინფორმაცია გაუზიარა სტუდენტებს, რამაც სტუდენტები მოამზადა დილიჯანში, სასწავლო კურსის განმავლობაში, ეროვნული პარკის წარმომადგენლებთან თანამშრომლობისათვის.

რჩევა თსუ-სგან: თსუ-ს სტუდენტების ინიციატივით, სემესტრის განმავლობაში მოხდა გარე სპიკერების მოწვევა, კონკრეტული სასწავლო კურსების ფარგლებში. თანამშრომლობის ამ ფორმატმა შექმნა არააკადემიურ სტეკჰოლდერებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარების საშუალება. შეხვედრების დროს განიხილებოდა ტურიზმის ინდუსტრიასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი, ძირითადად ფოკუსირება ხდებოდა პრაქტიკულ ასპექტებზე. ეს შეხვედრები ხორციელდებოდა, როგორც კურიკულუმის დამატებითი აქტივობები.

თსუ გამოცდილების საფუძველზე, ამ ე.წ. მენტორულმა საქმიანობამ დადებითი გავლენა მოახდინა კურსების სწავლის შედეგებზე, რაც ასახავს თეორიული და პრაქტიკული სწავლების შერწყმის მნიშვნელობას სხვადასხვა შემთხვევის შესწავლის პროცესში.

შესასწავლი შემთხვევის შესახებ დამატებითი ინფორმაციის გაცნობის გარდა, სტუდენტები თავადაც უნდა მოემზადონ საველე სამუშაოებისათვის. საველე სამუშაოების ფარგლებში შესასწავლი საკითხებისა და ამოცანების განხილვა წინასწარ უნდა მოხდეს სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის.

ჯგუფური მუშაობის ორგანიზება

ჯგუფური მუშაობის ორგანიზების პროცესში გასათვალისწინებელია საველე კურსში ჩართული სტუდენტების რაოდენობა.

CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

- ✓ ჩვენ რეკომენდაციას ვუნებთ ინტერდისციპლინური ჯგუფების შექმნას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა დისციპლინის სტუდენტების წარმომადგენლობა თითოეულ ჯგუფში. თითოეულ ჯგუფს შეუძლია, ფოკუსირება მოახდინოს კონკრეტულ საკვლევ კითხვაზე ან თემაზე.



* ჯგუფური მუშაობის მიზნები არ მოიცავს კონკურენციას, პირიქით, ხელი უნდა შეუწყოს ჯგუფებს შორის თანამშრომლობასა და ცოდნის გაცვლას.

სასარგებლო ბმულები:

სავარაუდოდ, სტუდენტები, რომლებიც არიან სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენლები და რომლებმაც ველზე უნდა იმუშაონ ერთად, არ იცნობენ ერთმანეთს. შესაბამისად, სანამ სტუდენტები დაიწყებენ ჯგუფებში მუშაობას, შესაძლებელია მათთვის სხვადასხვა სახის აქტივობების ორგანიზება, რათა გაიცნონ ერთმანეთი და უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი ერთად მუშაობის დროს.

შემდეგ სამ სახელმძღვანელოში მოცემულია მონაწილეთა გაცნობისა და გუნდური საქმიანობის სასარგებლო აღწერა:


<https://sixth.ucsd.edu/files/home/student-life/icebreakers-teambuilding-activities-energizers.pdf>

http://www.cjcp.org.za/uploads/2/7/8/4/27845461/technical_manual_-_games_icebreakers_and_energizers.pdf

https://inside.trinity.edu/sites/inside.trinity.edu/files/file_attachments/3156/teambuilding-and-icebreaker-handbook.pdf

თემატური ჯგუფების გარდა, სტუდენტებს შეიძლება დაევალოთ სავსელე სამუშაოებთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციული საკითხები: პროექტის მენეჯმენტი, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან და მედიასთან კომუნიკაცია, მონაცემთა ერთობლივი მართვა. ეს შეიძლება გაკეთდეს სექტორში მომუშავე ჯგუფებში, რომლებშიც უნდა იყვნენ წარმოდგენილი თითოეული თემატური ჯგუფის სტუდენტები (ნახ. 6.3 გვთავაზობს თემატური და სექტორული ჯგუფების სტრუქტურას).

ნახაზი 6.3 ჯგუფური მუშაობის შემოთავაზებული სტრუქტურა.



წყარო: CaucaSusTპროექტი.

ორგანიზაციული საკითხები

შეთავაზება: ჩვენ გთავაზობთ საკითხთა სიას, რათა დარწმუნდეთ, რომ სავსელე სამუშაოების ფაზის ყველა ორგანიზაციული ასპექტი მხედველობაშია მიღებული; ასეთ საკითხებს შორისაა:

- ✓ რამდენ ხანს გრძელდება სავსელე სამუშაოები?
- ✓ სად და როდის მოხდება სავსელე სამუშაოების განხორციელება?
- ✓ მასწავლებლებიდან ვინ დარჩება მთელი პერიოდის განმავლობაში?
- ✓ ექნებათ თუ არა სტუდენტებს კომპიუტერები?

- ✓ იქნება თუ არა ხელმისაწვდომი ინტერნეტი?
- ✓ რა ადგილი იქნება განკუთვნილი სამუშაო შეხვედრებისა და დასკვნითი პრეზენტაციებისათვის? იქნება თუ არა პროექტორი? შესაძლებელი იქნება თუ არა რამის დაბეჭდვა?
- ✓ მოუწევთ თუ არა სტუდენტებს ინტერვიუსათვის დიდ მანძილზე წასვლა?
- ✓ არის თუ არა კარგი ინფრასტრუქტურა გადაადგილებისათვის?
- ✓ შესაძლებელია თუ არა, რომ ზოგი-

ერთმა სტუდენტმა სტეიკჰოლდერთან ერთი სამუშაო დღე გაატაროს?

- ✓ რაში იქნებიან დაინტერესებულები სტეიკჰოლდერები, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ?
- ✓ რა აქტივობების განხორციელება შეეძლება სტუდენტებს თავისუფალ დროს – ლაშქრობა, ცურვა და ა.შ. (და ამ აქტივობებისათვის რა უნდა იქონიონ თან)?
- ✓ როგორ არის მომზადებული უნივერსიტეტის გუნდი პოტენციური საგანგებო სიტუაციებისათვის? რა არის უნივერსიტეტის რეგულაციები ამ მხრივ? რა ინფრასტრუქტურა და რესურსია ხელმისაწვდომი საკვლევ არეალებში?
- ✓ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ცუდმა ამინდმა აქტივობებზე? რა ალტერნატივების შეთავაზება შეიძლება მოხდეს სტუდენტებისათვის ასეთ შემთხვევაში?

CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

როგორც სსპუ, ისე თსუ სტუდენტებმა გამოთქვეს მოსაზრებები, რომ მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია სავსე კურსის მკაფიო პროგრამის, ინსტრუქციებისა და განახლებული ინფორმაციის ფლობა.

მედიასთან ურთიერთობა, თვალსაჩინოება და სოციალური მედია

სტუდენტებმა უნდა იფიქრონ, თუ როგორ გახადონ თვალსაჩინო თავიანთი მუშაობა სტეიკჰოლდერებთან. მნიშვნელოვანია პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე ამის მიღწევის ვარიანტების განხილვა:

- არსებობს ადგილობრივი მედიასაშუალებები, რომლებიც შეიძლება დაინტერესდნენ ამ კურსით?
- სასარგებლო იქნება Facebook ჯგუფი იმისათვის, რომ მოხდეს საზოგადოებასთან თანამშრომლობა და შესაბამისი შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება?

CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

როგორც სსპუ, ისე თსუ სტუდენტებმა შექმნეს თითოეული სავსე სასწავლო კურსის Facebo-

ok ჯგუფები, ასევე გამოიყენეს სხვა მედიაარხები ტრანსდისციპლინური კურსების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

სსპუ შემთხვევის შესწავლის კურსის რეკლამირება მოხდა სხვადასხვა მედიასაშუალებით:

- სსპუ მედიის გუნდმა მონაწილეობა მიიღო სასწავლო კურსში მელრადორში და შექმნა ვიდეო უნივერსიტეტის ახალი ამბების არხისთვის.
- სსპუ კოორდინატორები მიიწვიეს სომხეთის ცენტრალურ სატელევიზიო პროგრამაში, რათა ესაუბრათ CaucaSusT პროექტზე და მონაწილეობა მიიღეს ფილმის შექმნაში, რომელიც ორიენტირებულია უნივერსიტეტსა და ადგილობრივ თემებს შორის ურთიერთთანამშრომლობაზე, გამოცდილების შესწავლაზე, იმ დასახლებებზე, სადაც მოხდა კურსების განხორციელება. ფილმი დეპარტამენტების ახალ სტუდენტებს დაეხმარა, ჩართულიყვნენ შემთხვევის შესწავლის კურსში, რომელიც მომდევნო სემესტრში ჩატარდებოდა. უფრო მეტიც, უნივერსიტეტის გაზეთში გამოქვეყნდა რამდენიმე სტატია პროექტის საქმიანობისა და შედეგების შესახებ.


მსგავსმა რეკლამირებამ მიიქცია ყურადღება სავსე კვლევის ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი თემებისა და თავად სსპუ-ს მიმართ. პირველმა ხელი შეუწყო საზოგადოების ზოგიერთ აქტივისტს თანხების მიღებაში რამდენიმე განვითარების პროექტის განსახორციელებლად; ამ უკანასკნელმა გამოიწვია ადგილობრივი ახალგაზრდების მეტი ინტერესი სსპუ-ში სწავლისთვის.

თსუ პროგრამის ხელმძღვანელმა და პროექტის კოორდინატორმა მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ სატელევიზიო პროგრამაში და ისაუბრეს CaucaSusT პროექტზე. გარდა ამისა, ყაზბეგის შემთხვევაში, ადგილობრივი მთავრობის საჯარო სამსახური აქტიურად უზიარებდა ინფორმაციას ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს ტრანსდისციპლინური კურსის შესახებ.

ადგილობრივ ადმინისტრაციასა და სტეიკჰოლდერებს მიეცათ საშუალება, გასცნობოდნენ თსუ ჯგუფის მიერ შედგენილ კვლევით ანგარიშებს და რეკომენდაციებს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ფაზა 2. სავსე მუშაობა

სავსე სამუშაოების შემოთავაზებული სტრუქტურა ასახულია ნახ. 6.4-ზე:



წყარო: CaucaSusT პროექტი.

საველე მუშაობის პირველი ორი დღისათვის შემოთავაზებული აქტივობები

- დაბინავება და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება;
- საწყისი შეხვედრა სტუდენტებთან, საველე სამუშაოს განხორციელებისა და დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ძირითადი მიზნების გაცნობა;
- სამუშაო ჯგუფებად დაყოფა, პრობლემების სრულყოფილად გააზრება;
- თითოეული ჯგუფის ამოცანების და ძირითადი გრაფიკის განსაზღვრა.
- საჭიროა მოხდეს ინდივიდუალური ინტერვიუებისა და სტეიკჰოლდერების მონაწილეობის წინასწარი განსაზღვრა, დაინტერესებული მხარეების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, სტუდენტები წინასწარ ადგენენ განრიგს პედაგოგების დახმარებით.
- სტეიკჰოლდერებთან პირველი შეხვედრა, შემთხვევის შესწავლის კურსის მიზნებისა და გეგმების "ოფიციალურად" გაცნობა და მათი




განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან;

- რეფლექსია დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრის შესახებ;
- სისტემების წინასწარი ანალიზისა და სოციალური ქსელის ანალიზის განახლება და დახვეწა ჯგუფური მუშაობის პირველ ეტაპზე.

ზოგადი განრიგი:

- ყოველი დღე შეიძლება შედგებოდეს ჯგუფური მუშაობის, ერთობლივი რეფლექსიისა და განახლებული სესიებისაგან;
- სტუდენტური საქმიანობა: მონაცემთა შეგროვება, აღრიცხვა, ანალიზი (თვისებრივი და რაოდენობრივი) და დაინტერესებულ მხარეებთან მუშაობა;
- ერთობლივი რეფლექსიისა და განახლებული სესიების დროს, თითოეული თემატური ჯგუფი აკეთებს მოკლე ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა აქტივობები განახორციელეს და რას აპირებენ მომავალ დღეებში. აგრეთვე, მსგავსი შეხვედრების დროს შესაძლებელია სხვადასხვა თემის რეგულარული განხილვა;
- პედაგოგები ერთვებიან სტუდენტების ყველა ჯგუფის მუშაობაში, კითხვების არსებობის და სხვადასხვა სახის მხარდაჭერის საჭიროებების შემთხვევაში, აგრეთვე იმისათვის, რომ სტუდენტებმა მიიღონ დამატებითი თეორიული მასალები.



საველე მუშაობის დაწყებამდე, სტუდენტების მომზადების გარდა, ზოგიერთი თემატური და მეთოდოლოგიური ასპექტი შეიძლება გადაიხედოს. CaucaSusT პროექტის გამოცდილების მიხედვით, სა-

ველე მუშაობის პირველ დღეებში სტუდენტებს ჩაუტარდათ შემდეგი დამატებითი ლექციები:



- შემთხვევის შესწავლის კურსის ძირითადი ელემენტები:
 - სისტემური ანალიზი და სოციალური ქსელის ანალიზი;
 - განვითარების სცენარის შემუშავება და შეფასება.

დამატებითი ინფორმაცია შეიძლება მოგვანოდოს პედაგოგთა ჯგუფმა შემთხვევის რეალობიდან და დაინტერესებული მხარეების საჭიროებებიდან გამომდინარე, როგორცაა:

- სტუდენტების მიერ პრაქტიკაში გამოყენებული კონკრეტული მეთოდები;
- შესასწავლ თემში გენდერულ ან ძალაუფლების გადანაწილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამოკიდებულებები;
- კონკრეტული რეკომენდაციების განხორციელების ვარიანტები.

შეთავაზება: “Experiential case encounter” – სტიკჰოლდერის ცხოვრების ერთი დღე

ადგილობრივი საზოგადოების, მათი რესურსების, ყოველდღიური რუტინისა და აქტორების წინაშე მდგარი გამოწვევების უკეთ გაცნობის მიზნით, შესაძლებელია მოხდეს სტუდენტების მიერ ნახევარი ან მთელი დღის გატარება ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან/სტიკჰოლდერებთან.

პოტენციური საორგანიზაციო გამოწვევების გამო, ასეთი უშუალო, პირადი გამოცდილების მომცემი აქტივობა წინასწარ უნდა იყოს ორგანიზებული და განპირობებული ადგილობრივი აქტორების მოცლილობითა და ინტერესით.

ბოლო ორი დღე:

- შედეგების წინასწარი პრეზენტაცია სტუდენტური ჯგუფების მიერ, მათი და მასწავლებლების დისკუსიის ფორმატში.

ეს ნაბიჯი მიზნად ისახავს სტუდენტების მომზადებას დასკვნითი საჯარო პრეზენტაციებისთვის და მათი შედეგებისა და შეთავაზებების დახვეწას, სხვა სტუდენტებისა და პედაგოგების კომენტარებზე დაყრდნობით.

შუალედური პრეზენტაციების შემდეგ თითოეულ ჯგუფს შეუძლია დამატებითი ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი იმისათვის, რომ დაასრულონ განვითარების სცენარები და წინადადებები სამომავლო პროექტებისთვის.

- თუ შესაძლებელია, სტიკჰოლდერები, რომლებიც ინტენსიურად თანამშრომლობდნენ სტუდენტებთან, ასევე უნდა ჩაერთონ პრეზენტაციების მომზადებაში ან მიაწოდონ თავიანთი გამოხმაურებები საბოლოო მოხსენებების წარდგენამდე;
- საჯარო ღონისძიება – საბოლოო შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან, სავსე სამუშაოების შედეგების პრეზენტაცია და მათი გამოყენებადობისა და განხორციელების პოტენციალის განხილვა, რასაც მოჰყვება ერთობლივი საზეიმო ღონისძიება;
- ადგილობრივი მედიის საჯარო პრეზენტაციაზე მონევა კარგი ინიციატივაა შემთხვევის შესწავლის კურსის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად და ფართო საზოგადოების ინფორმირებისათვის; ის უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ ადგილობრივ აქტორებთან ერთად შექმნილი შედეგებისა და შეთავაზებების ფართო გავრცელებას.



პრეზენტაციებისა და დისკუსიების ბოლოს ერთობლივი საზეიმო ღონისძიების გამართვა არის კარგი გზა პოზიტიური ატმოსფეროს შესაქმნელად და სტუდენტებს, მასწავლებლებსა და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შორის არაფორმალური დისკუსიების ხელშესაწყობად. არაფორმალურ დისკუსიებსა და სადღესასწაულო ატმოსფეროს შეუძლია შექმნას გარემო, რომელშიც მოხდება სავსე სამუშაოების შესახებ ინფორმაციის გაცვლა და უნივერსიტეტსა და ადგილობრივ საზოგადოებას შორის თანამშრომლობა. აგრეთვე შესაძლებელია მოხდეს თავდაპირველი გეგმების მხარდაჭერა, ასევე სხვადასხვა გადანაცვებისა და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით მომავალი ქმედებების ხელშეწყობა.

ფაზა 3. სამომავლო თანამშრომლობა

თანამდევნი საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს:

- კურსის შეფასება სტუდენტების, მასწავლებლებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ. ეს შეიძლება განხორციელდეს ფოკუს ჯგუფის ფორმატში წარმართული დისკუსიების, ინდივიდუალური ინტერვიუების, ასევე კითხვარების საშუალებით, რაც შეიძლება დარჩეს ანონიმური საჭიროების შემთხვევაში;
- სტუდენტების მიერ ანგარიშის შემუშავება მასწავლებლების მხარდაჭერით. მოხსენებითი ნაშრომი სასარგებლო გზაა შემთხვევის შესწავლის კურსის ყველა აქტივობისა და შედეგების შესაგროვებლად, რომელიც ასევე მოიცავს ფოტოებს, რუკებს და სხვა ვიზუალურ მასალას. მას ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს დაინტერესებულ სტუდენტთა და მასწავლებელთა შემდგომ სამეცნიერო თანამშრომლობას;
- პრაქტიკული კურსის შედეგების საფუძველზე შესაძლო/პოტენციური სამეცნიერო პრეზენტაციებისა და ნაშრომების იდენტიფიკაცია;
- რეკომენდაციების, შემუშავებული გადანაცვლებებისა და პროექტების შემდგომი გაგრძელება, რაც დაეფუძნება შემთხვევის შესწავლის შედეგებს. პოტენციური განხორციელების დაგეგმვა ადგილობრივ საზოგადოებასთან თანამშრომლობით;
- სამომავლო საკვლევო კითხვების ინტეგრირება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებში;
- სამომავლო სასწავლო კურსების დაგეგმვა საზოგადოებასთან ერთად.



დაეხმარება ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს საგრანტო წინადადების მომზადებაში, რათა მოეპოვებინათ მეტი მტკიცებულებები შესასწავლ ტერიტორიაზე არსებულ პრობლემებსა და გამონვევებზე.

შემდგომი ეტაპის ხანგრძლივობა შეიძლება განსხვავდებოდეს, რაც დაკავშირებულია რეკომენდაციებისა და პროექტების განხორციელების ვადებთან. შესაძლებელია საჭირო იყოს თანხების მოძიებისათვის ერთობლივი განაცხადის გაკეთება, უნივერსიტეტის სტუდენტების, პედაგოგებისა და გარე ექსპერტების ჩართვა და დამატებითი კვლევითი და სასწავლო ღონისძიებების დაგეგმვა.

იდეალურ შემთხვევაში, შეიძლება დამყარდეს გრძელვადიანი თანამშრომლობა უნივერსიტეტსა და ადგილობრივ თემს შორის.



CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

სსპუ წლების განმავლობაში განაგრძობდა თანამშრომლობას პირველი პრაქტიკის ფარგლებში შესწავლილ თემთან, მელრაძორთან.

სსპუ ლექტორებმა და სტუდენტებმა ლექციები წაიკითხეს ადგილობრივ სკოლაში. უფრო მეტიც, 2020 წელს, COVID-19 პანდემიის დროს, სსპუ სტუდენტებმა და მასწავლებლებმა ჩაატარეს არაერთი ონლაინ ლექცია გეოგრაფიისა და ისტორიის დისციპლინებში თემაზე „მსოფლიოს გარშემო“ და ასევე თემაზე “ტურიზმი COVID 19-ის შემდეგ”, მელრაძორის სკოლის სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის.

CaucaSusT პროექტის გამოცდილება:

რჩევები სსპუ-სგან: ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის კვლევითი მუშაობის შედეგების წარდგენა და შემდეგ არსებული პრობლემების ირგვლივ სხვადასხვა პასუხისმგებელი ინსტიტუტის ყურადღების მიპყრობა. მაგალითად, სსპუ-მ სომხეთში შემთხვევის შესწავლის დროს შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან წამოჭრა სასამელი წყლის მილსადენის მშენებლობის პრობლემა მელრაძორში. სტუდენტებთან და მასწავლებლებთან დისკუსიის შედეგად მთავრობის წარმომადგენლები ეწვივნენ თემს, რათა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ეპოვათ შესაბამისი გადაწყვეტა.

უფრო მეტიც, ტრანსდისციპლინური კურსის ანგარიშის ერთობლივად შედგენა ან გაზიარება დაეხმარება ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მოამზადონ საგრანტო წინადადება საველე კვლევის შედეგების საფუძველზე, დასახლებაში არსებული პრობლემებისა და გამონვევების შესახებ მყარი არგუმენტების გამოყენებით.

რჩევები თსუ-სგან: სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს შემთხვევის შესწავლის საქმიანობის შემდგომი დაკვირვება. ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, ანგარიშის მომზადება შეიძლება სასარგებლო იყოს არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ ადგილობრივი საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისთვისაც.

მაგალითად, წალვერის შემთხვევის შესწავლის შემდეგ, თსუ გუნდმა უნივერსიტეტის სახელით მოამზადა ოფიციალური წერილი და ანგარიში გაუგზავნა ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ასევე ადგილობრივ საზოგადოებას. ჩვენი დასკვნების საფუძველზე, წალვერის საზოგადოებამ შექმნა ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი, რომელმაც სათანადოდ გამოიყენა ჩვენი ანგარიშის/კვლევის შედეგები. გარდა ამისა, კვლევის ანგარიში

აბრევიატურები

აგმ	ათასწლეულის განვითარების მიზნები
დამო	დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციები
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
ოსუ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მგმ	მდგრადი განვითარების მიზნები
სსპუ	სომხეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი
BOKU	ბუნებრივი რესურსებისა და სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტი
CAQDAS	თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამა
CaucaSusT	ტრანსდისციპლინურობა ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის კავკასიის რეგიონში
ECEAT	ეკოლოგიური და სოფლის მეურნეობის ტურიზმის ევროპული ცენტრი
ESD	განათლება მდგრადი განვითარებისათვის
EuroGites	სოფლის ტურიზმის ევროპული ფედერაცია
GDPR	მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია
GIS	გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა
GNTA	საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
IMC Krems	გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი კრემსი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
PLA	მონაწილეობითი სწავლა და ქმედება
PRA	სოფლის მონაწილეობითი შეფასება
RSP	Rounder Sense of Purpose
SWOT	ძლიერი მხარეები, სისუსტეები, შესაძლებლობები და საფრთხეები
TD	ტრანსდისციპლინური
UNCED	გაეროს კონფერენცია გარემოსა და განვითარებაზე
UNCHE	გაეროს კონფერენცია ადამიანურ გარემოზე
UNCTAD	გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია
UNECE	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია
UNEP	გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა
UNESCO	გაეროს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია
UNWTO	გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია
WCED	გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისია
WSSD	მსოფლიო სამიტი მდგრადი განვითარების შესახებ
WTTC	მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭო

დანართი 1. მოსამზადებელი კურსების მაგალითები

თსუ კურსები:

კურსის სახელწოდება	ტურიზმის პოლიტიკა
კურსის ძირითადი თემები	<p>„ტურიზმის პოლიტიკის“ სასწავლო კურსში გათვალისწინებულია შემდეგი თემები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტრანსდისციპლინური მიდგომების როლი ტურიზმის პოლიტიკის სისტემაში; • ტრანსდისციპლინური კვლევის სპეციფიკა და მისი როლი ტურიზმის პოლიტიკის შემუშავებაში; • ტურიზმის სფეროში ტრანსდისციპლინური კვლევის მიზნებისა და საჭიროებების განსაზღვრა; • დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და მათი როლები მდგრადი ტურიზმის სტრატეგიებში; • დინამიკური სისტემა და ტრანსდისციპლინური მიდგომები ადგილობრივ დონეზე; <p>შემთხვევის ანალიზი:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურისტული დანიშნულების ადგილი – ნალვერი; • ტურისტული დანიშნულების ადგილი – სტეფანწმინდა;
კომპეტენციები	<ul style="list-style-type: none"> • სისტემური აზროვნების კომპეტენცია: სტუდენტებს შეუძლიათ გააანალიზონ მდგრადობის პრობლემები ეროვნული და რეგიონული ტურიზმის განვითარების კონტექსტში. სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ სისტემის კონცეფციები ტურიზმის პოლიტიკის შემუშავებაში, მდგრადი განვითარების საკითხების გათვალისწინებით; • სამომავლო აზროვნების (ან განჭვრეტის) კომპეტენცია: სტუდენტებს შეუძლიათ გაითვალისწინონ გადაწყვეტილების მიღების პროცესის პოზიტიური და უარყოფითი შედეგები ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე; • სტრატეგიული აზროვნების კომპეტენცია: კურსის ფარგლებში სტუდენტები მუშაობენ სხვადასხვა სტრატეგიულ დიზაინზე, პოლიტიკის ჩარჩოების კონტექსტში. მათ შეუძლიათ შეიმუშაონ და მოამზადონ გეგმები ტურისტული დანიშნულების ადგილისათვის. • თანამშრომლობის (ან ინტერპერსონალური) კომპეტენცია: სტუდენტებს შეუძლიათ მხარი დაუჭირონ სხვადასხვა სახის თანამშრომლობას, მათ შორის გუნდურ მუშაობას, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობას და ა.შ. გარდა ამისა, სტუდენტებს შეუძლიათ განსაზღვრონ თავიანთი როლები და პასუხისმგებლობები ჯგუფში.
სწავლის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> • ტრანსდისციპლინურობის ძირითადი საკითხების იდენტიფიცირება და აღწერა; • ტრანსდისციპლინური მიდგომების კონცეპტუალური ცოდნის გამოყენება ტურიზმის პოლიტიკის ფორმირების პროცესში; • სამომავლო განვითარების მიმართულების აღწერა მდგრადი განვითარების და სისტემის კონტექსტში; • სისტემის ანალიზის გაკეთება ტურისტული მიმართულებებისთვის; • სხვადასხვა აქტივობის შემუშავება მდგრადი განვითარების გამონვევების გადასაჭრელად / შესამცირებლად; • აღწერს სტრატეგიული აზროვნების საჭიროების და სისტემაში ცვლილებების აუცილებლობის საკითხებს (დანიშნულების ადგილების თავისებურებების გათვალისწინებით); • აღწერს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის აუცილებლობას სტრატეგიის შემუშავებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში;

აღწერა	<p>” ტურიზმის პოლიტიკის ” კურსი, რომელიც მოიცავს ტრანსდისციპლინურ თემატიკას და შემთხვევის შესწავლას, არის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსი. პროგრამა აკრედიტებულია 2019 წელს 7 წლის ვადით.</p>
<p>რატომ არის კურსი-სათვის შერჩეული მეთოდები ეფექტური?</p>	<p>ტრანსდისციპლინური მიდგომები ხელს უწყობს პრაქტიკული ცოდნის ინტეგრირებას აკადემიურ კვლევაში, ასევე გამონვევების სტრუქტურირებას და ეფექტიანი პრობლემის გადაჭრის სტრატეგიის შემუშავებას.</p> <p>სტუდენტები ავითარებენ სისტემურ მიდგომას და ახდენენ სისტემური ცოდნის გენერირებას მიმდინარე პროცესების შესახებ; ეს მათ საშუალებას აძლევს, განიხილონ თითოეული “პრობლემა” და გადაწყვეტა, როგორც ზოგადი სტრატეგიის ნაწილი. ასევე, მათ შეუძლიათ კრიტიკულად მიუდგნენ კონკრეტული საგნების ნებისმიერ ცალკეულ კვლევას. გარდა ამისა, ამ კურსში გათვალისწინებულია რამდენიმე მეთოდი და მიდგომა:</p> <ul style="list-style-type: none"> • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა; • შემთხვევის ანალიზის მიდგომა; • ჯგუფური სამუშაო; • ტვინის შტორმის მეთოდი;
<p>კურსის სახელწოდება</p>	<p>მდგრადი ტურიზმის განვითარება</p>
<p>კურსის ძირითადი თემები</p>	<p>”მდგრადი ტურიზმის განვითარების” კურსის სილაბუსი მოიცავს შემდეგ თემებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტრანსდისციპლინურობის ცნებები; • კვლევის ტრანსდისციპლინური მეთოდები <p>შემთხვევის ანალიზი:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურისტული დანიშნულების ადგილი – ნალვერი; • ტურისტული დანიშნულების ადგილი – სტეფანწმინდა;
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>სტუდენტები იღებენ ცოდნას ტრანსდისციპლინური ცნებებისა და კვლევის მეთოდების შესახებ, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტრანსდისციპლინურობის კონცეფცია და მისი კავშირი მდგრად განვითარებასთან; • მონო- მულტი- ინტერ- და ტრანსდისციპლინურობას შორის განსხვავება; • ტრანსდისციპლინურობის კონტექსტში ძირითადი კატეგორიების გააზრება: ”პრობლემა” და ”პრობლემის სფერო”; “სისტემური ცოდნა”, “მიზნობრივი ცოდნა” და “ტრანსფორმაციული ცოდნა”; • ტრანსდისციპლინური კვლევის ფაზები: პრობლემის იდენტიფიკაცია და სტრუქტურირება, პრობლემების ანალიზი და შედეგების განხორციელება; • წარუმატებელი ტრანსდისციპლინური კვლევა: ”მონაწილეობითი კვლევა”; • ”პრობლემების” კლასტერიზაციის მეთოდი: ”კრიტიკული პრობლემები”, ”შეზღუდული პრობლემები” და ბუფერული პრობლემები ”; • პრობლემების გადაჭრის სტრატეგიის შემუშავება. • ტურისტულ დანიშნულების ადგილთან დაკავშირებული (სისტემური) პრობლემების იდენტიფიცირება და აღწერა; • დანიშნულების ადგილის სტეიკჰოლდერების, მათი საერთო ინტერესების და ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირება; • სტეიკჰოლდერების საჭიროებების ანალიზი; • გამოვლენილი პრობლემების კლასიფიკაცია ”პრობლემურ ველში” ”სამიზნე ცოდნის” შესაქმნელად; • ტრანსფორმაციული ცოდნის განვითარება „მიზნობრივ ცოდნაზე“ გადასვლის მიზნით; • გამოვლენილი გამონვევებისა და ქმედებების კონცეპტუალიზაცია მდგრადი განვითარების თეორიაში; • ტრანსდისციპლინური კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისას მდგრადი განვითარების კონცეპტუალური ცოდნის გამოყენება;

აღწერა	„მდგრადი ტურიზმის განვითარების“ კურსი, რომელიც მოიცავს ტრანსდისციპლინურ თემატიკას და შემთხვევის შესწავლას, არის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის სა-ვალდებულო კურსი. პროგრამა აკრედიტებულია 2019 წელს 7 წლის ვადით.
რატომ არის კურსი-სათვის შერჩეული მეთოდები ეფექტური?	<p>ტრანსდისციპლინური მიდგომები ხელს უწყობს პრაქტიკული ცოდნის ინტეგრირებას აკადემიურ კვლევაში, ასევე გამოწვევების სტრუქტურირებას და ეფექტიანი პრობლემის გადაჭრის სტრატეგიის შემუშავებას.</p> <p>სტუდენტები ავითარებენ სისტემურ მიდგომას და ახდენენ სისტემური ცოდნის გენერირებას მიმდინარე პროცესების შესახებ; ეს მათ საშუალებას აძლევს განიხილონ თითოეული “პრობლემა” და გადაწყვეტა, როგორც ზოგადი სტრატეგიის ნაწილი. ასევე, მათ შეუძლიათ კრიტიკულად მიუდგნენ კონკრეტული საგნების ნებისმიერ ცალკეულ კვლევას.</p>
კურსის სახელწოდება	ტურისტული აქტივობების ორგანიზაცია
